

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების
ინსტიტუტი

არნოლდ ჩიქობავას საკითხავები

XXVII

2016 წლის 19-22 აპრილი

მ ა ს ა ლ ე ბ ი

თბილისი
2016

სამეცნიერო სესია გაიმართება არნ. ჩიქობავას სახელობის
ენათმეცნიერების ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში
(პ. ინგოროყვას ქუჩა №8, მეორე სართული)

რ ე გ ლ ა მ ე ნ ტ ი

მომხსენებელს – 10 წუთი
მსჯელობაში მონაწილეს – 3 წუთი

რედაქტორი – **ვ. შენგელია**

© არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ISBN

მ უ შ ა ო ბ ი ს გ ე გ მ ა

19 აპრილი, 11 საათი

- გ. კ ვ ა რ ა ც ხ ე ლ ი ა, აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას გამოსვლა-თა შესახებ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებებზე
- ვ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, ფრაგმენტები მოგონებიდან აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავაზე

- გ. გ ო გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი, **ვედ/ვიდ** ზმნის ფორმაწარმოების თავისებურებანი სამხრულ დიალექტებში
- ა. ა რ ა ბ უ ლ ი, **მღერა, სიმღერა** ლექსემათა ისტორიული ცვლილებისათვის
- თ. ვ ა შ ა კ ი ძ ე, მუხრან მაჭავარიანი – „გამასავათა მამულზე ფიქრმა“
- ნ. ჭ ო ხ ო ნ ე ლ ი ძ ე, **ზარ**-ფუძიანი ომონიმური ცალების ისტორიისათვის ქართულში
- თ. ლ ო მ თ ა ძ ე, დალოცვის, შეგონებისა და წყევლის ფორმულები ქუთაისელ ებრაელებთან
- თ. ბ უ რ ჭ უ ლ ა ძ ე, ზოგი სახის სინტაქსურ წყვილთა გამოყოფისათვის
- მ. ჭ ი ვ ა ძ ე, როლის ცნების „ყოვლისმომცველი“ განმარტება
- ნ. ხ ა ხ ი ა შ ვ ი ლ ი, **მლივი** სიტყვისათვის
- ხ. ყ ა ნ დ ა შ ვ ი ლ ი, ერთი ტიპის კაუზატივის ფორმათა წარმოებისათვის ქართული ენის კახური დიალექტის ქიზიყურ კილოკავში
- მ. ლ ა ბ ა რ ტ ყ ა ვ ა, **-გან** და **-იდან** (**-დან**) (←**-ით-გან**) თანდებულიან ფორმათა სემანტიკისა და მართლწერისათვის

20 აპრილი, 11 საათი

- მ. დ ლ ო ნ ტ ი, ქართ. **დიდ-**ის და **მდიდარ-**ის ისტორიული პოლი-
სემიისათვის
- ქ. მ ა რ გ ი ა ნ ი - ს უ ბ ა რ ი, ერთი საერთაშორისო ლინგვისტური
ცნების მიმართების შესახებ ქართველურ ენობრივ სივრცეს-
თან
- ც. კ ვ ა ნ ტ ა ლ ი ა ნ ი, მ. ბ ე რ ი ძ ე, ლემატიზაციის ზოგიერთი
საკითხისათვის ქართულ დიალექტურ და სამეცნიერო მეტა-
ენის კორპუსებში (ზმნა)
- ნ. ლ ო ლ ა ძ ე, დროული მიმართებების აღმნიშვნელი თანდებუ-
ლები ქართულში
- თ. გ ვ ა ნ ც ე ლ ა ძ ე, აუსლაუტური დიფთონგიზაცია აფხაზურ
ენაში ნასესხები ლექსიკის მიხედვით
- ვ. მ ა ღ რ ა ძ ე, უცხოური კომპოზიტების დაწერილობისათვის
- ნ. ს უ რ მ ა ვ ა, **და** კავშირის მიერთებითი ფუნქციისათვის ცო-
ცხალ დიალექტურ მეტყველებაში
- თ. ტ ე ტ ე ლ ო შ ვ ი ლ ი, ს. ბ ე რ უ ლ ა ვ ა, რ. პ ა პ ი ა შ ვ ი ლ ი,
„ერთის“ სემანტიკურ-ფუნქციური ანალიზისთვის ლინგვის-
ტური მასალის მაგალითზე
- გ. გ ვ ა ნ ც ე ლ ა ძ ე, **-ოგან** სუფიქსიანი ოიკონიმები და ამ მოდე-
ლისაგან მომდინარე ზოგი გეოგრაფიული სახელის ეტიმო-
ლოგიის საკითხი
- ლ. კ ე ლ ა უ რ ა ძ ე, საერთოქართველურ მჟღერ ჩქამიერთა ალო-
ფონური განაწილებისათვის
- ნ. ს ა ა კ ა ძ ე, ლექსიკური დიალექტიზმები ქვემოქართლურში
- ნ. ხ ო ჭ ო ლ ა ვ ა - მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი, მცენარის ეკლიანობით მო-
ტივირებულ ფიტონიმთა ლექსიკური ძირების ერთი წყებ-
სათვის ქართველურ ენებში

21 აპრილი, 11 საათი

- ს. ო მ ი ა ძ ე, სიმცირის გამომხატველ ერთეულთა ლინგვოკულ-ტუროლოგიური ველი
- მ. ს ა ლ ლ ი ა ნ ი, არაიდენტურ ხმოვანთკომპლექსთა ელიზისათვის სვანურში
- მ. კ ა კ ა ჩ ი ა, ქ. მ ა რ გ ი ა ნ ი, მ. ჯ დ ა რ კ ა ვ ა, ქართველური ენების გრძნობა-აღქმის ზმნათა სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი
- მ. ს ა ლ ლ ი ა ნ ი, ნ. შ ა ვ რ ე შ ი ა ნ ი, ბგერწერითი ლექსიკა სვანურ ლექსიკონებსა და ფოლკლორულ მასალაში და მისი ქართულ ენაზე განმარტების სპეციფიკა

პროექტი „მეგრულ-ლაზური ფრაზეოლოგია“

- ვ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, „მეგრულ-ლაზურ ფრაზეოლოგიაზე“ სამი წლის მუშაობის შედეგების შესახებ
- ნ. ფ ო ნ ი ა ვ ა, სინონიმის, ომონიმისა და ანტონიმისათვის ლაზურ იდიომებში
- ე. შ ე ნ გ ე ლ ი ა, მეგრულ-ლაზური **ხირგულ-ი / ზურგილ-ი** „მუხლი“ ლექსემების შემცველი იდიომებისათვის
- ც. ჯ ა ნ ჯ დ ა ვ ა, მეგრულ-ლაზური **დუდი** „თავი“ სიტყვის შემცველი იდიომების ტიპოლოგიური ანალიზისათვის

პროექტი „კავკასიურ-ქართული ლექსიკონები...“

- ლ. ა ზ მ ა ი ფ ა რ ა შ ვ ი ლ ი, ხუნძურ-ქართული სემანტიკური შეხვედრები
- ნ. ა რ დ ო ტ ე ლ ი, ქართულიდან ნასესხები ლექსიკის ფონეტიკური და მორფოლოგიური ადაპტაციის შესახებ ბეჭიტურ ენაში
- რ. ლ ო ლ უ ა, ზოგიერთი ლექსემის ისტორიისათვის უდიურში.
1. **ინი** „ახალი“. 2. **ელმუხ** „სული“, „სამშვინველი“
- ნ. მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი, ზმნის მოდალურ კატეგორიათა მორფემების შემცველი სიტყვების ლექსიკონში განთავსების საკითხისათვის აფხაზურში
- რ. ფ ა რ ე უ ლ ი ძ ე, ქართული ლექსიკური მასალა ინგუშურ ენაში
- ვ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, ჩერქეზულ-ქართული ლექსიკონის სტრუქტურისათვის

22 აპრილი, 11 საათი

- ი. ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე, რ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, „დიგიტალური ქართველოლოგია“ (!) და სვანურ სახელთა ბრუნების სისტემა
- ნ. მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი, ახალი არგუმენტი ძველი მოსაზრებისათვის
- მ. ს უ ხ ი შ ვ ი ლ ი, უკანა მიმართულების უმლაუტის ორი შესაძლო შემთხვევისათვის სვანურში **o** + **ჟ** პოზიციამი
- მ. ჩ უ ხ უ ა, შენიშვნები ქართველურ ენათა მორფოლოგიის საკითხებზე
- თ. მ ა ხ ა რ ო ბ ლ ი ძ ე, ქართული ზმნისწინი და პოლიპერსონალიზმი
- ც. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ირიბი ობიექტის ასახვის არალექსიკური გზა თაბასარანულში
- რ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, რამდენიმე სიტყვის წარმომავლობისათვის ქართლურ დიალექტში
- ნ. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა კრებული და თანამედროვე მდგომარეობა
- ქ. მ ა რ გ ი ა ნ ი, მ. ჩ უ ბ ი ნ ი ძ ე, **o-R-წლ** / **o-R-იქლ** სტრუქტურის ზმნები ქვემოსვანურში
- მ. ბ ა რ ი ხ ა შ ვ ი ლ ი, ე. ნ ა პ ი რ ე ლ ი, დ. ა ნ ფ ი მ ი ა დ ი, ქდკ-ს ინგილოური ლექსიკონი (შედგენის პრინციპები და სამომავლო პერსპექტივები)
- მ. ჩ ა ჩ ა ნ ი ძ ე, უცხო სიტყვისა და „ლექსიკური ფონის“ მიმართებისათვის
- ი. კ ე კ ე ლ ი ა, გვარსახელ „ჩიქობავას“ ეთნოისტორიისათვის

ავთანდილ არაბული

მღერა, სიმღერა ლექსემათა ისტორიული ცვლილებებისათვის

სულხან-საბა ორბელიანი **მღერ**- ძირის ლექსიკურ ერთეულებს ძირითადად იმავე მნიშვნელობით განმარტავს, რაც მათ ძველ ქართულში უდასტურდება:

მღერა - თამაშობაში ნახე.

მემღერნი (3,4 ესაია) მოთამაშენი.

სიმღერა (32,7 გამოსლ.) მსოფლიო წმონება.

„ხმიანობის“ სემანტიკა ჩანს ასევე **მომღერალი** სიტყვის განმარტებისას: „სამუსიკოთა წმიანი, გინა მოასპარეზე და მეფუნდრუკე, გინა მემორინე“. C რედაქციაში ჩნდება ვარიანტი: „წმითა სამუსიკოთა ტკბილად მსოფლიოთა ლექსთა მთქმელი“.

ეს ის შემთხვევაა, როდესაც ლექსიკოგრაფიული კონსერვატიზმი ხელს უშლის სიტყვის სემანტიკურ ცვლილებათა დინამიკის ასახვას; ხოლო მხატვრული შემოქმედება, პირიქით, ზოგჯერ ანგარიშს არ უწევს მწიგნობრულ ჩარჩოებს. ამისი თვალსაჩინო ილუსტრაციაა საბას ცნობილი იგავი „აქლემი და ვირი“:

ვირმან უთხრა აქლემსა:

– ძმაო, **სიმღერა** მინდა ვსთქვაო.

აქლემმან დაუშალა:

– ნუ ძმაო! აღარ გახსოვს, რას ჭირში ვიყავითო? არამც ახლოს კაცნი იყვნეს, **ხმა** ესმათ, წაგვიყვანონ და უარესი გვიყონო.

არ დაიჯერა ვირმან და დაიყოყნა. მეტად მაღალი სიმღერა მოუვიდა...

ბარემ ისიც გავიხსენოთ, როგორ მოუგო აქლემმა ნიში:

– იმისთანა **სიმღერას** ამისთანა ადგილის სამაია და ცეკო უნდაო.

სრულიად ამკარაა, აქ **მღერა** და **თამაში** (ცეკვა) სინონიმები კი არა, სემანტიკურად ურთიერთგამიჯნული ერთეულებია. საბას ეპოქისათვის ამგვარი სურათის გამოვლენა მოულოდნელი სულაც არ არის, თუ გავითვალისწინებთ, რომ ასეთი სემანტიკური გადაწყვეტა რუსთაველის ენაში უკვე ამკარაა; მდრ.:

„ესე **მღერასა** ბედითსა ჰგავს, ვაჟთა ყმაწვილობასა“ (26,3).

და

„რა ესმოდის **მღერა** ყმისა, სმენად მხეცნიც მოვიდიან“ (968,1).

„მოგებნიან, ისმოდის ხმა **სიმღერისა** ხშირისა“ (1448,4).

არანაკლებ საყურადღებოა დიალექტების ჩვენება, რომელიც ადასტურებს ამ ფუძის სემანტიკის კიდევ უფრო დავიწროებას გარკვეული ტერმინოლოგიური შინაარსით.

ც ი რ ა ბ ა რ ა მ ი ძ ე

ირიბი ობიექტის ასახვის არალექსიკური გზა თაბასარანულში

ირიბი ობიექტის ვალენტობა დალექსურ ენებში ძირითადად აისახება ლექსიკურად. თაბასარანულში დაიძებნა ისეთი შემთხვევებიც, როცა ლოკატიური წარმოშობის პრევერბი ზრდის ზმნის ვალენტობას და შემოჰყავს სინტაქსურ კონსტრუქციაში ირიბი ობიექტი არა მხოლოდ ლექსიკურად, არამედ მარკირებულადაც: **იპ-უბ** „ჭამა“ **ღ-იპ-უბ** „მოჭმა“ (ღ- პრევერბია, მისი მნიშვნელობაა შუა, შორის რაღაცის ან ვიღაცის მყოფობა, ლოკატიური წარმოშობით; აქ ზმნაში ის იჩენს ახალ ფუნქციას – ზმნაში მისი ჩართვა იწვევს ახალი აქტანტის – ირიბი ობიექტის გაჩენას): **იზუ ივუ კულ ღ-იპ-უნ-ზა** „მე შენ თავი მოგჭამე“;

უჯ-უბ „სმა“, **ხ-უჯ-უბ** „მოსმა“; ამ პრევერბის ძირითადი მნიშვნელობაა „გვერდით“, „ახლოს“. ზმნაში უკვე დაკარგულია მისი ამოსავალი მნიშვნელობა.

ალხ-უბ „სიცილი“, **ქ-ალხ-უბ** „დაცინვა“:

დუღუ დუღუ-ს/ზ ქ-ალხ-უნ „მან მას დასცინა“

S- ერგ. ირ.ო მიც. ბრ.;

ლიგ-უბ „ხედვა“, „ყურება“, **ქქ-ილიგ-უბ** „მოლოდინი“, „ლოდინი ვიღაცისა ან რაღაცისა“ (სიტყვ. „რაღაცის ქვეშიდან ყურება“).

ქქ-ს მნიშვნელობაა „ქვეშ მყოფობა“: **იზუ ივუ ქქ-ილიგ-ურა-ზა** „მე შენ მოგელი“.

ბალგ-უბ „მორთვა“, **ალ-ბალგ-უბ** > **ალ-ბაგ-უბ** „მოწყობა სა-
ქმისა, გამართვა, დალაგება ვითარებისა, შერიგება (მასთან – ირიბ
ობიექტთან), სიტყვ. ეს იქნება „შელამაზება ზემოდან“, **ალ-** პრევერბი
აღნიშნავს რაღაცის ან ვიღაცის ზემოთ მყოფობას.

მოხსენებაში განხილულია ირიბი ობიექტის ასახვის გზები
თაბასარანულში.

მ ა ი ა ბ ა რ ი ხ ა შ ვ ი ლ ი , ე ლ ე ნ ე ნ ა პ ი რ ე ლ ი , დ ი ა ნ ა ა ნ ფ ი მ ი ა დ ი

ქდკ-ს ინგილოური ლექსიკონი

(შედგენის პრინციპები და სამომავლო პერსპექტივები)

ქდკ მრავალწლიანი სამეცნიერო პროექტია, რომლის ერთ-
ერთ განვითარებას წარმოადგენს დიალექტური ელექტრონული
ლექსიკონების მომზადება. სპეციალურად ამ მიზნით შექმნილი
ლექსიკოგრაფიული რედაქტორის (მ. ბერიძე, დ. ნადარაია) საშუა-
ლებით სხვა დიალექტებთან ერთად დიალექტური კორპუსის წიაღ-
ში ინტეგრირდება ინგილოური დიალექტის ლექსიკონი. ლექსიკონ-
ის ძირითად წყაროს წარმოადგენს როგნედა ლამბაშიძის „ინგილო-
ური ლექსიკონი“.

ონლაინლექსიკონი არ წარმოადგენს ბეჭდური წყაროს ზუსტ
ასლს. იგი სხვადასხვა სტრუქტურულ ველს მოიცავს: ლემა, შესა-
ტყვისი, განმარტება, გრამატიკული და ფონეტიკური ვარიაციები,
ილუსტრაცია, შიდა ბმულები (იხილეთ; იგივეა რაც) და სხვ. ამ ვე-
ლებში ბეჭდური წყაროს მონაცემები გარკვეული სახის ცვლილებას
განიცდის. ეს ცვლილებები ძირითადად ლექსიკოგრაფიული რე-
დაქტორის სტრუქტურითაა შეპირობებული. ხშირად აუცილებელი
ხდება არსებითი ხასიათის ჩარევა, რის გამოც ავტორისეული სი-
ტყვა-სტატია ზოგჯერ საკმაოდ იცვლის სახეს.

გარდა ამისა, ლექსიკონს ემატება ლინგვისტური ინფორმაცია:
ლემას ეწერება მეტყველების ნაწილის მარკერი, ხოლო გრამატიკულ

ვარიაციებს – შესაბამისი პარადიგმული მარკერები. ამასთან, სალექსიკონო სტატიაში ერთად იყრის თავს ლემის ყველა შესაძლო ფონეტიკური ვარიანტი.

ლექსიკონზე მუშაობისას ლექსიკოგრაფიული წყაროს მასალამ განიცადა შემდეგი ხასიათის ცვლილებები, რომელთა შესახებ დაწვრილებით ვისაუბრებთ მოხსენებაში:

- გასწორდა, დაზუსტდა ან დაემატა მნიშვნელობა;
- ზოგჯერ ლექსიკოგრაფიულ წყაროში არ არის გატარებული ლექსიკური ერთეულის წარმოდგენის ერთი პრინციპი. ონლაინლექსიკონში ეს ხარვეზი გამოსწორდა;
- ავტორისეულ სიტყვა-სტატიაში გამოტანილი ყველა მიმდებარება (თუ ის გასუბსტანტივებული არაა) და ზმნიზედა (ზმნიზედად კვალიფიცირებული ვითარებითი ბრუნვის ფორმა) გაერთიანდა მასდარის ბუდეში, როგორც გრამატიკული ვარიაციები, ხოლო დიფერენცირებული მნიშვნელობები განთავსდა ილუსტრაციის ველში.
- როდესაც ავტორისეულ სიტყვა-სტატიაში ზმნისწინს არ ჰქონდა სიტყვაწარმოებითი ფუნქცია, მთავარ ლემად უზმნისწინო ფორმა გავიდა, ხოლო ზმნისწინიანი ვარიანტები ამ ლემის გრამატიკული ვარიაციის ველში განთავსდა.

ბეჭდური წყაროს გარკვეული ინფორმაცია გამოტოვებულია ქდკ-ს ელექტრონულ ლექსიკონში – ეს არის ბმულები, რომლებიც სხვა ლექსიკონების ამა თუ იმ ფორმასთან გვაგზავნის, თუმცა აღნიშნული ინფორმაცია ინახება სალექსიკონო სტატიის სამუშაო ველში და მომავალში, როცა ბაზას დაემატება ყველა სხვა ლექსიკონი, ივარაუდება შიდა ბმულებით ამ ინფორმაციის გააქტიურება.

ლექსიკოგრაფიული რედაქტორი იძლევა იმის საშუალებას, რომ ნებისმიერ დროს დაემატოს ახალი ლექსიკოგრაფიული წყაროს მასალა ყველა საჭირო საავტორო მითითებით. მიმდინარეობს ქდკ-ს ინგილოური ლექსიკონის შედარება სხვა ლექსიკოგრაფიულ წყაროებთან, რომლებიც დღეისათვის უკვე ელექტრონულ რესურსად არის ქცეული. შედარების შედეგად აღმოჩენილი ყველა სახის ცვლილება აისახება ონლაინლექსიკონში:

- სხვადასხვა წყაროში დამოწმებულ იდენტურ ლემებს (სალექსიკონო ერთეულებს), რომელთაც იდენტური განმარტება აქვთ, დაემატება ყველა ის წყარო, სადაც დადასტურებულია მსგავსი ფორმები;

- იდენტურ ლემებს, რომელთაც აქვთ განსხვავებული განმარტება, დაემატება ახალი მნიშვნელობა ცალკე სალექსიკონო სტატიად შესაბამისი წყაროს მითითებით;

- განსხვავებული ლემები, რომლებიც მხოლოდ რომელიმე წყაროში დასტურდება, ინტეგრირდება ლექსიკონში ცალკე სალექსიკონო სტატიის სახით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ ეტაპზე მხოლოდ როგნედა დამბამიდის სალექსიკონო მასალაა სრულად განთავსებული ლექსიკონში, აგრეთვე ქდკ-ს ტექსტური კოლექციის მონაცემების გარკვეული ნაწილი. ახალ ეტაპზე მიმდინარეობს ლექსიკონის შევსება, კონკრეტულად:

1. დიალექტურ კორპუსში განთავსებული ტექსტების, მათ შორის, ინგილოური მასალების (ბეჭდური ლექსიკონები, სამეცნიერო შრომებსა და ტექსტებში დადასტურებული ინფორმაცია, დიალექტოლოგიური ექსპედიციების არქივებიდან ამოკრებილი ლექსიკა – მ. ჯანაშვილის, ზ. ედილის, გრ. იმნაიშვილის, ვ. აბაშვილის, ნ. როსტიაშვილისა და სხვათა ავტორობით) ლემატიზაციის კვალდაკვალ შეივსება სალექსიკონო ბაზაც, სიტყვაფორმა, რომელიც არ დასტურდება არცერთ ბეჭდურ სალექსიკონო წყაროში, დაემატება ინგილოურ ელექტრონულ ლექსიკონს ცალკე სალექსიკონო სტატიის სახით, შესაბამისი წყაროს მითითებით;

2. კორპუსს ემატება ახალი ტექსტები, შესაბამისად, ლექსიკონი შეივსება ახალი ლექსიკური ერთეულებით, დაზუსტდება, დაკონკრეტდება მნიშვნელობები;

3. ინგილოური ელექტრონული ლექსიკონი ლინგვისტური და ინტერდისციპლინური კვლევებისთვის ახალ პერსპექტივებს წარმოაჩენს, განსაკუთრებით საინტერესოა დიალექტზე დაკვირვება სინქრონიულ და დიაქრონიულ ჭრილში, გამომდინარე იქიდან, რომ ლექსიკონი სხვადასხვა პერიოდში ჩაწერილი ტექსტების, სხვადასხვა ბეჭდური ლექსიკონის ინტეგრირების საშუალებით შეიქმნა;

იგეგმება ახალი ტექსტების ჩაწერა, დამუშავება და დიალექტურ კორპუსში შეტანა, შესაბამისად, ინგილოური ლექსიკონის შევსება ახალი სალექსიკონო ერთეულებით მომავალშიც გაგრძელდება.

თ ე ა ბ უ რ ჭ უ ლ ა ძ ე

ზოგი სახის სინტაქსურ წყვილთა გამოყოფისათვის

წინადადებაში გამოიყოფა წყვილები, ანუ ისეთ სიტყვათა წყვილებს, რომლებიც ერთმანეთთან გარკვეულ დამოკიდებულებაში არიან. მათი შესწავლა კი გულისხმობს იმის გაანალიზებას, თუ რა სახის სინტაქსური ურთიერთდამოკიდებულებაა მათ შორის. ნებისმიერი სინტაქსური ჯგუფი არ შეიძლება საფუძვლად დაედოს სინტაგმას. აქ მოიაზრება ისეთი შესიტყვებები, რომლებიც ერთიანდებიან სინტაქსური კავშირით და ისე ქმნიან სიტყვათშეკავშირებას.

ჩვენი ანალიზი ეხება ისეთ სინტაგმებს, რომლებშიც ორივე წევრი სახელია და ამათგან ერთი თანდებულიანი ფორმითაა წარმოდგენილი. მაგალითად: დიდ ბალიშში ჩარგო თავი; ვიწრო გზაზე გაიარა; ჭრელი კაბისათვის არც შეუხედავს; მანქანა პატარა მოსახვევამდე გააჩერა. მოყვანილ მაგალითებში ჩვენ გამოვყოფთ სინტაგმებად შემდეგ სიტყვათშეკავშირებებს: **დიდ ბალიშში, ვიწრო გზაზე, ჭრელი კაბისათვის, პატარა მოსახვევამდე**. ჩვენთვის ისინი სინტაგმებია, რადგან მათ შორის არის როგორც აზრობრივი, ისევე სინტაქსური კავშირი. აქ მათ შესაბამისი გრამატიკული გამოხატულება აქვთ: **-ში, -ზე** თანდებულიანი სახელის შემთხვევაში სინტაგმის პირველი წევრი შესაბამის მიცემით ბრუნვაში დგას, **-თვის** თანდებულიანი სახელთან – ნათესაობით ბრუნვაში, ხოლო **-მდე** თანდებულის შემთხვევაში ვითარებითის ფორმითაა, ასევე **-დან** თანდებულისას შესაბამისი წყვილის წევრი მოქმედებითი ბრუნვითაა წარმოდგენილი.

რა სინტაქსური კავშირია მოყვანილ სინტაგმათა შორის? წარმოდგენილია ერთი ბრუნვისნიშნისანი სახელი და მეორე თანდებულდართული ფორმა. მართალია მოყვანილ შესიტყვებებში ორივე სახელი მიცემითბრუნვიანია, მაგრამ ეს ბრუნვაში შეთანხმების შემთხვევა არაა, რადგან მეორე წევრი (თანდებულიანი) გარემოებაა. ვფიქრობთ, დასახელებულ სინტაგმებში **მირთვია** – უთანდებულო სახელს მიერთვის თანდებულდართული წევრი. სამეცნიერო ლიტერატურაში განიხილავდნენ მირთვის ისეთ შემთხვევებს, როცა ზმნას მიერთვოდა უფორმო სიტყვა – ზმნიზედა, ან ზმნიზედის წყებაში ჩამდგარი თანდებულიანი სახელი. სახელი წამყვან სიტყვად წარმო-

დგენილია **ძალიან დიდი, ოდნავ წითელი, უფრო ნელა** ტიპის ფორმებში. ვფიქრობთ, აქაც მსგავსი შემთხვევები გვაქვს. თუმცა მოყვანილ სინტაგმებში თუ მეორე თანდებულიანი წევრი **უბრალო დამატებაა** (ჭრელი **კაბისათვის**, საინტერესო **ფილმისათვის**...), მაშინ ისინი **მართულ-შეთანხმებულნი** იქნებიან – სინტაგმის პირველი წევრი იმ ბრუნვაშია, რომელშიც მეორე და ამავე დროს თანდებული მართავს სახელს ნათესაობით ბრუნვაში (**კაბ-ის-ა-თვის**, **ფილმ-ის-ა-თვის**). საკითხისადმი მიდგომა ისეთივეა, როგორც მოყვანილ თანდებულიან წევრთა ზმნასთან მიმართებისასაა – გარემოება მიერთვის ზმნას, უბრალო დამატებასა და ზმნა-შემასმენელს შორის მართვაა.

სინტაქსურ წყვილად გამოიყოფა **ლამაზად კერვა, უცბად წასვლა, მოულოდნელად გამოჩენა** ტიპის სინტაგმებიც: დედამ **ლამაზად კერვა** იცოდა, მან **უცბად წასვლა** გადაწყვიტა, მასწავლებელმა **მოულოდნელად გამოჩენა** იცოდა... მოყვანილი ფორმები ჩვენთვის სინტაგმებია, რომელთა წევრებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია არა მხოლოდ შინაარსობრივად, არამედ სინტაქსურადაც. მათ შორის სინტაქსური კავშირი მიერთვაა – სახელი (გარემოება – ლამაზად, უცბად, მოულოდნელად) მიერთვის სახელზმნას (კერვა, წასვლა, გამოჩენა).

მართვაა **ფანქრით ხატვა, წყლით წუწობა, ჩანთით სიარული**... ტიპის შემთხვევებში: **ფანქრით ხატვა** დაიწყო, **ფანქრით ხატვამ** გაიტაცა, **ფანქრით ხატვას** ავალებდა, **ფანქრით ხატვით** გაითქვა სახელი. ვფიქრობთ, მართვის ეს ტიპი ისეთივე შემთხვევაა, როგორც გვაქვს **ტყის ჰაერი, აგურის სახლის** სახის შესიტყვებებში. აქ მმართავი წევრი სახელზმნაა (ხატვა), ხოლო მართული – სახელი. შესიტყვების პირველი წევრი მოითხოვს, რომ მეორე სულ მოქმედებით ბრუნვაში იდგეს.

გვანცა გვანცელაძე

-ოვან სუფიქსიანი ოიკონიმები და ამ მოდელისაგან მომდინარე ზოგი გეოგრაფიული სახელის ეტიმოლოგიის საკითხი

საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტში წარმოდგენილია მრავალი გამჭვირვალე ეტიმოლოგიის მქონე ოიკონიმი, რომლებიც ნაწარმოებია საყრდენ ფუძეზე მქონებლობის აღმნიშვნელი - **ოვან** სუფიქსის დართვით. ამ ტოპონიმიკურ მოდელს განეკუთვნება ისეთი სოფლის სახელები, როგორებიცაა: **ბალ-ოვან-ი** (გორის მუნიც.), **ბაყილ-ოვან-ი** (ახმეტის მუნიც.), **გორ-ოვან-ი** (მცხეთის მუნიც.), **ვაშლ-ოვან-ი** (ახალგორის, ბორჯომის, თეთრიწყაროს, ლაგოდეხის, ხულოს მუნიც.), **ზედა ჭალ-ოვან-ი** და **ქვედა ჭალ-ოვან-ი** (ჭიათურის მუნიც.), **თელ-ოვან-ი** (თბილისის შემოგარენში), **თხილ-ოვან-ი** (დუშეთის მუნიც.), **კეხ-ოვან-ი** (ადიგენის მუნიც.), **ლამ-ოვან-ი** (დუშეთის მუნიც.), **ლელ-ოვან-ი** (ადიგენისა და თიანეთის მუნიც.), **სხლ-ოვან-ი** (თიანეთის მუნიც.), **ტყემლ-ოვან-ი** (ქარელის მუნიც.), **ფიჩხ-ოვან-ი** (ახმეტის მუნიც.), **ღოლ-ოვან-ი** (თეთრიწყაროს მუნიც.), **ძირ-ოვან-ი** (ტყიბულის მუნიც.), **წერ-ოვან-ი** (მცხეთის მუნიც.), **ჭალ-ოვან-ი** (საჩხერის მუნიც.).

ამ გეოგრაფიულ სახელებში კუმშვადი საყრდენი ფუძე შეკუმშულია, ხოლო კვეცადი – შეკვეცილი, რაც ხმოვნით დაწყებული სუფიქსის ზემოქმედების შედეგია. გამონაკლისია მხოლოდ **ბალოვანი**, სადაც ფუძე არ არის შეკუმშული (შდრ.: **ბალ-ი – ბლ-ის, ბლ-ით, ბლ-ად, ბლ-ებ-ი...**). აღსანიშნავია ისიც, რომ დასახელებული ოიკონიმები აშკარად ძველი ტოპონიმია.

ყურადღებას იპყრობს ის ფაქტიც, რომ ამ გეოგრაფიულ სახელთა საყრდენი ფუძეები გამოხატავენ კონკრეტულ ადგილას გარკვეულ საგანთა თავყრილობას: მცენარეებისა (ბალი, ბაყილო//ბაყლა, თელა, თხილი, ლელი, მსხალი, ტყემალი, ღოლო, ძირა), ჭალეზისა, გორებისა, კეხისებრი სიმაღლეებისა, ლამისა, ფიჩხისა, წერობისა.

ასევე ხშირია ისეთი ოიკონიმებიც, რომლებიც ან მეორეული აფიქსაციით, ანდა ფონეტიკურ პროცესთა ზემოქმედებით, ან კიდევ ორივე მიზეზით არიან წარმოქმნილნი დასახელებული ტიპის გეოგრაფიული სახელებისაგან:

1. მეორეული აფიქსაცია: თხილვან-ა (ხულოს მუნიც.) < ***თხილ-ოვან-ა** < **თხილ-ოვან-ი**; **ტყემლ-ოვან-ა** (ჭიათურის მუნიც.), შდრ. **ტყემლ-ოვან-ი** (ქარელის მუნიც.); **წაზლ-ოვან-ა** (ხაშურის მუნიც.) < **წაზლ-ოვან-ი**; **წიფლ-ოვან-ა** (ქარელის მუნიც.), შდრ. **წიფლ-ოვან-ი**;

2. ფონეტიკური პროცესები: **ვერხვანი** (ვანის მუნიც.) < **ვერხვ-ოვან-ი**; **ზედა ბზ-ვან-ი**, **ქვედა ბზ-ვან-ი** (ვანის მუნიც.) < ***ბზ-ოვან-ი**; **ცხინვალი** < **ქრცხინ-ვალ-ი** < **ქრცხილ-ვან-ი** < **ქრცხილ-ოვან-ი**; **ლეღვან-ი** (ხარაგაულის მუნიც.) < ***ლეღვ-ოვან-ი**; **ტყელვანი** (ვანის მუნიც.), შდრ. **ტყემლ-ოვან-ი** (ქარელის მუნიც.); **ქვემო ცხილონ-ი** (ახალგორის მუნიც.), შდრ. **რცხილ-ოვან-ი**;

3. კომპლექსური წარმოება: **ზემო ქლივანა** (ცხინვალის მუნიც.) < ***ქლიავ-ოვან-ა**; **თხინა** (ოჩამჩირის მუნიც.), შდრ. **თხინალა** (გორის მუნიც.) // **პატარა თხინალა** (ხაშურის მუნიც.), აგრეთვე **თხინვალა** (ხულოს მუნიც.) და **თხინ-ვალ-ი** (სოფლები თბილისის შემოგარენში, თეთრიწყაროსა და ოზურგეთის მუნიც.) < **თხილ-ოვან-ი**; **ნამახვანი** // **ნამოხვანი** < ***ნა-მახ-ოვან-ი** (წყალტუბოს მუნიც.), შდრ. **მახა** „ხორბლის ენდემური ჯიში“;

ამ გარემოებათა გათვალისწინება ხელს გვიწყობს, წამოიჭრას საკითხი ზოგიერთი ამჟამად გაუმჭვირვალე ოიკონიმის ეტიმოლოგიის შესახებ. მაგალითად, ხომ არ შეიძლებოდა გვევარაუდა, რომ იმავე მოდელს განეკუთვნება სოფელთა შემდეგი სახელები: **ვარდევან-ი** (ბორჯომის მუნიც.), შდრ. **ვარდ-ი**; **კოდმან-ი** (ქარელის მუნიც.), შდრ. **კბოდე** // **კოდმე**, ანდა **კოდ-ი**; **ხვან-ი** (საჩხერის მუნიც.), შდრ. **ხე** და სხვანი?

თ ე ი მ უ რ ა ზ გ ვ ა ნ ც ე ლ ა ძ ე

აუსლაუტური დიფთონგიზაცია აფხაზურ ენაში ნასესხები ლექსიკის მიხედვით

ჯერ კიდევ პ. ჭარაიამ და ნ. მარმა შენიშნეს, რომ აფხაზურ ენაში ნასესხები ზოგი ქართველური სიტყვა ბოლოვდება **ემ** მარცვლით: აბალრემ “ბელურა”, აფაფარემ “ურიკა”, ამძემ “მიძა”. თუ გავიხსენებთ იმ ფაქტს, რომ დასახელებულ სიტყვებს მეგრულში, იმერულსა და გურულშიც აქვს ამგვარივე ან მსგავსი დაბოლოება, შესაძლოა, დავასკვნათ, რომ ამ შემთხვევებში აფხაზურს უსესხებია ქართველური ფუძეები, რომელთა ამოსავალში ივარაუდება ბოლოკიდურა **ე ხმოვნად** ასიმილირებული **ა ხმოვანი** და სახელობითი ბრუნვის **-ო > -ა** ნიშანი: ბელურა-**ა** > იმერ. ბელურე[-**ა**] > მეგრ. ბალირე[-**ა**], გოგორა-**ა** < იმერ., გურ. გოგორე[-**ა**], მიძა-**ა** > იმერ., გურ., მეგრ. მიძე[-**ა**], შდრ. აკალემ „კალა“ < თურქ. ქალამ „კალა“.

ერთი შეხედვით, აქ თითქოს სადავო არაფერია, მაგრამ ამ სიტყვათა გვერდით იმავე აფხაზურში მეგრულიდან და ქართული სამწიგნობრო ენიდან ნასესხებია საკმაოდ დიდი რაოდენობის საკუთრივ ქართველური, თუ სხვა წარმომავლობის (სპარსულ-არაბული) ლექსიკური ერთეულები, რომლებიც ორიგინალში სრულებით არ შეიცავს **ამ > ემ** დიფთონგებს, მაგრამ აფხაზურ ენას ამ სიტყვებში მაინც მოეპოვება **ემ** კომპლექსი. ეს ჯგუფი უპირატესად მასდარებისა და ზმნებისაგან შედგება. მაგალითად:

ა-ბანდალემრა < ბანდალ-ი (ქართ. სამწ.), ა-კოპტიემრა „გამოკოპიტება; გამოჩორკნა“ < კოპიტ- ფუძე, ა-ფა[რ]თხალემრა „ძნელად გადაადგილება; ფართხალი“ < ფართხალ- ფუძე, ა-ჟარკალემრა „ბრჭყვიალი“ და ა-ჟარკალემ „მბრწყინავი“ < მეგრ. ვარკალ- ფუძე, ა-პატყალემრა „ტიტინი; გაუგებრად ლაპარაკი“ < მეგრ. პატყალ-ფუძე, ა-ხანდიემრა „შრომა“ < მეგრ. ხანდა სიტყვა და მრავალი სხვა.

არცერთ ამ მაგალითში ქართულ სამწიგნობრო ენასა და მეგრულში არ არსებობს დიფთონგის წარმოქმნის ფონოლოგიური გარემო, რის გამოც თამამად შეიძლება დავასკვნათ, რომ დიფთონგი-

ზაცია საკუთრივ აფხაზური ენის დონეზეა მომხდარი. ეს დასკვნა თავისთავად იმასაც გვაპარაულებინებს, რომ ბედურის, ურიკისა და ძიძის აღმნიშვნელ ფუძეებში ამ აფხაზურმა ტენდენციამ გაამყარა ბოლოკიდურა დიფთონგის პოზიციები.

გ ი ო რ გ ი გ ო გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი

ვედ/ვიდ ზმნის ფორმაწარმოების თავისებურებანი სამხრულ დიალექტებში

დიალექტური ინოვაციები ჩვეულებრივ სისტემით არის ნაკარნახევი – ენაში მიმდინარე ტენდენციის ასახვაა, ანდა ე.წ. „გამონაკლისის“ წესის ფარგლებში მოქცევის ფაქტი (პარადიგმის გასწორების მცდელობა). სწორედ ამის მაგალითად გამოდგება აჭარულსა და, საერთოდ, სამხრულ მეტყველებაში მომხდარი ერთი ცვლილება.

ვიციტ: **წასვლა** ზმნის წყვეტილის პარადიგმა ქართულში თავისებურია:

წა-ვედ-ი	წა-ვედ-ი-თ
წა-ხ-ვედ-ი	წა-ხ-ვედ-ი-თ
წა-ვიდ-ა.	წა-ვიდ-ნენ

ეს არის ერთადერთი შემთხვევა ქართულში, როცა ხმოვანმონაცვლეობა **ე/ი** (ხმოვნის ნაწილობრივი რედუქცია) ხდება წყვეტილის პარადიგმაში. სხვა შემთხვევაში **ე/ი** მონაცვლეობა წყვეტილში არ ხდება, ფუძეში **ე** ხმოვნის შემცველი ზმნები წყვეტილში ორგვარ ვარიანტს წარმოგვიდგენენ:

ა) **ე** ხმოვანი არ იცვლება:

ვ-წერ-ე	ვ-წერ-ე-თ
წერ-ე	წერ-ე-თ
წერ-ა	წერ-ეს და სხვა.

ბ) **ე** ხმოვანი სრულად რედუცირდება III პირის ფორმაში:

გავ-ჭერ-ი	გავ-ჭერ-ით
გა-ჭერ-ი	გა-ჭერ-ით
გა-ჭრ-ა	გა-ჭრ-ეს და სხვა.

ხმოვანმონაცვლეობა **ე-ი** ხდება სერიებს შორის ე. წ. ფუძედრეკად ზმნებში: **ვ-დრეკ** – **ვ-დრიკ-ე**. ეს ცნობილია. **ვედ/ვიდ** ზმნა ქმნის გამონაკლისს; როგორც ვთქვით, მესამე პირის ფორმაში ხდება **ე** ხმოვნის ნაწილობრივი რედუქცია. ასეა ეს ქართულში საერთოდ. განსხვავებულია ვითარება სამხრულ დიალექტებში.

აჭარულსა და სხვა სამხრულ დიალექტებში (შავშურში, კლარჯულსა და ტაურში) ამ ზმნის წყვეტილის პარადიგმა ასეთია (გვხვდება სხვადასხვა ზმნისწინით, ზმნისწინისეული ხმოვნის სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტით, მაგრამ ზმნისწინს ამჯერად ყურადღებას არ ვაქცევთ):

წე-ვედ-ი	წე-ვედ-ით
წა-ხ-ვედ-ი	წა-ხ-ვედ-ით
წე-ვდ-ა	წე-ვდ-ენ.

ე. ი. მესამე პირის ფორმაში მოხდა ხმოვნის სრული რედუქცია. ამ ცვლილებით **ვედ/ვიდ** ზმნა ჩადგა გავ-ჭერ/გა-ჭრ-ა ტიპის ზმნათა რიგში.

დიალექტში მომხდარი ცვლილება არის მცდელობა გამონაკლისის წესის ფარგლებში მოქცევისა.

ეს ზმნა ამ დიალექტებში სხვა თავისებურებასაც აკლენს. ყურადღებას მივაქცევთ სამი მწკრივის პარადიგმას:

უწყვეტელ-ხოლმეობითი

მი-ვდ-ოდ-ი	მი-ვდ-ოდ-ი-თ
მი-ხ-ვიდ-ოდ-ი	მი-ხ-ვიდ-ოდ-ი-თ
მი-ვდ-ოდ-ა	მი-ვდ-ოდ-ენ

I კავშირებითი

მი-ვდ-ოდ-ე	მი-ვდ-ოდ-ე-თ
მი-ხ-ვიდ-ოდ-ე	მი-ხ-ვიდ-ოდ-ი-ე-თ
მი-ვდ-ოდ-ე-ს	მი-ვდ-ოდ-ე-ნ

II კავშირებითი

მი-ვდ-ე	მი-ვდ-ე-თ
მი-ხ-ვიდ-ე	მი-ხ-ვიდ-ე-თ
მი-ვდ-ე-ს	მი-ვდ-ე/ო-ნ

ჩვეულებრივ ასეა: უწყვეტელ-ხოლმეობითში, I კავშირებითსა და II კავშირებითში მწკრივის ფუძედ წყვეტილის III პირის ფუძეა გამოყენებული:

- უწყვ.-ხოლმ. წა-ვიდ-ოდ-ი, წა-ხ-ვიდ-ოდ-ი, წა-ვიდ-ოდ-ა...
- I კავშ. წა-ვიდ-ოდ-ე, წა-ხ-ვიდ-ოდ-ე, წა-ვიდ-ოდ-ე-ს...
- II კავშ. წა-ვიდ-ე, წა-ხ-ვიდ-ე, წა-ვიდ-ე-ს...

სამხრულ დიალექტებში წყვეტილის მესამე პირში ვედ ფუძის უხმოვნო ვარიანტია წარმოდგენილი (ვდ), სალიტერატურო ქართულსა და სხვა დიალექტებში – o ხმოვნიაანი (ნაწილობრივ რედუცირებული) ვარიანტი (ვიდ).

სამხრულ დიალექტებში განსახილველ სამ მწკრივში მოსალოდნელი იყო, ყველა პირის ფორმაში ვდ ვარიანტი ყოფილიყო; სხვაობას სამივე პარადიგმაში ქმნის მეორე პირის ფორმა, სადაც სამხრული დიალექტებისათვის არადამახასიათებელი ვიდ ვარიანტი გვაქვს:

- | | |
|---------------------------|-----------------|
| უწყვ.-ხოლმ. მი-ხ-ვიდ-ოდ-ი | მი-ხ-ვიდ-ოდ-ი-თ |
| I კავშ. მი-ხ-ვიდ-ოდ-ე | მი-ხ-ვიდ-ოდ-ე-თ |
| II კავშ. მი-ხ-ვიდ-ე | მი-ხ-ვიდ-ე-თ |

თუ I-III პირებში ფუძისეული ხმოვნის დაკარგვის მიზეზი სუფიქსისეული ხმოვანია (*ვედ-ა >ვდ-ა, *ვედ-ოდ>ვდ-ოდ, *ვედ-ე >ვდ-ე), იმავე პროცესს რატომ ვერ იწვევს იგივე სუფიქსები მეორე პირში და რატომ ხდება აქ ხმოვნის ნაწილობრივი რედუქცია (*ვედ-ოდ>ვიდ-ოდ, *ვედ-ე>ვიდ-ე)? ანუ, კითხვა ეს არის: ერთსა და იმავე ფონეტიკურ გარემოში I-III პირებში რატომ ხდება სრული რედუქცია ფუძისეული ხმოვნისა (ვედ>ვდ) და II პირში – ნაწილობრივი რედუქცია (ვედ>ვიდ)?

პრინციპული თავისებურება მეორე სუბიექტური პირისა ის არის, რომ ფორმაში ხ- პრეფიქსია წარმოდგენილი. მაგრამ, არის კი ხ-პრეფისი კავშირში ფუძის გახმოვანებასთან? ვფიქრობთ, შესაძლებელია ამ კითხვაზე დადებითი პასუხის გაცემა. ორი ვერსიაა სავარაუდო:

I. ჩვეულებრივ ასეა: ზმნისწინისეულ ხმოვანზე ფონეტიკურ გავლენას ახდენს ზმნის ხმოვანპრეფიქსი (წე-ო-ყვანა, ე-ო-შენა...), ან ფუძისეული ხმოვანი (წე-ვიდა...). პროცესს გარკვეულწილად აბრკოლებს თანხმოვანპრეფიქსები: წა-მ-ო-ყვანა, წა-გვ-ო-ყვანა და არა წე-მ-

ო-ყვანა, წე-გვ-ო-ყვანა... (მომყავს ქვემოიმერულის მაგალითები); პროცესს **ხ**- პრეფიქსიც აბრკოლებს: წე-ვედი, წე-ვიდა მაგრამ წა-ხ-ვედ- (და არა წე-ხ-ვედი)... დავიხსოვოთ...

აჭარული დიალექტის ერთ-ერთი არსებითი თავისებურება ისიც არის, რომ სხვა დიალექტაგან განსხვავებით, ზმნისწინისეული ხმოვანი გავლენას ახდენს პრეფიქსულ ხმოვანზე: გა-ო-ქცა > გე-ო-ქცა > გე-მ-ქცა; და-ო-წყეს>დე-ო-წყეს>დე-მ-წყეს; მო-ო-ტანა>მე-ო-ტანა>მე-მ-ტანა (შ. ნიჟარაძე)... ორსაფეხურიანი პროცესი ხდება: პირველ საფეხურზე რეგრესული გავლენის საფუძველზე ხმოვანპრეფიქსი **ო**- იმსგავსებს ზმნისწინისეულ ხმოვანს (**ა-ო-ე-ი**); მეორე საფეხურზე პროგრესული გავლენის საფუძველზე ხმოვანპრეფიქსი განიცდის დისიმილაციას ზმნისწინისეული ხმოვნის გავლენით (**ე-ო-ე- ი**)... სწორედ ეს – პროგრესული გავლენა – არის აჭარულის თავისებურება.

საფიქრელია: ის ფაქტი, რომ პირველ-მესამე პირის ფორმებში **ვედ** ზმნის ფუძისეული ხმოვანი განიცდის სრულ რედუქციას, არ უნდა იყოს მხოლოდ სუფიქსისეული ხმოვნის გავლენის შედეგი; ზმნისწინისეული ხმოვნის გავლენაც (ანუ პროგრესული გავლენაც) უნდა იქნეს გათვალისწინებული... იქ, სადაც ეს გავლენა გამოირიცხა (მეორე სუბიექტურ პირში ამ გავლენას აბრკოლებს პრეფიქსი), ხდება ნაწილობრივი რედუქცია (მი-ხ-ვიდ-ოდ-ი...); ვფიქრობთ, შესაძლებელია ამგვარი ახსნა...

II. შეიძლება სხვაგვარი ახსნაც: II პირის ფორმაში **ე** ხმოვნის სრული რედუქციის შემთხვევაში წარმოიქმნებოდა საკმაოდ რთული თანხმოვანკომპლექსი **ხედ** (წე-ხედ-ოდ-ი, წე-ხედ-ე...)... ამ სირთულის თავიდან ასაშორებლად დიალექტმა გამოიყენა ფუძისეული ხმოვნის ნაწილობრივი რედუქცია... ეს ვერსიაც დასაშვებია... თუმცა უფრო მომხიბლავად პირველი ვერსია გვეჩვენება.

თამარ ვაშაკიძე

მუხრან მაჭავარიანი – „გამასავათა მამულზე ფიქრმა“

„ორი ცრემლიდან“ გაჰყურებს „ორწყალშუა“ ბედგადაწყვეტილ საქართველოს მუხრანი – „პატარა საქართველოს, – პატარას, თვალცრემლიანს“, „გოლგოთაზე უფრო ცივაბოს“.

მას შემდეგ, რაც „არგვეთის სივრცემ“ ჩააწვეთა „სულში ფირუზი“ და იხილა „აპრილის მზე“, მუხრან მაჭავარიანს ერთი დღეც კი არ უცხოვრია სამშობლოზე ფიქრის გარეშე. „ეს ქვეყანაა, მამაჩემმა რაც დამიტოვა“, – ამბობს პოეტი და ბოლომდე უერთგულებს მშობლიურ მიწა-წყალს – მართალი სიტყვით, საოცარი პოეტური შთაგონებით, თავდაუზოგავად.

„მამულზე ფიქრი“ გაცხადებულია ყველგან და ყველგან: სახელოვან წინაპართა ხსოვნაში („ქაქუც! – ავაჰმე! – აფსუს! – სადა ხარ“ ..., „ფარნავაზ მეფე რომ არა, ... მღვდელი თევდორე რომ არა“...), რუსთაველის, ილიას, ვაჟას, საბასა და სხვათა სახეებში („რუსთველი ახალი თუ გინდა, დავით...“, „...სევდას ვეებას, – იმედი რომ ებრძვის პაწია, – ილიასია, ვაჟასია თუ საბასია“...), „მრავალჭირვარამგადანახად“ ქართულ მიწაში („კრწანისის მიწად, ასპინძის მიწად, დიდგორის მიწად, მარაბდის მიწად – განა ქართველი არაერთი იმიტომ იქცა...“), მშობლიურ სიტყვაში („სიცოცხლეც მარტო იმიტომ მიინდა, რომ ჩემს საფლაგზე ყაყაჩოსავით ჰყვაოდეს სიტყვა, ქართული სიტყვა...“), მდინარეებში („ყალყზე შემდგარი შემომახტა გულზე არაგვი“ ..., „თუმცაღა ბევრი იბღავლა თერგმა, მერე დაოკდა ისიც...“, „უცხო წყალი ცხენისწყლობდეს?! უცხო წყალი ალაზნობდეს?! – არ მომხდარა არასოდეს“...), მოფრენილ ბოლოკარკაზში („მე ის არ მიყვარს, შიშს ვინც ყლაპავსო, ... შენ გენაცვალე, ბოლოკარკაზო...“), „ტოტისტოტისტოტშიც“ კი („და ტოტისტოტისტოტი ყოველი – საქართველოთი თუა სოველი...“).

„წარსულში“, „წმყოში“, „მერმისში“ – ყველგან ეძებდა მუხრან მაჭავარიანი იმ რაღაცას („ვეძებ და ვეძებ, რაღაცას ვეძებ, წარსულში ვეძებ, აწმყოში ვეძებ, მერმისში ვეძებ...“), რასაც საქართველოს ბედნიერება ჰქვია („ჩემი ბედკრული სამშობლოსი დღე ხვალინდელი, – დაბოლოებას ჰგავდეს მინდა რადგან ზღაპრისას...“), ამიტომაც სვამდა კითხვას, ვიპოვითო?... და გულანთებული უსმენდა თავისივე და-

ხილს გულისას („ვიპოვით! – რადგან, როგორც დევი, – ქართველი ხალხი, – თავს იმდენს ისევ იბამდა, რამდენსაც სჭრიდნენ...“).

მანც რა სურდა პოეტს? – იკითხავს მკითხველი...

„მსურს მხოლოდ იგი, –

რაც საბას სურდა:

კაცმა ქართველმა, –

მსურს, –

ქართულად ილაპარაკოს, –

და საქართველოს, –

საქართველო, –

მსურს, –

ერქვას მუდამ“.

გამასავათა მამულზე ფიქრმაო, – წერდა მუხრანი და ქართველ კაცს ერთი წუთითაც არ შეჰპარვია ეჭვი ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში, რადგან პოეტი მუდამ ცხოვრობდა საქართველოს ცხოვრებით – მისი ჭირით და ლხინით, მისი გულისცემით... მუხრან მაჭავარიანს „ქართველობანა“ არასოდეს უთამაშია და არც „მევირალა პატრიოტი“ ყოფილა ოდესმე, ხოლო როცა „სისხლის შადრევანი“ „შეშხუ-ოდა“ „ზეცას მშობლიურს“, მსოფლიო კი გულგრილად „ეთვალხუ-ჭებოდა“ ჩვენს „ვაი-ვაგლახს“, მუხრანი საქართველოსთან ერთად დაფავდა სულს – ღირსეულად, უღალატოდ:

„სინათლის არ ჩანს არსაით ხემსი,

უკუნეთია გარშემო სრული.

უბედურთ, – მე და სამშობლოს ჩემსას, –

ორთავეს ერთად ამოგვდის სული“.

ადამიანი არ უნდა იყო, კითხულობდე მუხრან მაჭავარიანის პოეზიას და თხემით ტერფამდე არ შეგძრას შენი ქვეყნის სიყვარულმა – თავისი ცით, მზით, მთით, ბარით, წყლით, ქართლ-კახეთით, იმერეთით, მესხეთ-ჯავახეთით, „ძამა გურულებით“, „ჯიმა მეგრელებით“, დიდგორით, კრწანისით, შამქორით, სვეტიცხოვლით, ხანძით, ვარძიით...

მუხრანის პოეზია უსათუოდ დაგაფიქრებს – ვინ ხარ შენ? რა არის შენი საკეთებელი საქმე? რისთვის ხარ მოსული ამქვეყნად? ამიტომაც მგონია, რომ მუხრანის ლექსია სწორედ ის ლექსი – „გააგულადებს რომელიც ლაჩარს..., კაცად მოაქცევს რომელიც ყაჩაღს...“

ძალიან ბევრი კარგი პოეტი ჰყავს საქართველოს... ხოლო მუხრანი – დიდია, აბსოლუტურად ინდივიდუალური თავისი ენობრივი კონსტრუქციებით, რითმულ-რიტმული სტრუქტურით, სინამდვილის ხედვით, ქართული ენის ხასიათის წვდომით, კოლოსალური პოეტური ემოციით, ინტონაციით, განწყობილებით, წარსულისა და მომავლის „ურთიერთშემსგავსებით“, დახვეწილი ირონიული ტონალობით, ხმით, გარეგნობით, სიკვდილითაც კი... მუხრანმა უდავოდ იპოვა საკუთარი თავიც და მკითხველის გულიც... გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მან ქართულ ენას დააჩნია საკუთარი, მუხრანისეული კვალი და მკითხველს კიდევ ერთხელ განაცდევინა (რუსთველის შემდეგ, ილიას შემდეგ, აკაკის შემდეგ, ვაჟას შემდეგ...) ქართული სიტყვის შნო და ლაზათი.

ერთ ლექსში მუხრანი წერს:

„თავისით უნდა წამოვიდეს,
რაც,
როგორც წვიმა!
თავისით უნდა დაიბადოს,
რაც,
ვით ენძელა
(თავისით –
ისე! –
ია ჩნდება
ვით ბუჩქის ძირას)! –
რაც ადამიანს,
თუ ეძლევა,
ღვთისგან ეძლევა! –
არ შეიძლება, –
რისიც შეძენა! –
მას:
შოთა ჰქვია!
ვაჟა ჰქვია!
აკაკი ჰქვია!...“

ჩამოთვლილთ გვერდით – დღეს ქართველთათვის მას მუხრანი ჰქვია...

მოხსენებაში წარმოჩენილი იქნება ის მხატვრულ-სტილისტიკური ქსოვილი ლექსისა, რომელიც ყველაზე მეტად დააჩნდა მუხრანის პოეზიაში „მამულზე ფიქრისას“.

მარინე კაკაჩია, ქეთევან მარგიანი,
მარინა ჯღარკავა

ქართველური ენების გრძნობა-აღქმის ზმნათა სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი

ქართველურ ენათა ზმნის სირთულის შესახებ საენათმეცნიერო ლიტერატურაში არაერთგზის აღნიშნულა. ამ სირთულეს უამრავი ფაქტორი განაპირობებს – პოლიპერსონალიზმი, აგლუტინაციურობა, საკმაოდ რთულ გრამატიკულ კატეგორიათა მრავალფეროვნება და შესაბამისად მათი მარკირების საკითხი, გვარისა და დიათეზის ურთიერთმიმართება, ინვერსია...

თანამედროვე ლინგვისტიკაში უკვე დამკვიდრებულად შეიძლება ჩათვალოს ენათა ტიპოლოგიური კლასიფიკაცია სინტაქსური მარკირებისა და სემანტიკური მარკირების ენებად. ქართული და სხვა ქართველური ენები მორფოლოგიური მარკირებისას ძლიერ სემანტიკურ მოტივაციას ავლენენ. უაღრესად საინტერესოა ი. მელიქიშვილის თვალსაზრისი არა სინტაქსური, არამედ, სწორედ, სემანტიკური მარკირების შესახებ, რომელიც დღემდე არსებულ არაერთ წინააღმდეგობრივ ვითარებას ხსნის, კერძოდ, ვ-ისა და მ-ის, როგორც სუბიექტური და ობიექტური რიგის, პირის ნიშანთა გარკვეული ჯგუფის ზმნებში ფუნქციური აღრევისა, აქედან გამომდინარე, ინვერსიისა... „ქართველური მორფოლოგიის რთული სინამდვილის აღწერა უნდა დავამყაროთ მისი ტიპის სწორ განსაზღვრას. მას არ უნდა წავუყენოთ მოთხოვნები, რომლებიც სხვა მორფოლოგიურ ტიპს შეესაბამება. მორფოლოგიური მარკირების ტიპოლოგიამ უნდა გავვცეს პასუხი კითხვაზე: რაზე არის ორიენტირებული მორფოლოგიური მარკირება – ა) სუბიექტ-ობიექტის სინტაქსურ ლოგიკურ მიმართებებზე თუ ბ) ზმნასთან დაკავშირებული აქტანტების სემანტიკურ ბუნებაზე? ანუ: მორფოლოგია ლოგიკურ-სინტაქსურად არის ორიენტირებული თუ სემანტიკურად. „ქართველურ ენათა პირის ნიშანთა ორი რიგის დაპირისპირება ასახავს არა სუბიექტურ/ობიექტურ მიმართებებს, არამედ აქტივისა და ინაქტივის დაპირისპირებას“ (ი. მელიქიშვილი).

პუბლიკაციის მიზანს კონკრეტული ენობრივი მასალის საფუძველზე სვანურსა და მეგრულ-ლაზურში საკითხის დასმა

წარმოადგენს. კერძოდ, აქტიურობა-ინაქტიურობის კატეგორიის, როგორც სახელთა და ზმნათა მორფოლოგიური გაფორმების განმსაზღვრელი მოვლენის, შესწავლა და ანალიზი. რამდენად მისდევს ამ თვალსაზრისით სვანური და მეგრულ-ლაზური ქართულს, როგორ ნაწილდება შესაბამისად აქტიური და არააქტიური პირის ნიშნები, ემთხვევა თუ არა ამის საფუძველზე გამოყოფილ ზმნათა მორფო-სემანტიკური ჯგუფები ქართულისას, რა სპეციფიკური ნიუანსები შეინიშნება.

საკმაოდ ვრცელი საანალიზო მასალის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ პირის ნიშნები სვანურსა და მეგრულ-ლაზურში მსგავსად სალიტერატურო ქართულისა შეიძლება კლასიფიცირდეს და დაჯგუფდეს აქტიურობა-ინაქტიურობის პრინციპით.

ინაქტიური ქვემდებარე ქართველურ ენებში აქვთ შემდეგი სემანტიკური ჯგუფის ზმნებს – გრძნობისა და შეგრძნებების, სხეულის მდგომარეობის, აზროვნებითი პროცესების გამომხატველ და ქონა-ყოლის აღმნიშვნელ ფორმებს. (მოხსენებაში დეტალურად იქნება წარმოდგენილი თითოეული ჯგუფის ზმნათა სტრუქტურული მოდელები და სემანტიკური ნიუანსები მარკირების საკითხის ანალიზითურთ). სვანურისა და მეგრულ-ლაზურის მონაცემების შეჯგურებით აშკარაა, რომ სემანტიკური მარკირებით დაჯგუფებული ზმნები ქართულის შესატყვისია და ერთიან ქართველურ სისტემას წარმოადგენს.

ი გ ო რ კ ე კ ე ლ ი ა

გვარსახელ „ჩიქობავას“ ეთნოისტორიისათვის

სოფელს, სადაც გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, აკად. არნოლდ ჩიქობავა დაიბადა, **საჩიქობავო** ჰქვია და ძველი სენაკის ადმინისტრაციულ ერთეულში შედის (სენაკის მუნიციპალიტეტი). აქ მცხოვრები ჩიქობავების გადმოცემით მათი წინაპარი, ორი ძმა, გვარად ჩიგოგიძე, გურიიდან ჩამოსულა. ერთი შხეფში დასახლებულა, მეორე – ძველ სენაკში. შხეფის მთავარანგელოზის ეკლესიას მა-

თი გვარის სალოცავად მიიჩნევდნენ. 1758 წლით დათარიღებულ შეწირულების წიგნში დასახელებულია საეკლესიო გლეხი ბაძღუელა ჩიქობავა.

გვარსახელ „ჩიქობავაში“ შეიძლება გამოიყოს „მოციქულის“ აღმნიშვნელი **ჩიქვ-** (შდრ. ქართ. **ციქ**) ფუძე-სიტყვა (შდრ. მეგრ. **ჩიქობავა** ქართ. **ციქობავა, ციქობაძე**) (თ. გვანცელაძე; პ. ცხადაია). ილია აბულაძე „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ განმარტავს: „**ციქუ** – მოციქულობა, მსახურება“ (აბულაძე, 1973). ზ. სარჯველაძის განმარტებით **ციქუა** იგივე შუამავლობაა (სარჯველაძე, 1995). საილუსტრაციო მასალა ძველი ქართული ტექსტებიდან: „რომლისათვის ესე **ვციქუ** ჯაჭვითურთ“ (ეფეს. 6, 20); „**ციქუს** წმიდათა მათ წინაშე“ (ანდ.-ანატ. 224, 1); „**ციქუა** ოხა, გინა მოციქულება... [ნ. ვმოციქულობ, ვსციქუ, ვციქუ, იმოციქულა, მოციქული (მანთანაც), სამოციქულო, საციქველი]“ (ს.-ს. ორბელიანი, 1928, 418); „**საციქველი** სამოციქულო“ (იქვე, 305); „**სამოციქულო** მოციქულთ სიტყუა“ (იქვე, 294); „აწ ხელი ჰკიდეთ **ციქვებსა**, მაგ მატყუარა ფლიდებსა!“ (დ. გურამიშვილი)... „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მიხედვით **ციქვი** ძვ. დესპანია, მოციქულია, ხოლო „მოციქულის“ სამი მნიშვნელობაა წარმოდგენილი: 1. ვინმესთან რაიმე დავალებით გაგზავნილი (მიგზავნილი პირი), შუამავალი; გადატ. მაუწყებელი, მომტანი, შემტყობინებელი (რაიმე ამბისა); წინამორბედი; 2. ისტ. ელჩი, დესპანი; 3. სახარების მიხედვით – იესო ქრისტეს მოძღვრების გამავრცელებელი თითოეული მოწაფეთაგანი (ქეგლ, VIII, 1964).

მოციქულისა და **ვციქუ** სიტყვების სემანტიკაზე მსჯელობა მოცემულია არნოლდ ჩიქობავას ნაშრომში – „სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში“: „**მო-ციქ-ულ-** (აწმყო: ციქუ-ს)... **ვციქუ** „ვმოციქულობ“, ე. ი. „ვიგზავნები“ (ბერძნ. „გაგზავნილი“), შდრ. მეგრ. ფუძე: **-ჩქვ-**: მი-და-**ჩქ-**უ, ჭან. მე-ნდო-**ჩქ-**უ „გაგზავნა“... მისივე „ჭანურ-მეგრულ-ქართულ ლექსიკონში“ ჩვენი კვლევისათვის საინტერესო სიტყვაზე შემდეგი მსჯელობაა მოცემული:

ჭან. ჩქვ-//შქვ-: მენდო-ჩქ-უ „გაგზავნა“

მეგრ. ჩქვ-: მიდა-ჩქ-უ „—“

ქართ. ცქვ-: ციქუ- [მო-ციქ-ულ-ი]

სვან. ციქუ-

ქართული **ცეც-//ციეც-//ძეც.** ქართ. **ციქუ**-ს შესატყვისია მეგრ.-ჭან. **ჩეც**-. ქართული ძირი წარმოდგენილია ქართული „გაგზავნილის“ აღმნიშვნელ **მო-ციქულ** სიტყვაში (ჩიქობავა). საინტერესოა ის გარემოებაც, რომ ალიო ქობალიას „მეგრულ ლექსიკონში“ **ციევი** განმარტებულია როგორც მოციქული; მალემსრბოლი (ქობალია).

არ არის გამორიცხული, რომ გვარსახელის ამოსავალი იყოს მეგრ. **ჩიქვა(ლი)** „პატარა, ტანდაბალი“; **ციქვა(ლი)** „პატარა და მარდი, ტანმორჩილი“ (მდრ. **ციქვინი** „სიპატარავე“, „სიცქვიტე“; **ციქორი**, **ციქუ** პატარა, **ციქუტანია** ტანმორჩილი (ა. ქობალია).

გვარსახელ **ჩიქობავასთან** დაკავშირებული ტოპონიმებია: **საჩიქობაშ გოლა** – მთა, ეკის მთის აღმოსავლეთი ნაწილი საჩიქობავოში; **საჩიქობაშ ღალ** – დელე; ნახურის მარცხენა შენაკადი ძველ სენაკში. საჩიქობავოდან გაედინება ჭიჭე შხევის მიმართულეებით; **ჩიქობაშ ნოხორი** – უწინ სახნავის სახელწოდება ყოფილა სოფ. ახალსოფლის (სენაკის მუნიციპ.) დასავლეთ ნაწილში; **საჩიქობაოში ჯიხა** – საგუშაგო ციხის ნაშთი საჩიქობავოში (გ. ელიავა). გ. ელიავა „ეკის სასოფლო საბჭოს“ ტოპონიმთა ნუსხაში დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე ადგილის სახელწოდებად ასახელებს **საჩიქობოს/საჩიქობას**.

ჩიქობავას **თური** (მოდგმა, გვარი, სამშო, სახლეული, ერთი დიდი ბაბუის შთამომავლობა) იყოფა ხუთ **დინოდ**, ერთი ჯურის შიდა განშტოებად (შტოგვარად): **ლევანიშ თური//ლევათურეფი**, **ხონკაშ თური//ხონკათურეფი**, **ლუკაიაშ თური//ლუკა(ია)თურეფი**, **ნიკოშ თური//ნიკო(იაშ)თურეფი**, **ჯოდლორიაშ თური//ჯოდლორიათურეფი**. ლევანი, ხონკა, ლუკაია, ნიკო და ჯოდლორია შტოგვართა ფუძემდებლები ყოფილან. აკად. არნოლდ ჩიქობავა **ხონკაშ თურის/ხონკათურეფის** შტოს ეკუთვნოდა.

ლ ე ვ ა ნ კ ე ლ ა უ რ ა ძ ე

საერთოქართველურ მჟღერ ჩქამიერთა ალოფონური განაწილებისათვის

ექსპერიმენტებით დადგენილია, რომ ქართველურ ენებში მჟღერი ჩქამიერი თანხმოვნები (ხშულები – ბ, დ, ძ, ჯ, გ, და ნაპრალოვნები – ზ, ჟ, ღ) სიტყვის თავკიდურში ყრუ ვარიანტებით რელიზდება, ხოლო ყრუ ბგერის მეზობლად და სიტყვის ბოლოკიდურში – მთლიანად ან ნაწილობრივ დაყრუებული ალოფონებით. მეტ-ნაკლებად სრულფასოვანი მჟღერობა ამ ფონემათა ვარიანტებისათვის დამახასიათებელია მხოლოდ ინტერვოკალურ პოზიციაში, ან ხმოვანსა და მჟღერ თანხმოვანს შორის (როგორც C-V, ისე V-C პოზიციაში). ასეთია ვითარება ქართულსა და მის დიალექტებში (გ. ახვლედიანი, თ. აბზიანიძე, ლ. გამსახურდია, ი. მელიქიშვილი და სხვ.), მეგრულში (ნ. იმნაძე, ი. მელიქიშვილი და სხვ.), ლაზურსა (ნ. კოზირია, ი. მელიქიშვილი და სხვ.) და სვანურში (ი. ლეჟავა, ი. მელიქიშვილი და სხვ.). როგორც ჩანს, ამგვარივე ფონეტიკური ბუნებითა და დისტრიბუციით ხასიათდებოდნენ აღნიშნულ ფონემათა ვარიანტები ძველ ქართულშიც (მ. ძიძიშვილი). ვფიქრობთ, რომ მჟღერ ჩქამიერთა ალოფონური განაწილების წარმოდგენილი სურათი დიდი მიახლოებით საერთოქართველურ ვითარებას ასახავს.

ც ი ც ი ნ ო კ ვ ა ნ ტ ა ლ ი ა ნ ი, მ ა რ ი ნ ე ბ ე რ ი ძ ე

ლემატიზაციის ზოგიერთი საკითხისათვის ქართულ დიალექტურ და სამეცნიერო მეტაენის კორპუსებში (ზმნა)

კორპუსების ტექსტების ავტომატური ანოტირების შემდეგ ეტაპზე მიმდინარეობს ლემატიზაციის შედეგების ტესტირება, რაც ითვალისწინებს მცდარი ფორმების გამოვლენასა და ამოუცნობი ფორმებისათვის ლემის მიწერას. მუშაობის პროცესში გამოიკვეთა

რიგი საკითხებისა, რომლებიც მოითხოვს ერთიან მიდგომასა და საერთო პრინციპების შემუშავებას.

ანალიზატორი, რომელსაც ჩვენი კორპუსებისათვის ვიყენებთ (Geo Trans), ემყარება ქართული ენის განმარტებით ლექსიკონს. ზმნის ლემად ანალიზატორში გამოტანილია მყოფადის მწკრივის მესამე პირის ფორმა. ჩვენ უპირატესობას ვანიჭებთ აწმყოს, თუმცა გარკვეულ შემთხვევებში ვტოვებთ მყოფადის ფორმებსაც. შესაბამისად, გამოიყოფა რამდენიმე ტიპური შემთხვევა, რომელთა მიხედვითაც სწორდება ავტომატური ანოტირების შედეგები.

1. ლემად მყოფადის მწკრივის მესამე პირის ფორმა გვაქვს აღებული ზმნისწინიანი ზმნებისათვის, რათა არ დაიკარგოს ზმნისწინიანი ზმნური ფორმის ზუსტი მნიშვნელობა:

გამიშვა	ლემა იქნება: გაუშვებს
დახედა	ლემა იქნება: დახედავს
გამომეღვიძა	ლემა: გამოიღვიძებს

2. თუკი ზმნურ ფორმას ზმნისწინი აწმყოში დაერთვის, მაშინ ლემად ზმნისწინიანი აწმყოს ფორმა გვაქვს გამოტანილი. ასეთია ძირითადად მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნები და პრეფიქსიანი ვნებითის ფორმები. მაგალითად, მიცურავს, დადის, მიფრინავს ფორმებია ლემად გამოტანილი. ასევე:

შეესაბამებოდეს	ლემა იქნება: შეესაბამება
გამოიხატებოდეს	ლემა იქნება: გამოიხატება
გამოიყო	ლემა იქნება: გამოიყოფა

3. დიალექტური ფორმებისათვის ლემად გამოტანილი გვაქვს სალიტერატურო ქართულის ფორმა.

„ვინცხას გოუცია ჩვენები“.

გოუცია	ლემა იქნება: გასცემს
„რა მოვხუცთი, ჯანი და ღონე მამაკტა“.	

მოვხუცთი	ლემა იქნება: მოხუცდება
მამაკტა	ლემა იქნება: მოაკლდება

იმ შემთხვევაში თუ სალიტერატურო ენაში დიალექტური ფორმის ეკვივალენტი არ იძებნება, ჩვენ ვქმნით „ვირტუალურ“ ლემას. მაგალითად: **შეიხუჭა** თმა“. ლემა იქნება: შეიხუჭავს; **დეისკიპარჭა**, ლემა იქნება: დაისკიპარჭებს.

4. მწკრივიმონაცვლე ზმნებში და ასევე მედიოაქტივებსა და მედიოპასივებში ფაქტობრივად სემანტიკური პარადიგმა კეთდება. ასეთ შემთხვევებში ლემა იქნება აწმყოს მწკრივის მესამე პირის ფორმა.

ა) მისცა	ლემა: აძლევს
მოიტანს	ლემა: მოაქვს
მოიყვანს	ლემა: მოჰყავს
თქვა	ლემა: ამბობს
უთხრა	ლემა: ეუბნება

ბ) იყიდა	ლემა: ყიდულობს
უჩივლებს	ლემა: უჩივის

5. რიცხვში მონაცვლე ზმნების ლემა მხოლოდითი რიცხვის ფორმაა:

გადაცვივდა	ლემა: გადავარდება
ჩამოცვივა	ლემა: ჩამოვარდება
სხედან	ლემა: ზის
დაჯდა	ლემა: დაჯდება

6. ორივე კორპუსში ამოუცნობ ფორმათა შორის ძირითადად ხვდება დიალექტური და ძველი ქართული ენის ფორმები. მეტაენის კორპუსში ძველი ქართული ენის ფორმები ხშირად არის გამოყენებული. მაგალითად, **შეხაბ**. ეს არის **შეხუაბ** ფორმა. ლემად აქ შევიტანეთ შეაბამს, მაგრამ **ხამს** ფორმის ლემად ხამს დავტოვეთ.

7. მეტაენის კორპუსში ავტორის მსჯელობისას ხშირად აღდგენილია ძველი ქართულის ზმნური (ე. წ. ვარსკვლავიანი) ფორმები. რაკი არ არსებობს ასეთი ფორმების რეალური ლემა, ის ადვილად მოძიებადი რომ იყოს, გადავწყვიტეთ ლემად აგველო მასდარული ფორმა. მაგალითად:

იშდვის	ლემა: სიშდვილი
იძვის	ლემა: სიძვა

მუშაობის პროცესში შეიძლება კიდევ გამოჩნდეს ზმნათა ისეთი ჯგუფები, რომელთა ლემატიზაციაში არ არის ერთგვაროვნება და, შესაბამისად, ასეთი ფორმებიც მოექცევა ლემატიზაციის ერთიან კონცეფციაში.

გ უ ჩ ა კ ვ ა რ ა ც ხ ე ლ ი ა

აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას გამოსვლათა შესახებ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებებზე

არნოლდ ჩიქობავას, როგორც პიროვნების, მეცნიერისა და სახელმწიფოებრივად მოაზროვე ადამიანის პორტრეტს საინტერესო შტრიხებს სძენს სტენოგრაფიული ანგარიშები, რომლებიც დაცულია ეროვნული აკადემიის არქივში. არქივის თანამშრომელთა მიერ მოძიებული და კოპირებული, ჩვენთვის გასაცნობად გადმოცემული, ამონარიდი დღეისათვის თორმეტია.

როგორც მოველოდით, ამოკრებილი მასალა ძალიან საინტერესოა. აქ თავს იყრის თემატურად და ჟანრობრივად მრავალფეროვანი პასაჟები, რომლებსაც ატყვია დიდი მეცნიერისა და დიდბუნებოვანი ადამიანის განუმეორებელი ინდივიდუალურობის ნათელი კვალი: მნიშვნელობა არა აქვს იმას, საქმე ეხება უბრალო შეკითხვას (იგი სინამდვილეში არასოდეს ყოფილა „უბრალო“ და „მარტივი“), შენიშვნას, შესწორებას, შეფასებას თუ საჭიროების შემთხვევაში ამა თუ იმ მეცნიერის დახასიათებას, მხარდაჭერას, მსჯელობას აკადემიის სტრუქტურის შესახებ, კადრების აღზრდისა და შერჩევის საქმეს, სამეცნიერო მოხსენებათა მსმენელის პრობლემასა თუ სხვ. და სხვ.

მოხსენებაში განიხილება არნოლდ ჩიქობავას გამოსვლათა ჩანაწერები 1942 წლის 23 თებერვალსა და 12 მარტს საერთო კრებაზე, რომლებიც აკადემიკოს ნიკო მუსხელიშვილის თავმჯდომარეობით გაიმართა. მათზე მსჯელობა იყო აკადემიის არსებობისა და მუშაობის პირველი წლის შესახებ, რასაც არნ. ჩიქობავას ორი ვრცელი გამოსვლა მიუძღვნა. აღნიშნულ გამოსვლებში შეფასებული იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არსებობის დიდი როლი და სი მოულოდნელად შექმნილი ვითარებაც, რაც სამამულო ომის დაწყებამ მოიტანა: სრულიად განსაკუთრებული ამოცანები დაისვა აკადემიის კვლევითი ინსტიტუტების წინაშე, მათ გადაუდებელი პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტა უწევდათ. ამ გარემოების აღნიშვნასთან ერთად, არნოლდ ჩიქობავა გახაზავდა, რომ პრაქტიკულ ამოცანათა გადაწყვეტა შეუძლებელია თეორიული აზროვნების, თეორიული კვლევა-ძიების დონის ამაღლების გარეშე.

„აი, ამ პრაქტიკის გადაუდებელ ამოცანათა უკეთ გადაწყვეტა კი არ გულისხმობს თეორიული კვლევა-ძიების განულებას, არამედ მოითხოვს ამ მუშაობის გაგრძელებას და შეიძლება შემთხვევითი არ იყოს ის, რომ სწორედ აქ მივიღეთ ჩვენ ყველაზე მეტი ეფექტი, სადაც ეს თეორიული კვლევა-ძიება ჯეროვან სიმაღლეზე იდგა“. ამასთანავე, გამომსვლელი აცხადებდა, რომ აკადემია თავისი არსებობის პირველ წლებში საქართველოში მეცნიერული აზროვნების ძირითადი კერაა, რაც იმას ნიშნავს, რომ მეცნიერული აზროვნების ტრადიციის შექმნა-განმტკიცებაში მას განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აწევს. მართალია, მეცნიერული აზროვნების ტრადიციას საქართველოში ადრე ჩაეყარა საფუძველი, ამ საქმეში სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველობა საყოველთაოდაა ცნობილი, მაგრამ ამჟამად სიმძიმის „ცენტრი მეცნიერული აზროვნების ტრადიციის თვალსაზრისით აკადემიაშია გადასული“.

არნოლდ ჩიქობავამ ასევე საინტერესოდ და კონსტრუქციულად დააყენა მეცნიერული თვალსაზრისის პრინციპულობის და მეცნიერული ეთიკის დამყარება-განმტკიცების საკითხიც, რასაც იგი სიცოცხლის ბოლომდე უმნიშვნელოვანესად მიიჩნევდა.

მ ა კ ა ლ ა ბ ა რ ტ ყ ა ვ ა

-გან და -იდან (-დან) (-ით-გან) თანდებულის ფორმათა სემანტიკისა და მართლწერისათვის

ნაირგვარია **-გან/-იდან (-დან) (←-ით-გან)** თანდებულის ფორმათა სემანტიკური ფუნქციები.

-გან დაერთვის სახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმას და აღნიშნავს: 1) განყოფას, მოცილებას, მოშორებას („**ქობისაგან** საკმაოდ მოშორებით ზღვის ტალღები ლივლივებდა მიზეზე“...), 2) წყაროს, ვისგან ან რისგანაც მომდინარეობს ზმნით გამოხატული მოქმედება („**დედისგან** შვილს რისხვა მოელოდა“...), 3) მასალას („**თხილის გულისაგან** დამზადებული მინიატურული ქანდაკება გაგაოგნებთ“...), 4) მოქმედების მიზეზს („მძლავრი **წვიმისაგან** გააქტიურდა მდინარე ვერე“...).

-**იდან** (-**დან**) (←**ით-გან**) მოქმედებითი ბრუნვის თანდებულა, გამოხატავს მოქმედების ადგილსა („მეგობრები გიორგის **ხინიდან** გამოვიდნენ“, „**წყაროდან** დოქით მოურბენინა წყალი ვანოს“...) და დროს („**დილიდან** ნაცრისფრად ცრიდა“, „ამ საოცარმა ლეგენდამ **ბავშვობიდანვე** გამიტაცა“...).

კითხვებზე ვისგან? და რისგან? მოგვიგებს ნათესაობითი ბრუნვის **-გან** თანდებულიანი ფორმები („**მასწავლებლისაგან** წერილი მიიღო“, „**მდინარისაგან** ცოტა მოშორებით ერთ დიდ ქვაზე ჩამოჯდა“, „ნიკამ **ხისგან** გამოთალა სალამური“, „მარინე ვაჟის **მზისგან** დამწვარ მკლავებს დასცქეროდა“), ხოლო კითხვებზე საიდან? რა დროიდან? – **იდან** (-**დან**) თანდებულიანი მოქმედებითი („**ოქტომბრიდან** მოყოლებული დღედაღამ წვიმდა“, „**სტუდენტობიდანვე** ჰყვარებია მართას გიორგი“...), თუმცა **-გან** და **-იდან** (-**დან**) თანდებულიანი ფორმათა აღრევის შემთხვევები მაინც დასტურდება: „ხშირად ათვალიერებდა ფუტკრის სკებს, რომლებიც **სახლისგან** ოდნავ მოშორებით გვედგა“, შდრ.: „ჩვენი **ეზოდან** ცოტა მოშორებით სამანქანო გზა გაიყვანეს“, „**გიორგისგან** რომ ვბრუნდებოდი, სწორედ მაშინ შემხვდა ელენე“, შდრ.: „ირაკლი რომ შემხვდა და მკითხა, საიდან მოდიხარო, ცოტა დავიბენი და მაშინვე მივახალე, **მეგობრიდან** მოვდივარ-მეთქი...! ვიცრუე და ცოტა შემრცხვა, „სალამოს ჩვენი ეზოს **ქლიავისგან** დამზადებულ მურაბას მივირთმევდით“, შდრ.: „**ქვიდან** ჩამოთლილ ქანდაკებას გაცეცხული მივშტერებოდით მე და მერაბი“, „**სიცივისაგან** მთლად გათოშილიყო ლევანი“, შდრ.: „**ყინვიდან** დამზრალ კვირტებს თვალცრემლიანი გავსცქეროდი“...

გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როცა ორივე (**-გან** და **-იდან** თანდებულიანი) ვარიანტი მართებული ჩანს ერთსა და იმავე პოზიციაში, მაგ.: „ამ **სახელებისგან** ნაწარმოებ ზმნებს თავისებური სემანტიკა აქვთ“, შდრ.: „დასახელებული **ზმნებიდან** ვერ ვაწარმოებთ პრეფიქსიან ვნებითებს“, „ეს სემანტიკა სახელის **ფუძისგან** მომდინარეობს“, შდრ.: „ნაცვალსახელის **ფუძეებიდან** მიღებული ზმნებია“... ვფიქრობთ, ასეთ შემთხვევებში ორივე კითხვა (რისგან? და საიდან?) დასაშვებია.

ძალიან ხშირად ერთმანეთს ენაცვლება ნათესაობითი ბრუნვის **თანაინი** მრავლობითის **-გან** თანდებულიანი და მოქმედებითი ბრუნვის **ებიანი** მრავლობითის **-იდან** თანდებულიანი ფორმები, მაგ.: „ამ **სიტყვათაგან** შეარჩიეთ სწორი ვარიანტი“, შდრ.: „მოცემუ-

ლი ფორმებიდან ამოწერეთ მართებული ვარიანტები“, „მარადმწვანე მცენარეთაგან რომელი გვხვდება საქართველოში?“, შდრ.: „მარადმწვანე მცენარეებიდან რომელი ხარობს საქართველოში?“... ამ შემთხვევებშიც ალბათ ორივე (-გან და -იდან თანდებუნიანი) ვარიანტი მისაღებია. საინტერესოა, რომ ყველა მაგალითში წარმოჩენილია „გამორჩევილობის“ სემანტიკა. სხვაობა მათ შორის, ვფიქრობთ, მხოლოდ სტილებრივია.

ნ ა ნ ა ლ ო ლ ა ძ ე

დროული მიმართებების აღნიშვნელი თანდებულები ქართულში

სივრცული და დროული მიმართებების ამსახველ ენობრივ საშუალებებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს თანდებულს. თანდებულთა საკლასიფიკაციოდ სხვადასხვა კრიტერიუმი გამოიყენება: 1. მართვა ბრუნვაში; 2. თანდებულთა დანიშნულება; 3. თანდებულთა სემანტიკური ფუნქციები.

უკანასკნელ ხანს დიდი ყურადღება ექცევა თანდებულთა სემანტიკურ კლასიფიკაციას. თანდებულთა სემანტიკური კვლევა, მათი ლექსიკური სტრუქტურის აღწერა აქტუალურია, რადგან მრავალ თანდებულს აქვს დამოუკიდებელი ლექსიკური მნიშვნელობა და აღნიშნავს კონკრეტული სახეობის მიმართებას საგნებსა და მოვლენებს შორის.

ტრადიციულად თანდებულები განიხილებოდა უპირატესად სინტაქსის ფარგლებში, რაც არ იძლევა სივრცული და დროითი მიმართებების ამსახველი თანდებულების სემანტიკური სტრუქტურის სრულად გამოვლენის საშუალებას. კოგნიტიური ლინგვისტიკის განვითარებასთან ერთად, გაჩნდა ახალი მიდგომები, რამაც ენობრივი მონაცემების, მათ შორის თანდებულთა შესწავლის არეალი უფრო გააფართოვა. თანდებულის მნიშვნელობა განიხილება როგორც მისი ლექსიკური და გრამატიკული კომპონენტების ერთობლიობა. გრამატიკულში იგულისხმება თანდებულის საშუალებით გამოხა-

ტული სინტაქსური კავშირი სიტყვებს შორის, ხოლო ლექსიკურში – ის ინფორმაცია, რომელსაც თანდებული გადმოგვცემს ობიექტისა და დენოტატური სიტუაციის შესახებ.

დროული მიმართებები გამოიხატება თანდებულის დართვით ისეთ სახელებზე, რომლებიც დროს, ხდომილებებს აღნიშნავს, თუმცა თანდებულთა შერჩევისას გარკვეული შეზღუდვა შეინიშნება, გარდა ამისა, ერთი და იგივე სახელი სხვადასხვა თანდებულის დართვისას განსხვავებულ თვისებებს ავლენს. აქ მთავარ როლს თამაშობს თანდებული, რამდენადაც სწორედ თანდებული შეიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ კონკრეტულად დროული სემანტიკის რომელი კომპონენტი გამოდის წინა პლანზე მოცემულ სიტუაციაში. მაგ., 2 საათზე, 2 საათში, 2 საათისთვის, 2 საათის წინ და ა. შ.

თანდებულები, რომლებიც დროულ მიმართებებს აღნიშავენ, ორ ჯგუფად იყოფა: 1. თანდებულები, რომლებიც დროულ ლოკალიზაციას ახდენენ (დროის ათვლის წერტილზე მიუთითებენ) და 2. თანდებულები, რომლებიც დროის ხანგრძლივობას აღნიშნავენ.

სალიტერატურო ქართულში დროის ლოკალიზაციისათვის, როდესაც საჭიროა კონკრეტული მომენტის ფიქსირება (როდის?), გამოიყენება უთანდებულო მიცემითის ფორმა. ენაში, განსაკუთრებით მის დიალექტებში, შეიმჩნევა თანდებულის დართვის არეალის გაფართოების ტენდენცია.

თ ა მ ა რ ლ ო მ თ ა მ ე

დალოცვის, შეგონებისა და წყევლის ფორმულები ქუთაისელ ებრაელებთან

ქუთაისელ ებრაელებს საქართველოში მცხოვრებ ებრაელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი როლი ეჭირათ რელიგიური, პოლიტიკური, სოციალური, კულტურული თუ ენობრივი თავისებურებების თვალსაზრისით.

ებრაელთა მეტყველებაში გამოვლენილია ერთეულები, რომლებიც აღნიშნავენ მატერიალური კულტურის რეალიებს და რომ-

ლებშიც კულტურულად ფასეული ინფორმაცია ასახულია მნიშვნელობის დენოტაციურ ასპექტში და ერთეულები, რომლებშიც კულტურულად ფასეული ინფორმაცია გამოიხატება მნიშვნელობის კონოტაციურ ასპექტში.

როგორც ცნობილია, სამყაროს აღქმისა და შემეცნების პროცესს თან ახლავს ადამიანის შეგრძნებები, განცდები, წეს-ჩვეულებებთან დაკავშირებული ემოციები, რაც გამოსჭვივის სიტყვებში, ფრაზებში, რომლებსაც ქმნის კონკრეტული სოციუმი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ მხრივ მყარი შესიტყვებები, მათ შორის შეგონებების, დალოცვის, წყევლის ვერბალური ფორმების შესწავლა.

მართლმადიდებელი ქართველებისა და იუდეველი ებრაელების მეტყველებაში არსებული დალოცვისა და წყევლის ფორმები ზოგჯერ საერთოა, თუმცა განსხვავებაც ხელშესახებია. აღნიშნული განსხვავებული ფორმები ყველაზე უკეთ გამოხატავენ როგორც ენობრივ, ასევე კულტურულ, სოციალურ თავისებურებებსა და რწმენა-წარმოდგენებს.

დალოცვის ფორმებში ქუთაისელ ებრაელებთან **შალომი** და **დოვლათი** წამყვანი: შალომი და დოვლათი არ მოგაკლდეს, შალომიანათ იარე, შალომიანი წელი გედირსა და სხვა. ხშირია დაგენაცვლე და გედროვა სიტყვების გამოყენება.

რაც შეეხება წყევლის ფორმულებს, სხვაობა აქ უფრო საგნრძნობია. ებრაელები ცდილობენ მკვეთრად უარყოფითი კონოტაციის სიტყვები არ გამოიყენონ, ან მოიხმარენ ებრაულ სიტყვებს, რადგან მათი მნიშვნელობა უცნობია საზოგადოების სხვა წევრთათვის. მაგ: მაგნაირ უყურა და კაი მოუკვდა, ვისაც ჩემთვინ ცუდი უნდა. მაგის კიბეზე ამოვიდა ბალახი, შავი წელიწადი დაუდგა, ვუი მაგას, დამნაცვლებია თავში, ეტაკა ქარეთი, ოთხი კაცის უფროსობა ეღირსა, დაღებთა და სხვა.

ებრაული თემი საქართველოში ერთგვარ ჩაკეტილ სოციუმს ქმნიდა (განსაკუთრებით მეოცე საუკუნის 60-იან წლებამდე). ისინი ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად არ მონაწილეობდნენ. საუკუნეების განმავლობაში საკმაოდ ფრთხილი ხალხის იმიჯი დაუმკვიდრდათ. სწორედ მათი ცხოვრების წესიდან გამომდინარე გავრცელდა შეგონებებად ქცეული გამოთქმები, რომლებიც საზოგადოებაში ცნობილია როგორც ებრაელთათვის დამახასიათებელი შეგონებები: არას მთქმელი იცინოდა და კის მთქმელი

ტიროდა, ამხანაგი რომ კარგი იყოს ღმერთსაც ეყოლებოდა, ჯერ სხვას ათქმევინე და შენი მერე თქვი, ვაჭარს შვილი რომ მოანათვლინო, მაინც ვაჭარია და სხვა.

ებრაულში დაფიქსირებულ ემოციების გამომხატველ ფორმა-თა გამოყენება დამოკიდებულია რწმენა-წარმოდგენებზე, ინტელექტზე, განათლების დონესა და კრეატიულობაზე.

ქეთევან მარგიანი, მირან და ჩუბინიძე

ო-R-წლ / ო-R-იელ/ელ სტრუქტურის ზმნები ქვემო სვანურში

სვანური ენა უაღრესად მდიდარია ყოფითი ლექსიკით, რომელსაც ქმნის ერთი და იმავე საგნისა თუ მოქმედების აღმნიშვნელი ორი ან მეტი სახელწოდება ყველა დიალექტში; „სვანურში დაცული ძველი ყოფისა და წარმართობის ამსახველი უძველესი ლექსიკა და გამოთქმები, არქაული გრამატიკული წყობის გადმონაშთები და მდიდარი ფოლკლორი შესაძლებლობას იძლევა, წარმოდგენა ვიქონიოთ ქართველ ტომთა ღრმა აზროვნებასა და მაღალ კულტურაზე; იგივე საფუძველს ქმნის იბერიულ-კავკასიურ და ძველადმოსავლურ ენათა გენეტური ურთიერთობის საკვანძო საკითხთა გადასაჭრელად. ამიტომ ბუნებრივია ის დიდი ინტერესი, რომელიც სვანური ენის ყოველმხრივ შესწავლას ახლავს. ამ ინტერესით არის გამოწვეული მისი ფონეტიკური სისტემისა და გრამატიკული წყობის ისტორიულ ასპექტში აღწერის აუცილებლობა, ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკისა და თარგმნითი თუ შედარებითი ლექსიკონების შედგენის საჭიროება“ (ვარლამ თოფურია).

საანალიზო მასალა (300-მდე ლექსიკური ერთეული) ამოვკრიბეთ **ასლან ლიპარტელიანის „სვანურ-ქართული ლექსიკონი-დან“**; ამჯერად ყურადღება შევაჩერეთ სიარულისა და გადაადგილების აღმნიშვნელ ზმნებზე, რომლებიც, ძირითადად, III პირის ფორმებითაა წარმოდგენილი ჩოლურულ ლექსიკონში. ეს ზმნები უაღრესად საინტერესო აღმოჩნდა როგორც აგებულების, ასევე სემანტი-

კის თვალსაზრისით. ცალკე ჯგუფად გამოვყავით ცხოველთა სიარულის გადმომცემი სიტყვები.

გადაადგილების აღმნიშვნელი მრავალფეროვანი ლექსიკიდან ჯერჯერობით შევცებით მხოლოდ სამუალო გვარის **o-R-წლ/o-R-აქლ** სტრუქტურის ზმნებს, რომლებშიც წარმოჩენილია არა მხოლოდ ძირითადი მნიშვნელობა, არამედ სხვადასხვა სემანტიკური ნიუანსები. მაგალითად: „სვლის“ ზოგადი შინაარსის მაჩვენებელი აწმყოს მწკრივის III პირის ფორმა მხოლოდით რიცხვში **oზელწლ** („დადის, დაიარება“) გამდიდრებულია ისეთი კონკრეტული სემანტიკის მქონე ვარიანტებით, როგორცაა: **o-კოჩ-წლ** („მაღალი კაცი ძლივს დაიარება“, შდრ., იმერული **კოჩ-იალ-ოზ-ს** („ფეხებუთანასწორო კაცი ძლივს დადის კოჭლივით“), **o-წმან-წლ** („საეშმაკოდ, ბოროტად დაიარება“, შდრ. ძვ. ქ. **მაენე-ა** („ზიანის მიმყენებელი“), ახ. ქ. **მაენე სული** („ეშმაკი, ავი სული“), ზსვ./ლშხ. **მატინ**, ლნტ. **მწტინ** („მავნე, ხელშემშლელი“), **o-მინდტურ-აქლ** („თავისუფლად დაიარება ყანაში“), შდრ. მესხური **გა-მინდვრ-ებ-ა** („გათამამება, თავს გასვლა, გაბედულების მომატება“), **o-ჯწჯ-უნ-წლ** („ცუდტანსაცმლიანი დაბალი ადამიანი დაიარება“), შდრ. ქართული **ძონძ-ო** და ა. შ. ანალოგიურ შემთხვევებში გადაადგილების სხვადასხვა სემანტიკურ ნიუანსს, ძირითადად, განაპირობებს მედიოპასიურ ზმნათა ამოსავალი სახელური ძირი.

გარდა მორფემულ-ეტიმოლოგიური ანალიზისა, ჩვენი საილუსტრაციო მასალა მეტად ყურადსაღები აღმოჩნდა **გენდეროლინგვისტიკის** თვალსაზრისითაც, ოღონდ, გასათვალისწინებელია, რომ ასლან ლიპარტელიანის ლექსიკონში ზოგჯერ გადამწყვეტია ავტორის სუბიექტური დამოკიდებულება გარკვეულ ძირთა გააზრებისადმი. ასე მაგალითად: **o-გოგ-აქლ** „უთავბოლოდ დაიარება გოგის კაცი“ (**გოგ-** გაუგებარია!) კი არ უნდა იყოს, არამედ „ქალის გოგმანს“ უნდა აღნიშნავდეს (შდრ. ჩოლურული **ან-გოგ-აჟ-ო** „გოგმანებს“).

მართალია, ჩვენს საანალიზო ლექსიკონს „ჩოლურული კილო“ ეწოდება, მაგრამ მასში ერთმანეთშია „ათქვეფილი“ ლაშხურ-ლენტეხურ-ჩოლურული მონაცემები, ზოგჯერ კი ზემოსვანურიც დასტურდება. **აუცილებელია მათი ერთმანეთისაგან გამიჯვნა, სხვაგვარად გარდამავალი მეტყველების სპეციფიკის კვლევა გართულდება.**

ქეთევან მარგიანი - სუბარი

ერთი საერთაშორისო ლინგვისტური ცნების მიმართების შესახებ ქართველურ ენობრივ სივრცესთან

ევიდენციალობა საერთაშორისო ლინგვისტიკაში დამკვიდრებული ცნებაა. ის პირველ რიგში ტექსტის კატეგორიაა და გულისხმობს დამოკიდებულებას ამ ტექსტში გადმოცემულ ინფორმაციასა და მთქმელს შორის: ინფორმაცია ინფორმატორისთვის პირდაპირი აღქმის ნაყოფია და იდეალურად სანდო, თუ სხვა წყაროდან („მეორე ხელიდან“) მიღებული და, ამდენად, მოვლენის შესახებ „იდეალურ ცოდნას“ (S. DeLancey) დაშორებული;

რუსულ ენაზე საანალიზო სიტყვას, როგორც სალექსიკონო ერთეულს, შემდეგნაირად თარგმნიან: „**ясность, наглядность, очевидность**“, მაგრამ მისი, როგორც ლინგვისტური ცნების, გაგებაც და განმარტებაც უფრო ფართოა; ვიკიპედიაში ვკითხულობთ: Категория **эвиденциальности** в лингвистике – набор грамматических или лексических значений, выражающих эксплицитное указание на источник сведений говорящего относительно сообщаемой им ситуации";

განსხვავებული სტრუქტურის ენებში ამ კატეგორიის შინაარსობრივი და ფორმალური გამოხატვის საშუალებათა მრავალფეროვნების გამო, მეცნიერთა მიერ მისი განმარტება არაერთგვაროვანია, თუმცა კატეგორიის ერთი უნივერსალური მახასიათებელი ყველა ენათმეცნიერისეულ დეფინიციაში მაინც არის: **ევიდენციალობა – ეს არის კატეგორია, რომელიც მიუთითებს გადმოცემული ფაქტის წყაროზე** [მთქმელი მოვლენის შესახებ გვატყობინებს სხვა პირისგან მიღებული ინფორმაციის (ციტაცია), სიზმრების, წინასწარი ჭვრეტის ან საკუთარი გამოცდილების მონაცემებზე დაყრდნობით].

არსებობს ცნებები: პირდაპირი ევიდენცია და ირიბი ევიდენცია; ზოგიერთ ენაში (ამერიკელ ინდიელთა აზორიგენულ ენებში – ტუიუკუს, ტუკანოს, შიპიბო-კონიბოს, ვინტუს...), პირდაპირევიდენციალური (პირდაპირდადასტურებული, პირდაპირადქმული) ფორმებიც მარკირებულია, უფრო მეტიც, ცალ-ცალკე მარკერებით აღინიშნება ვიზუალური ევიდენცია, ყნოსვადი ევიდენცია და ა. შ. (Aikhenvald), მაგრამ, ვინაიდან ენათა დიდ უმრავლესობაში ოპოზიციის

მარკირებული წევრი მხოლოდ ირიბი ევიდენციალობაა, ამიტომ სპეციალურ ლიტერატურაში უმეტესად გამოიყენება ტერმინები: ევიდენციალური (ირიბი) და არაევიდენციალური (პირდაპირი);

ქართველურ ენებში ევიდენციალობა გრამატიკული კატეგორიაა; ამ ენებშიც მხოლოდ ევიდენციალური ფორმებია მარკირებული (მორფოლოგიურ, სინტაქსურ თუ ლექსიკურ დონეზე). ამ მონაცემთა და სხვადასხვა ენის სპეციალისტთა მიერ მოცემული დეფინიციების (რომლებსაც მოხსენებაში ვრცლად განვიხილავთ) შეჯერებითა და გათვალისწინებით, ვფიქრობთ, ქართულ ლინგვისტურ ცნებათა ლექსიკონში საანალიზო კატეგორიის ოპტიმალური განმარტება შემდეგია: **ევიდენციალობა არის კატეგორია, რომელიც გამოხატავს მთქმელის პოზიციას, ინფორმაცია მის მიერ პირდაპირ აღქმული ან მასთან გატოლებულია, თუ ირიბი წყაროდან მიღებული (ამა თუ იმ ენის სტრუქტურის მიხედვით, ოპოზიციის ერთ-ერთი ან ორივე წევრი მარკირებულია გრამატიკულად ან ლექსიკურად);**

ვ ა ხ ტ ა ნ გ მ ა ლ რ ა ძ ე

უცხოური კომპოზიტების დაწერილობისათვის

უცხოური კომპოზიტების ან შესიტყვებების გადმოცემისას თანამედროვე ქართულში სრული სიჭრელეა. მათი დაწერილობისას სამი ვარიანტია გამოყენებული: ცალ-ცალკე, დეფისით და ერთად. ყოველი ორგანო თუ კერძო პირი საკუთარი შეხედულებით ხელმძღვანელობს.

მასალად საგანგებოდ ოცდაათიოდე წლის წინანდელი ვითარება გამოვიყენეთ. რთული სიტყვები არა დღევანდელი პრესიდან თუ მხატვრული ლიტერატურიდან, არამედ ცნობილი ქართველი ენათმეცნიერის, ლექსიკოლოგ მიხეილ ჭაბაშვილის მიერ შედგენილი და 1986 წელს გამოცემული „უცხო სიტყვათა ლექსიკონიდან“ ამოვწერეთ. საინტერესოა, რომ თავად უცხოური კომპოზიტების დაწერილობისას არაა დაცული ერთგვაროვნება და ეს სავსებით გასაგებიცაა: ეს სიტყვები მომდინარეობს სხვადასხვა – ლათინური,

ინგლისური, გერმანული, ფრანგული, იტალიური, ესპანური... – ენებიდან და გათვალისწინებულია მშობლიური ენის პრინციპები. თუმცა, ზოგჯერ ერთ ენაშიც არაა ერთგავარობა.

„თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების“ მიხედვით, **ერთად, ერთ სიტყვად უნდა დაიწეროს ერთმნიშვნელობიანი კომპოზიტები** (ნორმები, 1970, 155).

1. კომპოზიტები ერთადაა უცხოურსა და ქართულში:

outsider – აუტსაიდერი (ინგლ.) ბოლო ადგილზე მყოფი;
autobahn – აუტობანი/ავტობანი (გერმ.) ავტობანი, ავტოსტრადა;
blitzruhmier – ბლიცტურნირი (გერმ.) ელვისებური ტურნირი;
contremarque – კონტრამარკა (ფრნგ.) ბილეთის მაგიერი ბარათი;
kontrabando – კონტრაბანდა (იტალ.) ტვირთის ფარულად გადატანა სახელმწიფო საზღვარზე, თვით ეს საქონელი...

2. კომპოზიტები უცხოურში დეფისითაა, ქართულში – ერთად:

yuris-consultus – იურისკონსულტი (ლათ.) [юрисконсулт] იურისტ-კონსულტანტი.

grape-fruit – გრეიპფრუტი (ინგლ.) [грейпфрут] ციტრუსოვანი ხეხილი, მისი ნაყოფი. bloc-notes – ბლოკნოტი (ფრანგ.) [блокнот] წიგნაკი ამოსახევი ფურცლებით.

3. სიტყვები უცხოურში ცალ-ცალკეა, ქართულში – ერთად

post scriptum – პოსტსკრიპტუმი (ლათ.) [постскриптум] მინაწერი წერილის ბოლოს.

off side – ოფსაიდი (ინგლ.) [офсайд] თამაშგარე მდგომარეობა.

corps de ballet – კორდებალეტი (ფრანგ.) [кордебалет] ბალეტის მსახიობების ჯგუფური ცეკვა.

auto da fe – აუტოდაფე (პორტ.) [аутодафе] ერეტიკოსთა თხზულებათა საჯარო დაწვა.

šáhin šáh – შაჰინშაჰი (სპარს.) [шахиншах] მეფეთ-მეფე.

4. სიტყვები უცხოურში ცალ-ცალკეა, ქართულში – დეფისით

de facto – დე-ფაქტო (ლათ.) [де-факто] ფაქტობრივად, სინამდვილეში. time out – ტაიმ-აუტი (ინგლ.) [тайм-аут] წუთშესვენება, ერთწუთიანი შესვენება. force majeure – ფორს-მაჟორი (ფრანგ.) [форс-мажор] ვითარების აცილების შეუძლებლობა.

5. კომპოზიტები დეფისითაა უცხოურსა და ქართულში

pres-conference – პრეს-კონფერენცია (ინგლ.) სახელმწიფო, პოლიტიკურ მოღვაწეთა შეხვედრა; საუბარი პრესის წარმომადგენლებ-

თან ფართო საზოგადოებისათვის საინტერესო საკითხებზე. Luna-Park – ლუნა-პარკი (გერმ.) პარკი, სადაც ეწყობა გასართობები. presse-attaché – პრეს-ატაშე (ფრანგ.) დიპლომატიური წარმომადგენელი, თანამშრომელი.

საანალიზოდ წარმოდგენილ კომპოზიტებში პირველი კომპონენტები ერთი და იგივეა. თუ აღებულია პრინციპი, რომ მექანიკურად მივყვეთ უცხოური ენის დაწერილობას, სადავოა, რატომ გადმოდის ქართულში შემადგენლობით მსგავსი კომპოზიტები სხვადასხვაგვარად, განსხვავებით მასესხებელი ენებისა.

ბუნებრივია, რომ სხვადასხვა ენაში კომპოზიტთა დაწერილობა განსხვავებული იყოს, რადგან ყოველი ენა თავისი ორთოგრაფიის პრინციპებს იცავს და არ უწევს ანგარიშს სხვათა ენის მართლწერის ნორმებს.

ვნახოთ **ვარიანტები სხვადასხვა ენის მაგალითზე:**

გერმანულად: **autobahn** – ავტობანი/აუტობანი – ავტობანი, ავტოსტრადა;

პორტუგალიურად: **auto da fe** – აუტოდაფე – ერეტიკოსთა თხზულებათა საჯარო დაწვა.

გერმანულად: **general bass** გენერალბასი – ნოტების ციფრებით აღნიშვნა;

ფრანგულად: **général en chef** გენერალ-ანშეფი – სრული გენერალი.

გერმანულად: **contrapunkt** – კონტრაპუნქტი – მუსიკის თეორიის ნაწილი;

იტალიურად: **kontrabando** კონტრაბანდა საქონლის ფარულად გადატანა სახელმწიფო საზღვარზე; თვით ეს ტვირთი.

ახლა ვნახოთ, არის თუ არა ერთსა და იმავე ენაში სხვადასხვა დაწერილობა.

ვარიანტები ერთ ენაში:

ფრანგულად:

blanc-manger ბლანმანჟე – ნაღების ჟელე;

blanc fixe ბლანფიქსი – თეთრი საღებავი.

გერმანულად:

kammerlackei კამერ-ლაქია – უფროსი ლაქია;

kammerrjunker კამერ-იუნკერი – დაბალი წოდებულება სამეფო

პარზე;

kammerfräuein კამერ-ფრეილინა – ქალიშვილები სამეფო კარზე;
kammer-page კამერ-პაჟი – პაჟი, რომელიც მორიგეობდა სამეფო კარზე.

იტალიურად: **opera-buffa** ოპერა-ბუფი/ბუფა – იტალიური ოპერის ჟანრი;

opera seria ოპერა-სერია – (სერიოზული ოპერა) იტალიური ოპერის ჟანრი.

საინტერესოა, ერთ ენაში რატომ უნდა იყოს მსგავსი კომპოზიტები სხვადასხვაგვარად წარმოდგენილი, ანუ რატომ თავად არ იცავს ენა ერთგვარობის პრინციპს.

გასარკვევია, ქართულში რატომ გადმოდის განსხვავებულად? ძალიან მარტივად ასახსნელია, თუ მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებში კომპოზიტების მესამე სვეტს გადავავლებთ თვალს, შეუსაბამობა და განსხვავებულობა თვალსაჩინოა – ყველგან ნათელია რუსულის გავლენა.

ნ ა ნ ა მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი

ახალი არგუმენტი ძველი მოსაზრებისათვის

„საენათმეცნიერო მიეზანის“ 1999 წლის VIII ნომერში გამოქვეყნდა ჩვენი სტატია „ზმნის საურთიერთო კატეგორიის -აიბა მაწარმოებლის წარმომავლობისათვის აფხაზურში“, რომელშიც გამოთქმული იყო მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ზმნის საურთიერთო კატეგორიის -აიბა მაწარმოებლი აფხაზურში უნდა მომდინარეობდეს რიცხვით სახელთა შეერთებით აკვ- „ერთი“ + ვგბა „ორი“. *აკვ + ვგბა- > აიბა-.

შდრ. ქართული: ერთმანეთი, ერთიმეორე... აქაც რიცხვითი სახელები მონაწილეობს საურთიერთო კატეგორიის აღწერითი სახეობის წარმოებაში.

აფხაზური ენის ზმნის საურთიერთო-საორმხრივო კატეგორიის მაწარმოებლად აღვადგენდით ***აკვ-ვგბა-** პრეფიქსს, რომლისგანაც შემდგომში **ამბა-** პრეფისი უნდა ჩამოყალიბებულიყო. აღნიშნულ ***აკვ-ვგბა-**ში პირველი ნაწილი, ვვარაუდობდით, ტოლფარდი უნდა ყოფილიყო **აკვ** „ერთი“ რიცხვითი სახელისა, ხოლო მეორე ნაწილი, **ვგბა** „ორი“ რიცხვითი სახელისა. ***აკვ-ვგბა-**, სადაც **კ** ბგერა უნდა დაკარგულიყო სიტყვის თავკიდურ პოზიციაში, ხოლო **ჯ** ფონემა ბაგისმიერი **ბ**-ს მეზობლობაში გაუჩინარებულიყო. ჩვენი აზრით, შესაძლოა **ამბა-** რთული პრეფიქსის **ბა-** ელემენტი **-გბა** „ორი“ რიცხვით სახელს შემოჰყოლოდა ზმნაში (**ჯ** დაიკარგულიყო ბაგისმიერი **ბ**-ს მეზობლობაში).

შემდგომმა კვლევამ გვიჩვენა, რომ ჩვენი იმდროინდელი მოსაზრება **ამ-** ელემენტის ***აკვ-** რიცხვითი სახელისაგან მომდინარეობის თაობაზე უსაფუძვლო არ ყოფილა.


აფხაზურში მართლაც დასტურდება მასდარი **აკეიბაჟრა** „ერთმანეთის წაქცევა“, და ზმნა **აკეიბაჟრეიტი** „ერთმანეთს აქცევენ“, **აკეიბაჟრეიტი** „ერთმანეთი წააქციეს“, სადაც, როგორც ვხედავთ, საურთიერთო-საორმხრივო კატეგორიის მაწარმოებელი ფორმატი შეიცავს რიცხვითი სახელის **-კ-** ელემენტს: **აკეიბა... *აკვ „ერთი“**.

წარმოდგენილ მოსაზრებას მხარს უჭერს ქართველური და ადიღური ენების მონაცემებიც. ამ ენებშიც საურთიერთო შინაარსის გადმოსაცემად ენა ძირითადად რიცხვით სახელებს, ან ისეთ აფიქსებს იყენებს, რომელთა ამოსავლადაც რიცხვითი სახელები ივარაუდება.

თ ა მ ა რ მ ა ხ ა რ ო ბ ლ ი ძ ე

ქართული ზმნისწინი და პოლიპერსონალიზმი

წარმოდგენილ მოხსენებაში საუბარი იქნება ზმნისწინის ფუნქციებზე ტიპოლოგიური კუთხით ქართულსა და სხვა ქართველურ ენებში. საერთოდ, ზმნისწინს აქვს განსხვავებული მორფოსემანტიკური დატვირთვა სხვადასხვა ენებში. ქართველურ ზმნისწინთა ფუნქციური სქემა ასე გამოიყურება:



ორიენტაცია დროის ცვლილება ობიექტთა ცვლილება

სივრცითი, დროითი და ლექსიკური ფუნქციები საკმაოდ კარგადაა შესწავლილი ტრადიციული ქართველური სკოლის მიერ. რაც შეეხება ზმნისწინის ობიექტურ ფუნქციას, ეს ფუნქცია პირველად განიხილება ამ ფორმატით.

ზმნისწინთა ობიექტურ ფუნქციას აქვს დერივაციული ეფექტი, კერძოდ, ის გავლენას ახდენს ზმნის პირიანობაზე. ამ ფუნქციას ვუწოდებთ „ობიექტური“, რადგანაც ობიექტურია პირი, რომელიც (ზმნისწინის გამო) განიცდის გარკვეულ ცვლილებებს. ინდოევროპულ ენებში ფართოდაა შესწავლილი და აღწერილი ტრანზიტივიზაციის ისეთი მოდელი, სადაც ზმნისწინი გავლენას ახდენს ზმნის ვალენტობაზე. მეცნიერთა ნაწილი ამ მოვლენას განიხილავს, როგორც სინტაქსურ მოვლენას, ნაწილი კი საუბრობს მორფოლოგიაზე. ზელერმა წამოაყენა ჰიბრიდული თეორიაც (Zeller 2003:203).

ამ ფონზე, ცხადია, ქართველური ენების მონაცემებს ფასდაუდებელი წვლილის შეტანა შეუძლიათ ამ საკითხის ტიპოლოგიურ კვლევებში. სამუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ენათა მასალა არასოდეს ყოფილა გათვალისწინებული ასეთი ტიპოლოგიური ძიებების დროს.

მოხსენებაში ასევე განხილული იქნება ობიექტის ალტერნაციის საკითხიც. ეს თემაც ამომწურავადაა დამუშავებულია ინდოევროპულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში და, როგორც ყოველთვის, არც აქ არ არის გათვალისწინებული ქართველური ენების მონაცემე-

ბი. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ანალოგიური ტიპის ინდო-ევროპული, სინტაქსური მოვლენისაგან განსხვავებით, ქართველურ ზმნისწინს აღმოაჩნდა ობიექტის ცვლილების უნარი და თანაც ამ ენებში ეს მოვლენა დასტურდება მორფოსემანტიკურ დონეზე. მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება ახლად გამოვლენილი ობიექტის როლთა ცვლილებანი გამოწვეული ზმნისწინის დართვით და, რა თქმა უნდა, საკითხის თეორიულ ნაწილს საილუსტრაციოდ ექნება შესაბამისი დამადასტურებელი ემპირიული მასალაც.

ს ა ლ ო მ ე ო მ ი ა ძ ე

სიმცირის გამომხატველ ერთეულთა ლინგვოკულტუროლოგიური ველი

სიმცირე რაოდენობის სემანტიკური კატეგორიის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, რომელიც სხვადასხვა ენობრივი საშუალებით გამოიხატება. სიმცირის ცნების გასიტყვება ორ ასპექტს აერთიანებს – კოგნიტიურს, რომელიც ადამიანის მიერ მოცულობის, ფორმისა და ზომის აღქმას უკავშირდება და ემოციურს, რომელიც აღქმულის მიმართ ადამიანის სუბიექტურ მიმართებებს გულისხმობს. აქედან გამომდინარე, სიმცირის გამოსახატავად ენაში ვხვდებით როგორც წმინდა დენოტატიურ, საგნობრივ-ლოგიკური მნიშვნელობის მქონე სიტყვებს, ასევე ე. წ. პრაგმატიკულ ერთეულებს, რომლებსაც უფრო რთული სემანტიკური სტრუქტურა აქვთ და საგნობრივ-ლოგიკურ მნიშვნელობასთან ერთად ემოციურ დამოკიდებულებასაც გამოხატავენ. მოხსენებაში ვრცლად იქნება განხილული აღნიშნულთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სიმცირის გამომხატველი ნეიტრალური და ექსპრესიული ლექსემები;
- სიმცირის გამომხატველი მორფოსინტაქსური საშუალებები;
- დამცრობა-დამცირების გამომხატველ ენობრივ ერთეულთა ამბივალენტურობა;

- პეიორატიულ გამოთქმათა პრაგმატიკა;
- სიმცირის ეტალონები, როგორც სიმცირის ლინგვოკულტუროლოგიური ველის მეტად ინფორმაციული შემადგენლები.

რ უ ს უ და ნ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი

რამდენიმე სიტყვის წარმომავლობისათვის ქართლურ დიალექტში

დასტამალ-ი ქართლური ენის ლექსიკონში შემდეგნაირადაა განმარტებული: 1. ბევრი, ფენა-ფენა. ბევრი ჭუჭყი რო აქ, იმაზე იტყვიან, **დასტამალი** ჭუჭყი ედო კისერზეო, **დასტამალი** ფქვილი აყრია ტანისამოსზეო, უფრო ჭუჭყზე ითქმის (ერედ.). 2. ჩვარი. **დასტამალი** კოკის პირის დასაცობი სუფთა ტილოა (დ. თან.) **დასტამალი** არა გაქვთ რა, მაგიდა გადავწმინდო? (მეგ).

ქველში საანალიზო სიტყვა ასეა განმარტებული: **დასტამალ**-ი [სპ. დასთმალ „ხელსახოცი“, „ცხვირსახოცი“] ძვ. მჩვარი. ზედ არის გადაფენილი ქვაბებისა და ქოთნების **დასტამალები** (ივერია).

დ. ჩუბინაშვილის ქართულ-რუსულ ლექსიკონში მითითებულია ამ სიტყვის სპარსული წარმომავლობა და განმარტებულია, როგორც „მჩვარი“.

ნ. ჩუბინაშვილი ამგვარად განმარტავს საანალიზო სიტყვას: მჩვარი გასაწმენდი ჭურჭელთა, ანუ პირდასაცმელი კოკათა და მისთანათა (ნ. ჩუბინ., 1961).

დასტამალ-ი მომდინარეობს სპარსული **dastmāl**-იდან, რომელის სპარსული ენის განმარტებით ლექსიკონებში შემდეგნაირადაა განმარტებული: თავშალი, მოსახვევი; ხელსახოცი (რუბინჩიკი); ჩვარი, რომლითაც ხელს, პირს იწმენდენ (მოინი, 1996).

ჩვენი ვარაუდით, ქართლურში დადასტურებული **დასტამალ**-ის მნიშვნელობა (ბევრი, ფენა-ფენა) არეულია ლექსიკურ ერთეულში **დასტა**, რომელიც ქველში ამგვარადაა განმარტებული: [სპ. „დასთა“ სახელური; აქვს აგრეთვე სხვა მნიშვნელობები: ჯგუფი, რაზმი; გუნდი; დასი; კონა, შეკვრა და სხვა]. იხმარება მსაზღვრელადაც. 1. საწერი ქალადის საზომი ერთეული; საერთოდ, კონა, შეკვრა (ქ-

ღალდისა, ქაღალდის ფულისა და სხვ.)... 3. ჯგუფი, გუნდი, დასი, კრებული, რაზმი.

დასტანდაზ-ი – მოაჯირის ზედა ძელი. **დასტანდაზს** ვეძახით ხესა მოაჯირის ზეითა. რომელიც იმაგრებს მოაჯირსა (ძეგ). აღნიშნული ლექსიკური ერთეული ქეგლში ასეა განმარტებული: **დასტანდაზ**-ი [სპ.დასთანდაზ] მოაჯირი. სოლომონმა... აივნის **დასტანდაზზე** გადმოწოლილ ეფროსინეს შესძახა (დ. კლდ.).

დასტანდაზ-ი < სპ. **dastandāz** -იდან, რომლის შემდეგი მნიშვნელობები დასტურდება სპარსული ენის განმარტებით ლექსიკონებში: 1. ღრანტე, ოღროჩოდრო; 2. სახელური, მოაჯირი; 3. საიდაყვე, სამკლავური (ხელის ჩამოსაყრდნობი სავარძელზე) (რუბინჩიკი).

დუთქაშ-ის შემდეგი განმარტებაა მოცემული ქართლური დი-ალექტის ლექსიკონში: ჭურჭლის გამოსაწვავი ქურის საკვამური. ქურის კედელი რო ამოშენდება, შუაში დატოვილია ხანი ერთი-ორი ვერშოკი, მაგას უძახიან **დუთქაშსა** (მეჯვრ.). ქურის **დუთქაშები**, პირველათ რო მოუკიდევთ, მაშინ შავდება, იჭვარტლება (მეჯვრ.).

დუთქაშ-ი სპარსული წარმომავლობის სიტყვაა და მომდინარეობს სპარსული **dudkeš**-იდან „კვამლსადენი“.

ბალახანა – ხილის დასაწყობი ტახტი. ბალახანაზე გვეწყო ხოლმე წინათი ხილი (ტყვ.). **ბალახანას** ფიცარი ავგადებინე და სიდედრის მურაბა დავაქციე (გუჯაბ.).

საანალიზო სიტყვის სპარსული წარმომავლობა მითითებულია დ. ჩუბინაშვილის ქართულ-რუსულ ლექსიკონში და ასეა განმარტებული: სახლთა შინა ჭერის ქვეშ გაფიცრული ადგილი რაგინდა რას შესანახვად (დ. ჩუბინ., 1984). **ბალახანა** ამგვარადვეა განმარტებულია ნიკო ჩუბინაშვილის ქართულ ლექსიკონში: სახლთა შინა ჭერის ქვეშ გაფიცრული ადგილი რაგინდარას შესანახავი (ნ. ჩუბინ., 1961).

განსახილველი ლექსიკური ერთეული მომდინარეობს სპარსული სიტყვიდან **balāxāne** – ზედა ოთახი სახლში. როგორც ვხედავთ, **ბალახანა** ქართლურში სპარსულისაგან განსხვავებული მნიშვნელობით დამკვიდრდა.

წარმოდგენილი დიალექტური სალექსიკონო მასალიდან **დასტამალ**-ი და **დასტანდაზ**-ი დამკვიდრებულია ქართულ სალიტერატურო ენაში, **დუთქაშ**-ი და **ბალახანა** კი მხოლოდ დიალექტის კუთვნილებაა.

ნ ა ნ ა ს ა ა კ ა ძ ე

ლექსიკური დიალექტიზმები ქვემოქართლურში

ლექსიკური დიალექტიზმებისა და საერთო ენის ლექსიკური ფონდის ურთიერთმიმართების საკითხების ენათმეცნიერული თვალსაზრისით შესწავლა ძალზე აქტუალურია თანამედროვე ეტაპზე, როდესაც ლექსემათა არეალის შესწავლისა და ინტერპრეტაციის დროს განსაკუთრებული ღირებულება ენიჭება სიტყვათა მნიშვნელობების ქრონოლოგიურ კორექტირებასა და სემანტიკურ მრავალფეროვნებას.

„როდესაც ვსწავლობთ საერთო ენასთან დიალექტური ლექსიკის ურთიერთობას, მიზანშეწონილია, უწინარეს ყოვლისა, გამოცალკევდეს ის სიტყვები, რომლებიც საერთოენობრივი ლექსიკისაგან ფონეტიკურად და გრამატიკულად განსხვავდებიან“ (ბ. ფოჩხუა).

აღსანიშნავია, რომ სალიტერატურო ენის ლექსიკურ ფონდში შემავალი ბევრი ლექსემის სემანტიკური ტრანსფორმაცია დიალექტებში, რაც დიალექტურ ლექსიკაში რეალიზდება, ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის კვალიფიცირებული; ამ მხრივ საყურადღებოა ლექსიკონებში შეტანილი და დახასიათებული სალიტერატურო ენის ლექსიკური ფონდის კუთვნილი ის სიტყვები, რომელთა დამატებითი, ქვემოქართლური მნიშვნელობანი მათი პასპორტიზაციის დროს გათვალისწინებული არ არის და არც სიტყვის ლექსიკური ღირებულება და სემანტიკური პარალელებია სრულყოფილად წარმოდგენილი, ე. ი. არ არის აღნუსხული სემანტიკური დიალექტიზმები. პარალელურ ქვემოქართლურ მნიშვნელობათა მიხედვით, ამ მხრივ გარკვეული ენათმეცნიერული ღირებულების მქონეა ქვემოქართლურის მონაცემები. საერთოენობრივ ლექსიკურ ერთეულთა ამგვარი დამატებითი, კილოური მნიშვნელობანი გვხვდება ქვემოქართლელთა მეტყველებაშიც. ქვემოქართლურის დარგობრივი ლექსიკის ნიმუშებიდან ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია: *აკოტება, ამამპალი, არალლი, აწიკი, დაბეგვა, დაკოდილი, დააფრაკებული, დლიური, თეში, კილი, კვირტი, მამლაყინწა, უმი, ღოჯი...*

ზემოთ ჩამოთვლილი ლექსიკური ერთეულები შეადგენს ქვე-მოქართლელი (ქართველი) მოსახლეობის ძირითად ლექსიკურ ფონდს და თემატიკური თვალსაზრისით ძალზე მრავალფეროვანია. მასში ასახულია ლექსიკური დიალექტიზმები, რომლებიც მოხსენებაში განხილული იქნება თავ-თავის ადგილას.

მ ე დ ე ა ს ა ლ ლ ი ა ნ ი

არაიდენტურ ხმოვანთკომპლექსთა ელიზიისათვის სვანურში

მარტივ ელიზიურ კონსტრუქციებში მონაწილე ხმოვნები, რომლებიც კომპლექსთა მრავალფეროვან კომბინაციებს იძლევიან სვანურში, იყოფა ორ ჯგუფად: *იდენტური* და *არაიდენტური ხმოვანთკომპლექსები*. ვინაიდან იდენტური ხმოვანთკომპლექსების (**ა+ა, ა+ა, ე+ე, ი+ი, ო+ო, უ+უ**) შესახებ მსჯელობა უკვე იყო საენათმეცნიერო ლიტერატურაში, ამიტომ ამჯერად მსჯელობა გვექნება მხოლოდ მარტივ ელიზიურ პროცესებში მონაწილე არაიდენტურ **ა+ა** და **ა+ა** ხმოვანთკომპლექსის შესახებ.

ა+ა. „სვანური ენის ქრესტომათიაში“ **ა+ა** ხმოვანთკომპლექსის შემცველი საკმაოდ მდიდარი მასალა გამოვლინდა ბალსზემოურში, ბალსქვემოურსა და ლენტეხურში, რაც შეეხება ლაშხურს, რომელიც უუმლაუტობით გამოირჩევა სვანურის სხვა დიალექტებისაგან, ცხადია, იქ **ა+ა** ხმოვანთკომპლექსის შემცველი მაგალითები არ გამოვლენილა.

„სვანური ენის ქრესტომათიაში“ ელიზირებულ ფორმათა პარალელურად საკმაო რაოდენობით დადასტურდა ისეთი ფორმებიც, სადაც პრევერზისეული **ა + პრევერზისეულივე ან ზმნისეული ა** ორივე დაცულია¹.

ა+ა ხმოვანთკომპლექსის ელიზიისას წარმმართველი აღმოჩნდა ბოლო კომპონენტი (**ა**), რომელიც ბალსქვემოურსა და ლენტეხურში მის წინ მდგომ ხმოვანს (**ა-ს**) უკვალოდ კარგავს, ხოლო ბალსზემოურში იერთებს და სრულიად იმსგავსებს. ე. ი. **ა+ა** კომპლექ-

¹ უელიზიო ფორმები გამოვლინდა „სვანურ პროზაულ ტექსტებშიც“.

სის ელიზიისას მმართველის როლს ასრულებს ამ კომპლექსის მეორე კომპონენტი, რომელიც დამძლევია, შესაბამისად გავლენაც რეგრესულია.

ა+ა კომპლექსი არა მხოლოდ პრევერბიან ზმნებთან იძლევა ერთ ას, იგი სხვა შემთხვევებშიც ელიზირდება ბალსქვემოურსა და ლენტეხურში, კერძოდ, მაშინ როდესაც გვაქვს: ბქ. **თანდებულიანი სახელი + ზმნის პირიანი ფორმა, ზმნიზედა + ზმნის პირიანი ფორმა**, ლნტ. **კუთვნილებითი ნაცვალსახელი + თანდებულიანი არსებითი სახელი** და ა. შ. ბალსზემოურში კი ასეთ შემთხვევაში ელიზიის ნაცვლად ხმოვანთა შერწყმასთან გვაქვს საქმე, რომელიც ხორციელდება არა მხოლოდ პრევერბისეულ ხმოვანსა და მის მომდევნო ზმნის ანლაუტისეულ ხმოვანს შორის, არამედ სხვა შემთხვევებშიც, კერძოდ, მაშინ, როდესაც გვაქვს: ბზ. **ჩვენებითი ნაცვალსახელი + ზმნის პირიანი ფორმა, უარყოფითი ნაცვალსახელი + ზმნის პირიანი ფორმა, თანდებულიანი არსებითი სახელი + ზმნის პირიანი ფორმა, ზმნიზედა + ზმნის პირიანი ფორმა** და სხვ.

ა+ა. სვანური ენის ბალსქვემოურსა და ლენტეხურ დიალექტებში დაფიქსირდა **ა+ა** ხმოვანთკომბინაციის შემცველი მასალა, სადაც ელიზია განხორციელებული.

არაიდენტურ **ა+ა** კომპლექსის შემთხვევაში გვაქვს როგორც რეგრესულ, ისე პროგრესულ გავლენაზე დამყარებული ელიზია.

ლაშხურში, რომელიც უშუალოდ გამოირჩევა სვანურის სხვა დიალექტებისაგან, ცხადია, მსგავსი ფონეტიკური პროცესის განხორციელება არც იყო მოსალოდნელი.

უშუალოდ აუსლაუტის ღია მარცვალში, როგორც ცნობილია, ჩვეულებრივ, ბალსქვემოურსა და ლენტეხურ დიალექტებში გვხვდება. რაც შეეხება ბალსზემოურს, რომელსაც მსგავსი ტიპის ფორმები (**ბამბა, კალთა, დუმა** და ა. შ.) არ ახასიათებს (ამგვარ ფორმებში, როგორც უკვე ითქვა, ყველგან **-ა** ალოფონია წარმოდგენილი), იქ, რაღა თქმა უნდა, **ა+ა** კომპლექსი ვერ შეიქმნებოდა.

როგორც გაირკვა, **ა+ა** ხმოვანთკომბინაციაში ელიზია ვითარდება თითქმის ყოველთვის მაშინ, როდესაც ელიზიურ შესიტყვებაში პირველ კომპონენტად წარმოდგენილია რომელიმე (**კითხვითი ან პირის**) **ნაცვალსახელი**, რომელსაც მეორე კომპონენტად ახლავს, ძირითადად, **ზმნის პირიანი ფორმა**, იშვიათად – **შედგენილი შემასმენელიც**.

მ ე დ ე ა ს ა ლ ლ ი ა ნ ი, ნ ა ტ ო შ ა ვ რ ე შ ი ა ნ ი

ბგერწერითი ლექსიკა სვანურ ლექსიკონებსა და ფოლკლორულ მასალაში და მისი ქართულ ენაზე განმარტების სპეციფიკა

ე. წ. „ხმაბამვითი“ (resp. *ონომატოპოეტური*) სიტყვები, როგორც ცნობილია, ყველა ენაში დასტურდება, „მაგრამ ენათა მიხედვით განსხვავებულია როგორც მათი ხმარების სიხშირე, ისე მათი ადგილიც ენის გრამატიკულ და ლექსიკურ სისტემაში“ (ი. ქობალავა). ცხადია, ამ მხრივ გამონაკლისს არც სვანური ენა წარმოადგენს, რომელიც საკმაოდ მდიდარია „ხმაბამვითი“ ლექსიკური ერთეულებით. სწორედ მათი საშუალებით გადმოიცემა სხვადასხვა სახის ხმიანობა და, ამასთანავე, სხვადასხვა ენაში ამ ტიპის სიტყვები გამოხატავენ მოქმედებისა თუ მდგომარეობისათვის დამახასიათებელ ამა თუ იმ კონკრეტულ ფორმას (*მოქმედი საგნის გარეგნობას, სულიერ განწყობილებას, ბუნების მოვლენებს* და ა. შ.).

ცხადია, მსგავსი ლექსიკის როგორც აღწერა, ისე კვლევა, ძირითადად, უნდა ეყრდნობოდეს ტექსტურ მონაცემებს, თუმცა სვანური ფოლკლორული ტექსტები – „სვანური ენის ქრესტომათია“ (1978), „სვანური პროზაული ტექსტები“ (I, II, III, IV – 1939, 1957, 1967, 1979), რომლებიც ჟანრობრივად მეტად მრავალფეროვანია და, ამასთანავე, მოცულობითაც საკმაოდ დიდი, ბგერწერითი ლექსიკის სიხშირით არ გამოირჩევა. ვ. თოფურისა და მ. ქალდანის 900-გვერდიან (16000-მდე ლექსიკური ერთეულით) „სვანურ ლექსიკონში“, რომელიც მოცულობით ყველაზე სრული ლექსიკონია სვანური ენის ლექსიკონებს შორის და რომელიც ძირითადად სწორედ „სვანური ენის ქრესტომათიისა“ და „სვანური პროზაული ტექსტების“ მონაცემებს ეყრდნობა, აღნიშნულ ლექსიკურ ერთეულთა სიმცირე აშკარად თვალშისაცემია. ასევე მწირადაა ბგერწერითი ლექსიკური ერთეულები წარმოდგენილი ვ. დონდუას „სვანურ-ქართულ-რუსულ ლექსიკონსა“² (2001) და ბ. ნიჭარაძის „ქართულ-სვანურ-რუსულ ლექსიკონშიც“³ (2007). შედარებით სრულად არის აღწერილი ფონოსემან-

² შედგენილია ლაშხური დიალექტის მიხედვით.

³ შედგენილია უშგულური კილოკავის მიხედვით.

ტიკური მასალა ა. ლიპარტელიანის ჩოლურული მეტყველების მიხედვით შედგენილ „სვანურ-ქართულ ლექსიკონში“ (1994), თუმცა ვერც ეს ლექსიკონი ასახავს სრულად საანალიზო მასალას.

რასაკვირველია, პრობლემატურია ბგერწერითი ლექსიკის ქართულ ენაზე გადმოტანაც აღნიშნული ლექსიკის სპეციფიკურობიდან გამომდინარე. აქვე უნდა ითქვას, რომ ვინაიდან ზემოთ ჩამოთვლილ სვანურ ტექსტებს არ ახლავს ქართული თარგმანები, აქედან გამომდინარე ვერც თარგმნის სპეციფიკაზე ვერ ვისაუბრებთ. რაც შეეხება ლექსიკონებს, იქ ბგერწერითი ლექსიკის თარგმნის თვალსაზრისით არაერთგვაროვანი სურათია. აქვე შევნიშნავთ, რომ სვანურს, მეგრულის მსგავსად, ბგერწერითი ყალიბები (ანუ *სამწევრა და ორწევრა სისტემები*) თითოთოროლა გამოწვევის გარდა არ ახასიათებს (მგ.: **ძგუბ** – **ცუბიფ** – **წუბიპ** „გაწყვეტა“; **ძგელ** – **წგელ** „თოფის გავარდნის ხმა“; **დგურბუნ** – **თქურფუნ** „დგაფუნი, ძლიერი ჩუხჩუხი (წყლისა)“...), თარგმნას, ცხადია, ესეც ამარტივებს, თუმცა ხშირ შემთხვევაში ქართულად გადმოტანისას აუცილებელი ხდება აღწერითი წარმოება. განსაკუთრებით მაშინ რთულდება თარგმნის საკითხი, როდესაც ლექსემა სუბიექტის *ფიზიონომიას, აღნაგობას, გამოხედვას* და ა. შ. აღწერს (შდრ. **ლიწკუბირანალ** (ბქ.) „წვრილთვალეა ადამიანის ყურება“; **ლიშიტანალ** (ბქ.) „შავთვალწარბა ადამიანის გაბრაზებული ყურება“; **ლიზიტყანალ** (ბქ.) „მსუქანი, უმწო აღნაგობის ქალის გაბრაზებული სიარული“; **ლიფილფალ** (ჩოლ.) „დიდი ტანის ასაკოვანი მამაკაცის ფომფლედ სიარული“; **ლიპიტპიტი** (ლშხ.) „ცნცარით სიარული, რატრატი“, **ლიჩრითჩრითი** „ფეხების თრევით, ულაზათოდ სიარული“ და მრავ. სხვ.). აღნიშნული ლექსიკური ერთეულები დასტურდება ა. ლიპარტელიანის მიერ ჩოლურული მეტყველების მიხედვით შედგენილ „სვანურ-ქართულ ლექსიკონში“ და მ. საღლიანის სადიპლომო ნაშრომში „სიარულის, სმისა და ჭამის აღმნიშვნელი ლექსიკა სვანურში“ (1995 წ.), რომელშიც გაანალიზებულია 329 ლექსიკური ერთეული.

სვანური ბგერწერითი ლექსიკის ქართულ ენაზე განმარტებისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ რამდენიმე შემთხვევა:

1) როცა ქართულში სვანური ლექსემის ზუსტი ფონეტიკური და სემანტიკური ეკვივალენტი მოგვეპოვება: **ჭგრჭყენ** (ზხ., ლშხ., ჩოლ.), **ჭურჭყუნ** (ლშხ.), **ჭგრჭყენ** (ბქ., ლნტ.) „ჭიჭყინი“; **ჭგრქენ** (ზხ., ლშხ., ჩოლ.), **ჭგრქენ** (ბქ., ლნტ.) „ჭიხვინი“; **ხგრტენ** (ზხ., ლშხ.,

ჩოლ.), **ხგრ-ტგნ** (ბქ., ლნტ.) „ხროტინი“ და ა. შ., თარგმანის საკითხი მარტივად წყდება;

2) როცა ქართულში ზუსტი ფონეტიკური და სემანტიკური შესატყვისი არ არსებობს, მაგ. „გა“წყვეტის“ აღმნიშვნელი **ძგტბ** – **ქტბ** – **წკტბ**; „სიარულის“ აღმნიშვნელი **ლიბგჯღანალ** – **ლიფგქანალ** – **ლიპგქყანალ**; „წყლის ხმაურის“ აღმნიშვნელი **დგურ-ბუნ** – **თქურფუნ**; „ყვირილის“ აღმნიშვნელი **სგრტგნ** – **სტურფუნ**; „თოფის გავარდნის ხმის“ აღმნიშვნელი **ძგგლ** – **წკგლ** და მისთ., ამ შემთხვევაში თარგმნის საკითხი, რა თქმა უნდა, უფრო რთულდება. ჩვენი აზრით, ამგვარი ლექსიკის ქართულ ენაზე თარგმნისას აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული ის კონოტაცია, რაც მოცემულ ენაში აქვს, მაგ., **ძგტბ** გამოხატავს დიდი, მძიმე საგნის „გაწყვეტას“ ხმის თანხლებით, **ქტბ** შედარებით წვრილი საგნის „გაწყვეტას“, ასევე ხმის თანხლებით, **წკტბ** კი იგივეა, რაც ქართული „წკპანი“ (ანუ წვრილი საგნის „გაწყვეტა“); **დგურბუნ** – **თქურფუნ** ყალიბის შემთხვევაში კიდევ უფრო ძნელდება შესაბამისი მნიშვნელობის მოძებნა, **დგურბუნ** თითქოს უფრო *ძლიერ და უხეშ დგაფუნს* გამოხატავს, **თქურფუნ** კი შედარებით *ყრუ*, მაგრამ, აგრეთვე, *უხეშ დგაფუნს წყლისას* და მისთ. მჟღერობა-სიყრუის მიხედვით დაპირისპირებული მსგავსი ფორმები, როგორც მრავალფეროვან სვანურ დიალექტოლოგიურ მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, სვანურში სისტემას არ ქმნიან.

3) გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, როცა სვანურ სიტყვას რამდენიმე მნიშვნელობა აქვს: **დგურბუნ** 1. „დგაფუნი, ძლიერი ჩუხჩუხი (წყლისა)“, 2. „ბაგაბუგი (გულისა)“; **ღურღუნ** 1. „გაბმული ტირილი, ღმუილი, ღნავილი“, 2. „ჩუხჩუხი (წყლისა)“; **წურწკუნ** 1. „წკმუტუნი“, 2. „წუწუნი“ და სხვ. მნიშვნელობის ნიუანსირება გამოწვეულია სვანურ დიალექტ-კილოკავთა მრავალფეროვნებით, თუმცა მსგავს შემთხვევებს ერთი დიალექტის ფარგლებში, კილოკავთა დონეზეც აქვს ადგილი.

მოხსენებაში დაწვრილებით არის განხილული აღნიშნულ ლექსიკონებში დადასტურებული თითოეული ფონოსემანტიკური ლექსიკური ერთეულის თარგმნის სპეციფიკა. მასალაზე დაკვირვებამ კი აჩვენა, რომ ზოგი ლექსიკური ერთეული ქართულ ენაზე განმარტებისას ზუსტად ვერ ასახავს ორიგინალში არსებული ამა თუ იმ სიტყვის სემანტიკას და საჭიროებს მეტ დაზუსტებას. თუმცა სვანურ-

რი ენის ლექსიკონებში თარგმნის თვალსაზრისით რაიმე სერიოზული უზუსტობა არ დაგვიფიქსირებია. გამონაკლისია ა. ლიპარტილიანის „სვანურ-ქართული ლექსიკონი (ჩოლურული კილო)“, რომელიც, მართალია, სხვა ლექსიკონებისაგან ფონოემანტიკურ ერთეულთა მრავალფეროვნებით გამოირჩევა და ესა თუ ის ლექსემა სწორედ სუბიექტის *ფიზიონომიას, აღნაგობას, გამოხედვას* სწორად აღწერს, მაგრამ ბევრი რამ მაინც დასაზუსტებელია.

ნ ა რ გ ი ზ ა ს უ რ მ ა ვ ა

და კავშირის მიერთებითი ფუნქციისათვის ცოცხალ დიალექტურ მეტყველებაში

ზოგი კავშირისა და საკავშირებელი სიტყვისათვის რუსულ ლინგვისტიკაში დადგინდა მიერთების ფუნქცია. მიერთებით კავშირთა შორის განიხილება ქართული **და** კავშირის ექვივალენტი და კავშირები.

ქართველ ენათმეცნიერთა მიერ ადრევე იქნა შენიშნული და აღწერილი **და** კავშირის გამოყენება თხრობის ვრცელი პერიოდებისა და დამოუკიდებელ წინადადებათა დასაკავშირებლად ძველქართულ ტექსტებში, ნათარგმნსა თუ ორიგინალურში (ვ. დანელია, ზ. სარჯველაძე, ა. შანიძე, ვ. ბერიძე...). ხოლო მოგვიანებით, **და-ს** ამგვარი გამოყენება კვალიფიცირებულ იქნა როგორც აღნიშნული კავშირის მიერთებითი ფუნქციის გამოვლინება (ვ. სერგია).

მიერთებითი ფუნქციის საფუძველზე იხსნება **და** კავშირის გამოყენების ზოგიერთი შემთხვევა, კერძოდ კი, საქმე შეეხება იმ შემთხვევებს, როცა **და** კავშირი იწყებს აბზაცს ან წინადადებას. „მიერთებითი თეორიის“ მიხედვით, პირველ შემთხვევაში მისი ფუნქციაა მეტატექსტების დაკავშირება – *დასკვნიითი* ან *ახალი თემის* შემცვე-

ლი მეტატექსტის მიერთება წინამავალ მეტატექსტთან; ხოლო მეორე შემთხვევაში – წინამავალ წინადადებასთან (გამონათქვამთან) აზრობრივად შემავსებელი, დამატებითი ინფორმაციის შემცველი ახალი წინადადების (გამონათქვამის) დაკავშირება.

და კავშირი მიერთებითი ფუნქციით ძალზე ხშირია ცოცხალ მეტყველებაში – სასაუბრო ენასა, და განსაკუთრებით, დიალექტურ მეტყველებაში. მაგალითები:

„წავიდა ე კაცი, მთვრალი იყო, გავაცილეთ, რა! ჩავიდა, ბინეფში ცხოვრობდა ქვევით. **და** ღამე ყვირის, რომ მოკლესო კაციო, ა ესე, აჭარლებმაო რაღაცაო... ასეთი პერიოდი რაღაცა. **და** მამაჩემმა თქვა: ადე, შვილო, წავიდეთ, აქ ველარ გავჩერდებითო, რა!“

„აქეთ შესასვლელი იყო, კალო ქვია, მანდ თურმე ადრე ხორბალი რომ მოდიოდა, ხორბალს ლეწავდენ და კალო დაარქვეს; **და** დიდი მოედანი იყო და თელი სოფელი მანდ იკრიბებოდა მაგ კალოზე.“

დიალექტურ მეტყველებაში გამოვლინდება სხვა შემთხვევებიც, სადაც **და** კავშირი მიერთებითი ფუნქციის მატარებელი უნდა იყოს:

ა) გარკვეული ტიპის პარატაქსულ კონსტრუქციებში, რომლებშიც **და** კავშირს ბოლოკიდურა პოზიცია უჭირავს. ეს მაშინ ხდება, როცა მომდევნო წინადადება შინაარსობრივად ხსნის, ავსებს და დროული მიმართების მხრივ უსწრებს წინამავალი წინადადებით გამოხატული მოქმედების პროცესს. მაგალითი: „ექიმს ვუთხარი, ექიმთან მაან ახლოს ვიყავი **და**.“

ბ) როცა **და** კავშირით მიერთებულია ირიბი გამონათქვამი:

„გურული ყიდის ლობიოს ბაზარში და მევიდა კლიენტი, **და**: რა ღირს ლობიოო? **და** უთხრა ფასი. – ნამდვილი გურული ლობიოა აგოო? **და**: – ნამდვილი გურული ლობიოა, ბატონოო! **და** ურევს ხელს ასე, **და**: – რა ვიციო, ნამდვილიაო, ნამდვილი გურულიაო? – ძამა, ლობიო მადა და კაბალახს ვერ დავახურავ მაგას თავზეო.“

მიერთებითი ფუნქციით გამოიყენება **და** კავშირის შემცველი სიტყვათშეხამებები: **და ან, და ვითომც, და თითქოს, და მართლაც, და მერე, ჰოდა, ეიდა.**

მ უ რ მ ა ნ ს უ ხ ი შ ვ ი ლ ი

უკანა მიმართულების უმლაუტის ორი შესაძლო შემთხვევისათვის სვანურში **ო** + **ჟ** პოზიციაში

მ. ქალდანის წესის მიხედვით, **ჟ** სონანტი, როგორც უკანა რიგის ბგერა, წინამავალ **ე** ხმოვანს და ნაწილობრივ **ი** ხმოვანსაც იმსგავსებს შდრ.: უშგ. სათაორ < ბზ. სათათურ || სათათრჟ < ბქ. სათეთრ < ლშხ. სათითურ < ქართ. სათითურ-ი. ეს მაგალითი სვანურის დიალექტებში ფაქტობრივად დადასტურებული **ჟ** სონანტის წინ განხორციელებული **ო** / **ე** / **ჰ** ხმოვანთმონაცვლეობის საუკეთესო ნიმუშადაა მიჩნეული (ქალდანი, 1969). დიალექტური მონაცემების გარეშე, ალბათ, ძალზე გაჭირდებოდა ამ ფორმის არქექტივის აღდგენაო, – აღნიშნავს მკვლევარი.

ხმოვანთა რეგრესული ასიმილაციის სავარაუდო ნიმუშად გვესახება ბ. ნიჟარაძის „ქართულ-სვანურ-რუსულ ლექსიკონში“ (2007) დამოწმებული ნამყო დროის მიმღეობის **ნარაჟ** <**ნარისჟ** ფორმა: ნაქლიბი **ნარაჟ**, შდრ., იქვე: **ქლიბი** რაჟ; მეუმილაუტე **ჟ** სონანტი დაკარგულია: რაჟ <*რაჟ <*რისჟ;

ამავე ლექსიკონში „გაქლიბვა, დაქლიბვა, მოქლიბვა“ მნიშვნელობა სვანურში მასდარის **ლ ი რ ს ი** ფორმითაა განმარტებული.

ვფიქრობთ, რომ სვან. **რაჟ**, **ნარაჟ** ფორმათათვის ამოსავალი ქართულიდან ნასესხები **რისვა** უნდა იყოს – **რისვა** ძვ. პარსვა, კრეჟა (ცხვრისა), **რისვ-ი** გაზაფხულზე ნაპარსი მატყლი (ქეგლ VI), შდრ., ძვ. ქართული რისუა, განრისუ(ვა) „კრეჟა, გაკრეჟა“;

ქართ. რისუვა > სვან. *რისჟ > რაჟ > რაჟ

ი ხმოვნის რეგრესული ასიმილაციის კვალი ჩანს სვან. **ბაჯუ** სიტყვაშიც: **ბაჯუ** ლშხ. 1. ჩიყვი, 2. თიაქარი, ტრიკი, 3. ლშხ., ლხმ. ხორცმეტი, სიმსინენე. 4. თათი (დათვისა); ტერფი...

თუ სვან. **ბაჯუ** სიტყვას ეტიმოლოგიურად ქართ. **სა-ზიძალ-**თან დავაკავშირებთ, შდრ.: **საზიძალი** ნიფხვის უბე ZABC, ნიფხვის შესაყარი“ D საბა; საზიძალი (მესხ.) „მარვლის ან ქვედა საცვლის უბე, ტოტებშორისი არე (ი. მასურ.)...“, მაშინ სვან. **ბაჯუ** ამოსავალი **ი** ხმოვნის ასიმილაციის შედეგად უნდა იყოს მიღებული: ***ზიჯუ** > **ბაჯუ**.

თეატელთშვილი, სოფიკო ბერულავა, რუსუდან პაპიაშვილი

„ერთის“ სემანტიკურ-ფუნქციური ანალიზისთვის ლინგვისტური მასალის მაგალითზე

ერთი მიეკუთვნება იმ სიტყვებს, რომლებიც ენაში სხვადასხვა ფუნქციითა და მნიშვნელობით გამოიყენება. **ერთის** ამ მრავალფეროვანმა ბუნებამ და ფუნქციების მხრივ დიდმა გრადაციამ განაპირობა ჩვენი დაინტერესება აღნიშნული ლექსიკური ერთეულით. ამ ეტაპზე ჩვენი ინტერესის სფეროში მოექცა **ერთის** სემანტიკურ-ფუნქციური ანალიზი სამეცნიერო ენაში, კერძოდ, თანამედროვე ლინგვისტური მასალის მიხედვით. შევეცადეთ, კვლევის შედეგების სანდოობისათვის გამოგვეყენებინა შეძლებისდაგვარად დიდი რაოდენობის მასალა. ამ მიზნით საანალიზო ბაზაში შევიდა არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გამოცემული შემდეგი კრებულები და მასალები: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, საენათმეცნიერო ძიებანი, არნოლდ ჩიქობავას საკითხავები, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო სესიისა და რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები. მონაცემები დავამუშავეთ თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით. გამოვლინდა 1000-ზე მეტი ჩანაწერი სიტყვა **ერთის** მონაწილეობით, ხოლო მათი კვალიფიკაციის შედეგად გამოიკვეთა, რომ:

1. საენათმეცნიერო ლიტერატურაში არ დასტურდება **ერთის** ყველა ის მნიშვნელობა, რომელიც დამოწმებულია „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“;

2. **ერთი** გამოიყენება შემდეგი ფუნქციებით (ჩამოთვლის თანამიმდევრობა შეესაბამება ამ ფუნქციით **ერთის** გამოყენების სიხშირეს):

ა) **ერთი**, როგორც რაოდენობითი რიცხვითი სახელი (ძირითადად ფუნქცია)

ბ) **ერთი**, იმავეს (იგივე) მნიშვნელობით

გ) **ერთი** განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელის მნიშვნელობით

დ) **ერთი** რიგობითი რიცხვითი სახელის სემანტიკით

ე) იშვიათად, **საერთოს/მთლიანის** მნიშვნელობით;

3. **ერთი**, როგორც მყარი გამოთქმის შემადგენელი კომპონენტი, თანამედროვე ლინგვისტური ლიტერატურის მიხედვით, რაოდენობრივად მხოლოდ **ერთის**, როგორც რაოდენობითი რიცხვითი სახელის, გამოყენების შემთხვევებს ჩამორჩება;

4. კომპიუტერული ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ **ერთი** ყველაზე მჭიდრო კავშირს ავლენს შემდეგ სიტყვაფორმებთან: სახეობის, თვისება, შეხედვით, იმავე, მეორეზე, მეორეში, მხრივ და სხვ.

მოხსენებაში უფრო ვრცლად იქნება წარმოჩენილი ზემოაღნიშნული საკითხები საილუსტრაციო მასალის დამოწმებით.

მ ე დ ე ა ლ ლ ო ნ ტ ი

ქართ. დიდ-ის და მდიდარ-ის ისტორიული პოლისემიისათვის

I. ქართ. **დიდ**-ი -დიდად გამორჩეულია თავისი პოლისემიურობით, შდრ.:

„**დიდ**- „დიდი (მარკოზი 5, 21)“ , **დიდი** (ესაია 5, 14) განუმარტავია“ (სულხან-საბა); „**დიდ**-ი ზედ. მაღალი; სხუათა ზედა უმეტესი შესახედავითა, ანუ საქმითა, კუალად ფასითა, სიმძიმითა და სხვა (დაბადება 1, 6; ფსალმუნი 47,1; ვეფხისტ. 342)“ (ნ. ჩუბინაშვილი); „**დიდ**-ი 1. ჩვეულებრივზე მეტი (საპირისპ. პატარა, მცირე); 2. მნიშვნელოვანი; საყურადღებო; ანგარიშგასაწევი; 3. ბევრი; ხანგრძლივი (დრო); 4. მოზრდილი, უფროსი (ასაკით); 5. ღირსშესანიშნავი; ძლევამოსილი; დიადი; 6. გამოჩენილი, თვალსაჩინო (პიროვნება)“; „**ფრიად**“, **მეტად**“, „**მალიან**“ (**დიდად** ფასობს); „**ამაყი**, **მედიდური**“ (**დიდ** გულზეა)“ (ქეგლ-ი).

ქართ. **დიდ**-ის ისტორიული პოლისემიის თვალსაზრისით, უაღრესად საგულისხმოა **დიდ**-ის შთამბეჭდავი სიტყვათწარმოება, რომლითაც იკვეთება 3 მაგისტრალური ლექსიკურ-სემანტიკური მიმართულება (ველი):

1. „აღმატებული, აღმატებულობა; ძლიერი, ძლიერება“:	
„საკით უფროსი, დიდი“ (დიდრონი)	„წარჩინებული,სახელოვანი ვაჭარი“ (დიდვაჭარი)
„უადრესობა, სიდიადე; პატივისცემა; ღირსება“ (დიდებულება)	„ძვირფასი; დიდი ღირებულები-სა“ (დიდფასი, დიდის/დიდმალის-სასყიდლისა)
„გოროზი; ამპარტავანი; ამაყად, დიდგულად“ (დიდგული/ა, ხევს., ფშავ. დიდად[ა])	„განდიდება; ქება; შესხმა; კურთხევა; ოსანა; აღმატება; მადლობა, ჩინებულება“ (დიდება)
„უფროსობა“ (დიდადი, დიდკაცობა)	„დიდების ღირსი; ვინც უნდა ადიდონ; ღვთის სადიდებად აღვლენილი ლოცვა“ (სადიდებელი, დიდებადი)
„დიდი, მდიდარი კაცი; პატივცემული; ჩინებული, წარჩინებული, დარბაისელი, მეფეთ წინაშე მდგომი“ (დიდებული; დიდ-დიდი)	„ძლიერ, ძლიერად; დიად, ფრიად; სასტიკად“ (დიდად, დიდძალად, დიდროვა)
„საკატიოს გუარისა, წარჩინებული“ (დიდებული, დიდგუარი)	„ძლიერ დიდი, უდიდესი; დიდ-დიდები“ (დიდ-დიდი, დიდროანი)
2. „მრავალი, სიმრავლე“:	
„მრავალი, ბევრი, მრავალრიცხოვანი, ფრიად მრავალი“ (დიდადი, დიდძალი, დიდრიცხვიანი)	„მრავალ-მოწყალე“ (დიდად-მოწყალე)
„რაც ბევრს იწონის“ (დიდწონიანი)	„მრავალთ საქონელთ მოფარდული“ (დიდვაჭარი)
„დიდი, მრავალფერი უფლებით აღჭურვილი“ (დიდუფლებიანი)	„ბევრი, უხვად მოსული თოვლის ჟამი“ (დიდთოვლობა)
„ბევრის მომთხოვნი ადათ-წესების აღსრულებისას“ (ხევს. დიდს გამხედავი)	„ბევრი მტკიცება არ უნდა“ (დიდი ლარი და ხაზი არ უნდა)

3. „სიგრძე; ხანგრძლივობა (დროის)“:	
„გრძელყურა“ (დიდყურა) „გრძელულვაშიანი“ (დიდულვაშა)	„დიდი ხნის განმავლობაში; და-ყოვნებით; რაც დიდხანს ძლებს; რაც დიდხანს გრძელდება“ (დიდხან, დიდხანს, დიდი ხნით, დიდხნობამდის, დიდხანიანი)
„სულგრძელი; დიდი სულის, მაღალი ზნეობის ადამიანი“ (სულდიდი, დიდსული, დიდსულოვანი, დიდბუნებოვანი)	„ქრისტიანულ მარხვათა შორის ყველაზე დიდი, მნიშვნელოვანი, ყველაზე ხანგრძლივი მარხვა“ (დიდი მარხვა)
„სულგრძელობა“ (დიდსულობა, დიდსულოვნება, დიდბუნებოვნება)	„დიდი დრო (ხანი) არ უწერია“ (დიდი დღე არა აქვს)
„თევზის საჭერი გრძელი ბადე“ (დიდბადე)	„გვიანი ვახშმის დრო, მაღალი ვახშმოების დრო (ჟამი)“ (დიდვახშმოზა)

II. ქართ. **დიდ-**ის წარმოდგენილი ლექსიკურ-სემანტიკური ველი (უწინარესად – **„აღმატებული, აღმატებულობა; ძლიერი, ძლიერება“**) – ერთი მხრივ, ქართველური, კავკასიური ენებისა და დიალექტების მონაცემების გათვალისწინებით (სვან. **ხოშა** „დიდი“, სვან. **ხაშა** „ეზედმეტება“, ჭან. **დიდ-**ი „უფროსი; დიდდება, ბებია; ბევრი; დიდი“ და სხვა), მეორე მხრივ, მასთან ზიარი სემანტიკით დაკავშირებული ლექსიკა (**დიად** „ძალიან; უხვად“, **დიადი** „ფრიად მრავალი“; **დია** „დიდად; ბევრი“), და შესამე მხრივ, შესაბამისი ტიპოლოგიური მასალა (ებრ. **gadol** „დიდი; მოზრდილი; დიდებული; პატივცემული; წარჩინებული“, ებრ. **g'dolah** „დიდებულება; დიდება; პატივი“, ებრ. **gad'lat** „ამპარტავენება; ზუაობა; განდიდება“; რუს. **Богатый** „მდიდარი“ და რუს. **Богатырь** „დევეგმირი, ბუმბერაზი, გოლიათი; მამაცი“ და სხვა) – შესაძლებლობას გვაძლევს, ვივარაუდოთ, რომ **დიდ-**ი (← *ყოველივეზე აღმატებული“) მიემართებოდა უხილავ, მიუწვდომელ ზეარს ღვთაებას, რომელიც არის ყოვლად-დიდი, ყოვლად-ძლიერი, ყველა არსზე ყოვლითურთ ზეაღმატებული – „უზემოესი ყოველთასა“ (წმიდა იოანე დამასკელი).

დიდ-ი, ვითარცა საღვთო სახელდებითი ატრიბუტი, მსგავსად **მაღალ-**ისა (შდრ.: ძვ. ქართ. **მაღალი** „ძლიერ მაღალი; მაღლობი; ამპარტავანი, ამაყი“; ძვ. ქართ. **მაღალი გულითა** „დიდგულა“; ძვ. ქართ. **მაღლოვა** „ამაღლება; განდიდება (თავისა)“) პროდუქტიულია წმიდა წერილში, უწინარესად კი სადიდებელ ლოცვებსა და ფსალმუნებში, მაგალითად:

„ვინმე არს მსგავს შენდა, უფალო? **დიდ ხარ შენ, და დიდ არს სახელი შენი** ძალისა შენისაგან“ (იერემია 10, 6); „უფალი სიონს **დიდ არს და მაღალ არს** ყოველთა ზედა ერთა“ (ფსალმუნი 98, 2); „კეთილ არს აღსარებაჲ უფლისა და გალობად სახელსა შენსა, **მაღალო**“ (ფსალმუნი 91, 2).

ამ თვალსაზრისით, უადრესად საგულისხმოა ქართ. **მ-დიდ-არ-**ის (←**დიდ-**) და რუს. **Bor-ar-ia**-ის „მდიდარი“ (←**Bor** „ღმერთი“, შდრ.: ძვ. ინდ. **bhagas** „სამკვიდრებელი; ქონება, საკუთრება“; მომნიჭებელი; უფალი; ბატონი; პატრონი“) ტიპოლოგიური ისტორიულ-სემანტიკური განვითარება (შდრ.: ძვ.ქართ **მდიდარი** „დიდი; დიდებული; თავკაცი; **მდიდრად** „მეტად, ძალიან, ძლიერ; ფართოდ“, **მდიდრად გამოჩინება**, „განდიდება“, **მდიდრად მეტყუელი** „მრავალმეტყველი“, **მდიდრად სიტყუაჲ** „კადნიერება“, **მდიდრობა** „წყალობა“).

ხ ა თ უ ნ ა ყ ა ნ დ ა შ ვ ი ლ ი

ერთი ტიპის კაუზატივის ფორმათა წარმოებისათვის ქართული ენის კაზური დიალექტის ქიზიყურ კილოკავში

აკაკი შანიძე ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში (1973: გვ. 362) საუბრობს ვნებითი გვარის კაუზატივის ფორმათა შესახებ. ავტორს მოჰყავს „ვეთრეინები“, „ვეკვლეინები“ ტიპის ფორმები და მსჯელობს იმის შესახებ, რომ აქტივიდან პასივში გადაყვანისას „მსგავსი გამოთქმები აქტივში ერთსა და იმავე არსებას გულისხმობს სუბიექტად და პირდაპირ ობიექტად. მაგრამ, რადგანაც ერთი და იგივე არსება არ შეიძლება ერთ ფორმაში გამოხატულ იქნეს სუბიექტადაც და ობიექტადაც, ამიტომ პირდ. ობიექტად უკუქცევითი ნა-62

ცვალსახელი „თავი“ იხმარება“..... თავს ვათრევიანებ ტალღებს – ვეთრეინები ტალღებს“. ავტორი დასძენს, რომ ამგვარი ფორმები ძირითადად აღმოსავლურ კილოზში გვხვდება.

ჩვენ დავინტერესდით ამგვარი ფორმების წარმოების შესახებ ქართული ენის კახური დიალექტის ქიზიყურ კილოკავში. კაუზატვის მსგავსი წარმოების ნიმუშების გამოვლენა ტექსტებში ჭირს, თუმცა მეტყველებაში ეს რეალური, მაგრამ იშვიათი ფორმებია. მოცემულ ვარიანტებში ჩანს, რომ სუბიექტის ნებით ხდება მასზე ირიბი ობიექტის მოქმედება. „ვათრევ-ვეთრეინები“ ტიპის წარმოება ყველა ზმნისთვის არ არის ბუნებრივი და შესაძლებელი. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია კონტექსტი.

ვეკვლეინები ტიპის კაუზატის მოეპოვება ყველა მწკრივის ფორმა: ვეკვლეინები...მევეკვლეინე... მოვეკვლეინებივარ.

ვ ა ჟ ა შ ე ნ გ ე ლ ი ა

ფრაგმენტები მოგონებიდან აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავაზე

75. ბ-ნი არნოლდი სიტყვა „პატრიოტს“ იშვიათად იყენებდა, მაგრამ მთელი თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებით ქვეყნის ინტერესებს ემსახურებოდა, ამასთან, ეროვნული სიამაყისა და ღირსების შელახვას არავის აპატიებდა.

2009 წელს წარმოდგენილ მოგონებაში გავიხსენეთ, თუ როგორ თქვა უარი გასული საუკუნის 50-იან წლებში არნ. ჩიქობავამ შემოთავაზებაზე გამხდარიყო საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, რაკი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი უკვე იყო; ამასთან დაკავშირებით იგი ამბობდა, რომ დათანხმება არ შეიძლებოდა, რადგან ეს ჩვენი აკადემიის პრესტიჟისათვის საზიანო იქნებოდაო, ამიტომ არ ეთანხმებოდა იმათ პოზიციას, ვინც მსგავს შეთავაზებაზე უარი ვერ თქვა...

1979 წლის ივნისში ყარაჩაი-ჩერქეზეთის დედაქალაქ ჩერკესკში ჩატარდა VIII რეგიონული სამეცნიერო სესია იბერიულ-კავკასიურ ენათა სისტემისა და ისტორიის საკითხებზე (ასეთი სესიები ადრე უკვე გაიმართა: მაჰჩყალაში, თბილისში, გროზნოში, ნალჩიკში, ორჯონიკიძეში, მაიკოპში, სოხუმში). სხდომის გახსნაზე პრეზიდენტში, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარესთან აკად. არნ. ჩიქობავასთან ერთად, იყვნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, ჩრდილოეთ კავკასიის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების მეცნიერები, აგრეთვე, სპეციალისტები თბილისიდან, სოხუმიდან, მოსკოვიდან... სოხუმის დელეგაციას ჩამოჰყვა დამწყები ინგლისელი მკვლევარი (იმ დროს მხოლოდ ორიოდ სტატია ჰქონდა გამოქვეყნებული) ჯორჯ ჰიუიტი, რომელმაც შემდეგ აქტიური ანტიქართული საქმიანობით გამოიჩინა თავი... ერთი თბილისელი სპეციალისტი ბ-ნ არნოლდთან მივიდა (სხდომის პრეზიდენტში) და უთხრა (მე იქვე ვიდექი): დარბაზში უცხოელი სპეციალისტია ჯორჯ ჰიუიტი და კარგი იქნება, თუ პრეზიდენტში მოვიწვევთო. ბ-ნი არნოლდი ამ წინადადებას აღაშფოთა (თვალეები აენტო, თითქოს თვალეებიდან ნაპერწკლებს ყრისო – განრისხებისას ასე იცოდა, რაც, ბუნებრივია, ხშირად არ ხდებოდა) და წინადადების ავტორს აღელვებული ტონით უსაყვედურა: „ჯერ კავკასიოლოგიაში რა გაუკეთებია, რომ პრეზიდენტში წამოვასკუპოთ... ხომ უნდა დამთავრდეს ჩვენი პროვინციალიზმიო“. აღნიშნული პირის უკეთურება იყო იმის მიზეზი, რომ ბ-ნი არნოლდი შემდეგშიც, ბევრისაგან განსხვავებით, მას არ იკარებდა...

76. ჩერკესკის სესიაში 60-მდე მოხსენება იყო წაკითხული. არამომხსენებლებიც ესწრებოდნენ (განსაკუთრებით – პლენარულ სხდომებზე), რომლებშიც, სპეციალისტების გარდა, ავტონომიური ოლქის საზოგადოების წარმომადგენლებიც მრავლად იყვნენ...

დასკვნით პლენარულ სხდომაზე ბ-მა არნოლდმა წარმოთქვა შემაჯამებელი სიტყვა, რომელმაც მსმენელთა დიდი მოწონება დაიმსახურა. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო ერთი ადგილი მისი გამოსვლიდან: „მშობლიური ენა ყველა ადამიანისათვის ძვირფასია, მაგრამ მშობლიური ენის სიყვარული შეხამებული უნდა იყოს სხვა ენებისადმი პატივისცემასთან... არსებობს მცირერიცხოვან და მრავ-

ვალრიცხოვან ხალხთა ენები, მაგრამ ენის უფლებები მასზე მოლაპარაკეთა რაოდენობით როდი განისაზღვრება ისევე, როგორც ხალხის უფლება არ განისაზღვრება მათი რაოდენობით“.

ბუნებრივია, ეს სიტყვები მცირერიცხოვან ხალხთა უფლებების დაცვად აღიქმებოდა, რაც იმ ეპოქაში სულაც არ იყო ადვილი...

77. იმავე გამოსვლაში არნ. ჩიქობავამ აღნიშნა, რომ მეცნიერული კვლევის დროს აუცილებელია ობიექტურობის დაცვა და აუჩქარებელი, დინჯი ანალიზი: „მეცნიერებას არ უხდება ფაცაფუცი, ეს თქვა არა მეცნიერების წარმომადგენელმა, არამედ გენიალურმა რუსმა პოეტმა ალექსანდრ პუშკინმა. მართალია, მას ენათმეცნიერება არ ჰქონდა მხედველობაში, მაგრამ ეს ფაცაფუცი ზოგჯერ ენათმეცნიერებაშიც საგრძნობია... ახლა მოდამია ნოსტრატული თეორია, რომლის თანახმადაც ერთი ოჯახის შემადგენლობაში ერთიანდება ინდოევროპული, უნგრულ-ფინური, სემიტური, ქამიტური, დრავიდული და ქართველური ენები, მაგრამ ამ ოჯახში არ მოიაზრება აფხაზურ-ადიღური, ნახური და დაღესტნური ენები... ეს არის უცნაურობა, მეცნიერება კი მცირე დოზით არის წარმოდგენილი. აი, ეს არის ფაცაფუცი, რასაც მეცნიერება ვერ იტანს. ასეთი მეცნიერება დამაჯერებელი ვერ იქნება“.

სესიაზე არნ. ჩიქობავამ სხვა მნიშვნელოვან ფაქტსაც გაუსვა ხაზი, კერძოდ – თეორიულ და გამოყენებით ენათმეცნიერებასთან დაკავშირებით: „ენა უნდა შეისწავლებოდეს ხალხის ისტორიასა და კულტურასთან, აზროვნებასთან კავშირში. უფრო მნიშვნელოვანი ამოცანა ენათმეცნიერებას არ გააჩნია... გამოყენებითი ენათმეცნიერების განვითარება აუცილებელია, მაგრამ ის თეორიულ ენათმეცნიერებას ვერ შეცვლის“.

78. ქართული მეცნიერების პრესტიჟზე ზრუნავდაო, – ითქვა ზემოთ. ამ კონტექსტში ერთი ასეთი ეპიზოდი უნდა გავიხსენოთ: 70-იან წლებში ჩვენს აკადემიაში ასარჩევად წარმოდგინეს მოსკოვში მოღვაწე ქართველი ლიტერატორის კანდიდატურა. არნ. ჩიქობავამ მის მხარდაჭერაზე საჯაროდ განაცხადა უარი: „თუ ასარჩევია, იქ უნდა აირჩიონ; ქართული ლიტერატურის, კულტურის კვლევის მიმართულებით არაფერი გაუკეთებია და ჩვენ რომ ავირჩიოთ, მიზანშეწონილი არ არისო“.

ფარული კენჭისყრის შედეგად იმ ლიტერატორის კანდიდატურა ჩავარდა.

79. არნ. ჩიქობავა თავის მოსაზრებას ნათლად და ლაკონიურად აყალიბებდა. ამას მოითხოვდა სხვებისგანაც. ერთ ჩრდილოეთკავკასიელ კოლეგას (გვარი, სამწუხაროდ, არ მახსოვს), რომელიც პატარა საკითხებზე ვრცელი სტატიის წერით გამოირჩეოდა, მორიგი ასეთი სტატია გამოუგზავნია „წელიწდეულში“ დასაბეჭდად. ბ-ნ არნოლდს უკითხავს პროფ. ა. მაჰომეტოვისათვის: „ამ კოლეგას საბეჭდი მანქანა ხომ არა აქვს?“ დადებითი პასუხის მიღების შემდეგ ღიმილით უთქვამს: „მაგას დაუღუპია!“

80. აქვე მოვიყვანთ აკად. თ. გამყრელიძის მოგონებას, რომელიც მან აკადემიაში საჯარო გამოსვლისას შემოგვთავაზა: „ერთხელ აკადემიის საერთო კრებაზე ბ-ნი კონსტანტინე გამსახურდია გამოვიდა სიტყვით და, სხვა საკითხებთან ერთად, განყოფილების სახელწოდებაში (საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება) სიტყვა საზოგადოებრივზე გაამახვილა ყურადღება, **საზოგადოებრივი** რა არის, ქართული წარმოება არ ჩანს და უნდა შეიცვალოსო. დარბაზიდან გაისმა ბ-ნი არნოლდის რესპლიკა – **გონებრივი, გონებრივი.** ბუნებრივია, გამოჩენილი მწერლის წინადადება არ იქნა მიღებული“.

81. ეტიკეტს განუხრელად იცავდა და მის დარღვევას არავის აპატიებდა, ერთხელ, სხდომის შემდეგ, რომლის დროსაც აკადემიის წევრობის კანდიდატს უყარეს კენჭი, ერთი დაინტერესებული კოლეგა ეკითხება: „ბ-ნო არნოლდ თქვენ მიეცით ხმა?“ ბ-ნი არნოლდი: „კენჭისყრა ფარული იყო და ამას რომ მეკითხებით, უხერხული არ არისო“.

იზა ჩანტლაძე, რუსუდან იოსელიანი

„დიგიტალური ქართველოლოგია“ (?) და სვანურ სახელთა ბრუნების სისტემა

„გვექნებოდა თუ არა სვანურ ნომინატივში ***მურყუამა-ი** („კომ-კი“), ***ფუსნა-ი** („ბატონი“), ძველი ქართული ენისა და ზოგი ცოცხალი კილოს **მამა-ი / დედა-ი**’ს მსგავსად, სხვა საკითხია; **იგი ჩვენ ამჟამად არც გვაინტერესებს**“ (ხაზი ჩვენია) – განაცხადა აკადემიკოსმა ვარლამ თოფურამ 1926 წლის 28 დეკემბერს ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების საჯარო სხდომაზე. მას შემდეგ თითქმის საუკუნე გავიდა და, მიუხედავად ამისა, **აღნიშნული საკითხით დაინტერესების სურვილი არც ერთ ქართველოლოგს არ გამოუთქვამს არც ჩვენში და არც საზღვარგარეთ**. მოველოდით, რომ მასზე მსჯელობა იქნებოდა პროფესორ ბაქარ გიგინეიშვილის სტატიაში „ხმოვანთა სიგრძე და აუსლაუტის საკითხი სვანურში“ („მაცნე“, №2, 1973), მაგრამ აქაც გაგვიცრუვდა იმედი, რადგანაც ავტორმა მთელი თავისი ყურადღება გადაიტანა ხმოვანთა სიგრძეზე, ამიტომ სხვათა ლოდინს თავი დაავანებეთ და გადავწყვიტეთ, გარკვეული მოსაზრებანი გაგვეზიარებინა კოლეგებისათვის:

ქართულ-ზანურ ენებთან შეპირისპირებისას სვანურში აშკარადაა თვალში საცემი თანხმოვანფუძიან სახელთა სიჭარბე ხმოვან ფონემაზე დაბოლოებულებთან შედარებით, ამასთანავე, უკანასკნელ შემთხვევაში **-ა** და **-ე** ბოლოკიდურიანები უფროა გავრცელებული, ვიდრე **-უ**, **-ო** ან **-გ** აუსლაუტიანები.

უძლავი, უმთავრესი სპეციფიკური მორფოფონოლოგიური მოვლენა სვანური ენისა, ერთმანეთისაგან მიჯნავს ორ-ორ ჯგუფს როგორც თანხმოვანფუძიან, ისე ხმოვანფუძიან სახელებში – უძლავუტოებსა და უძლავუტიანებს, არადა ყველგან მხოლოდ ერთი (უძლავუტიანთა) ჯგუფი უნდა გვქონოდა, რადგანაც ისტორიულად, დანარჩენ ქართველურ ენათა მსგავსად, ყველა საზოგადო სახელს (გამონაკლისს ქმნიან ანთროპონიმები! – ზურაბ ჭუმბურიძე: 1964) უსათუოდ უნდა ჰქონოდათ სახელობითი ბრუნვის მორფემა **-ე** (არ-ქაული) ან **-ი** (შედარებით გვიანდელი).

თანამედროვე სვანურ მეტყველებაში (როგორც ენგურის, ისე კოდორისა თუ ცხენისწყლის ხეობებში) თითო-ორი ფრაგმენტის სახით და იმავდროულად ყველა დიალექტში აბსოლუტურად ერთგვარად (-ო!) შემოგვრჩა სახელობითის მორფემა (შდრ. **იორ-ო** „ორი“, **სემ-ო** „სამი“, რომელიც ამ ფუნქციით მხოლოდ ე. წ. ორფუძიანი ბრუნების სისტემაში გამოიყენება: (სახ. **იორ-ო**, მიც. **იარ-ჟ**, ... სახ. **სემ-ო**, მიც. **სამ** < ***სამ-ჟ**..., სხვაგან კი ისიც სახელის ფუძესაა შეხორცებული ყველა ბრუნვაში: სახ. **იორი**, მიც. **იორი-ს**, ვით. **იორი-დ**, ... სახ. **სემი**, მიც. **სემი-ს**, ვით. **სემი-დ**...). სამაგიეროდ, -ო მორფემის ბგერინაცვალი -**ა** დღესაც ძალზე გავრცელებულია ბალსზემოურსა და ლაშხურ დიალექტებში, აგრეთვე, კოდორის ხეობაში საუკუნუნახევრის წინ ჩასახლებულ ბალსზემოელთა მეტყველებაში (როგორც საერთოქართველურ, ისე საკუთრივ სვანურსა თუ ნასესხებ ლექსიკაში: **ჭალა-ა** „მდინარე; ჭალა-მინდორი მდინარის პირას“, **ზა-ა** „წელიწადი“, ბქ. **ზა** „ზაფხული“, **მეშა-ა** „მუშა“..., ხოლო სხვაგან (ბალსქვემოურში, ლენტეხურში, კოდორის ხეობაში ჩასახლებულ ბალსქვემოელთა მეტყველებაში) იგი, ჩვეულებრივ, იკვეცება, მაგრამ სახელობითის ფორმაში რჩება მისი ერთ-ერთი დიფერენციალური ნიშნის (პალატალობის) მოქმედების შედეგი უმლაუტის სახით (**ჭალა, ზა, მეშა**).

ასეთ რთულ ვითარებაში, ბუნებრივია, გვიჩნდება კითხვები, თანაც საკმაოდ სერიოზული ხასიათისა:

1. რატომ არა გვაქვს უმლაუტი **დინა** („ქალიშვილი“), **დერა** („გაყინული თოვლი“), **კა** („ფიქალი ქვა“), **კენკა** („ნეკი“), **კადა** („ნაჯახი“), **შირა** („წისქვილის ქვა“), **შდა** („თავთავი“), **ჩერშდა** („თითისტარი“), **ტაფწელა** (ბალახის სახეობა), **ჰეჰა** („მაჯა“)⁴ და სხვა ანალოგიურ ერთ, ორ თუ სამმარცვლიან სახელთა აუსლაუტში?! – არადა, ასეთი ლექსემები უამრავია სვანური ენის ყველა დიალექტში! მათ არ დაერთოდათ სახელობითი ბრუნვის -**ე** ან -**ო** მორფემა, თუ ისინი თავდაპირველი ფუძის (ანუ წრფელობითი ბრუნვის) სახით შემოგვრჩნენ დღემდე? ცხადია, რომ დართოდათ რომელიმე მათგანი, საანალიზო ფუძეებთან უმლაუტის მხრივ იგივე სიტუაცია გვექნებოდა, რაც დღეს ლენტეხურსა (სრული სახით) თუ სხვა დიალექტებშია

⁴ საილუსტრაციო მასალა მოგვყავს ბალსზემოური დიალექტის მიხედვით, რადგანაც მასში ყველაზე უკეთაა შემონახული ჩვენი საკითხისათვის აუცილებელი საანალიზო მასალა.

(სინკრეტულად) დაცული (მდრ. ლნტ. **დენა-იშ**, ბქ. **დინაშ**, ბზ. **დინაშ**, ლშხ. **დინაშ** „ქალიშვილის“). ნათესაობითი ბრუნვის ფორმებში.

2. მეორე მხრივ, **ბაღე** („ფოთოლი“), **გუბრე** („ტყავი“), **თე** („თვალი“), **ლარე** („სათიბი“), **მარე** („კაცი“), **ყახე** („სახელი“), **ფხულე** („თითი“), **ღუბესე** („ქონი, ზადექონი“), **ღალე** („ფრთა“), **ყუბიე** („ღვიძლი“), **წესხე** („ფესვი“) და ა. შ. ისტორიულად ბოლოვდებოდნენ -ე ხმოვანზე (როგორც ამას ზოგი ქართველოლოგი ფიქრობს! – ონიანი 1998: 62-68), თუ ისინიც ზემოაღნიშნულ -ა აუსლაუტიან სახელთარეში იყვნენ? (დღემდე ყველა დიალექტში აქვთ მათ ამოსავალი -ა ხმოვანი შენარჩუნებული არასაუმლაუტო პოზიციებში, ოღონდ, ცხადია, არა იქ, სადაც ქართულ-ზანურ ენათა გავლენით მიმდინარეობს შედარებით ახალი – სახელობითი ბრუნვის ფორმის მიხედვით პარადიგმატული გასწორების – პროცესი).

ვფიქრობთ, რომ -ე აუსლაუტიანი სახელები წარმოადგენენ პირველი ჯგუფის სახელთა ნაუმლაუტარ მონაცემებს, ანუ **სახელობითი ბრუნვის ფორმებს**, ხოლო თავად -ა აუსლაუტიანები დღემდე სვანურ ენაში შემოგვრჩნენ წრფელობითი ბრუნვის ფორმით, ე. ი. ოდენ ფუძის სახით. ბუნებრივია, გვკითხავენ: -ე ხმოვანზე დაბოლოებული სახელები ისტორიულად არ არსებობდენო სვანურში? – შევეცდებით, ამ კითხვაზე მომავალში ვუპასუხოთ უმლაუტის მქონე ენებში არსებული ვითარების ზოგადდინგვისტური გააზრების გათვალისწინებით...

საგანგებოდ დავინტერესდით ბალსზემოურ-ლენტეხურ დიალექტებში შემონახული ერთი -ა აუსლაუტიანი კომპოზიტით, რომელიც სხვაგან -ე დაბოლოებით გვხვდება. ესაა „თიბვის დაწყების დღის“ აღმნიშვნელი ლექსემა **ახანახა/ახამახა** (მდრ. ბქ. **ახენახე**, ლშხ. **ახენახე**), რომელიც გამონაკლისს არ წარმოადგენს. სახელობით ბრუნვაშივეა დაცული -ა სოფელ ჩიხარემის (ლაშხეთი) უფუმბათო ეკლესიის სახელწოდებაში **მაშენა** (მდრ. შესაბამისი ზედსართავი სახელის აღმატებითი ხარისხის ფორმები: ბზ./ლშხ. **მაშენე** < *მა-შ-ე-გნ-ა-ი/ე „უდიდესი“, ბქ./ლნტ. **მაშენე**), ხოლო ლენტეხის რაიონში 1962 წელს პროფესორ მაქსიმე ქალდანის მიერ ჩაწერილ ზღაპარში (**ჩიეე ი მატრენე სემუნ** – „სიძე და უმცროსი ცოლისძმა“) ერთმანეთის გვერდით გვხვდება -ა და -ე აუსლაუტიანი ფორმები:

აგის მენესკერა მუხუბე ლაზეჭუედაა ჭყინტს (სვ. პროზ. ტ., III, 1967, 226: 16) – „შინ შუათანა ძმა შეეკითხა ბიჭს“;

შდრ. **მერბა ნაგაზანისკა ჩიყეს ხეწიან მენესკერე მუხტბე** (იქვე, 226: 18) – „მეორე კვირაში სიძეს ეწვია შუათანა ძმა“.

წიგნში გვხვდება შენიშვნა (გვ. 335): სოფელ მეღურაში ჩაწერილი ტექსტი შეამოწმა ვარლამ თოფურიაძე ლესემელ მაყვალა გაზდელიანთან, რაც იმას ნიშნავს, რომ იმავე ხეობის მეორე სოფელშიც არ გაკვირვებია სხვა მთქმელს აღმატებით ხარისხთა -ა || -ე დაბოლოებიანი ფორმები ერთმანეთის პარალელურად სახელობით ბრუნვაში.

იგივე შეიძლება გვეთქვა: **ზომბა** <*ზა-მანა, შდრ. **ზა-ა-მანხე** („წელი ახალი“), **დერა/დერე** („ყინულოვანი თოვლი“), **ლზრა/ლზრე** („სათიბი, მინდორი“), **ათხა || ათხე** („ახლა“) ლექსემათა შესახებაც.

უფრო მეტიც, სხვადასხვა დიალექტშიც შეიძლება შეგვხვდეს ხან -ა, ხან -ე სუფიქსიანი ან სულაც მათი მოკვეციტ მიღებული მონაცემები: ბქ. **ნათხურა** / ლნტ. **ნათხურა || ნათხურარ**, ზხ. **ნათხურარ**, ლშხ. **ნათხურარ** ^ე – „ნანადირევი“ (ლაშხეთში „გარეული ჩლიქოსანი ცხოველი – არჩვი, ჯიხვი,...“).

რაც შეეხება **ახანახა / ახენახე** ლექსემას, ვფიქრობთ, მეტად საინტერესოა მისი ეტიმოლოგია:

სვანეთში (და, ალბათ, სხვაგანაც!) თიბვა იწყება ახალი მთვარის გამოჩენის შემდეგ. მის დანახვაზე სვანები პირჯვარს იწერენ, ლოცულობენ, პირში **რკინას** იდებენ და სთხოვენ მთვარეს, რომ **რკინის სიმაგრე** მისცეს (ეგნატე გაბლიანი 1925: 131). ამ ეთნოგრაფიული დეტალის გათვალისწინებით, საანალიზო კომპოზიტში წარმოდგენილი **ნახა** თუ **ნახე**, ალბათ, იარაღის აღმნიშვნელი სვანური სიტყვაა, ხოლო **ახა/ახე** ანლაუტში ხმოვანმოკვეცილი **მანხე** <*მანა-ო/ე („ახალი“) უნდა იყოს. მაშასადამე, **ახანახა** არქაული (წრფელობითისა?) ფორმაა, ხოლო **ახენახე** <*მანა-ო/ე-ნახა-ო/ე – შედარებით გვიანდელი (ნაუმლაუტარი, ე. ი. სახელობითისა).

რაც შეეხება ლენტეხურ **ახამახა** (თოფურია/ქაღდანი 2000: 95)ს, ვფიქრობთ, რომ იმდენად შორსაა წასული ამ დიალექტში დიგლოსიური მოვლენები, მოსალოდნელია ის ქართული „ახალმახალის“ მიხედვით იყოს შექმნილი.

ჩოლურულ მეტყველებაში **ახენახე** არის „უნახავი, უცნობი, შესასწავლი“, ხოლო **ახემახე** – „ახალთახალი“ (ლიპარტელიანი 1994: 57).

საინტერესოა, რომ ძველ ქართულშიც შედის ცნება „ახალი“ „მთვარეულის“ სახელწოდებაში (შდრ. **ახლ**-ის-პირ-ოვ-ან-ი).

დასასრულს, უნდა ჩავასწოროთ „სვანურ პოეზიაში“ (1939: 118, 26-27) დაბეჭდილი თითქმის საუკუნის წინ ჩაწერილი ერთი ძველი სიმღერის ტექსტიც (მოგვიტევონ ჩვენი დიდი მასწავლებლების ნათელმა სულელებმა!), რომელიც იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ იგი წარმოადგენს რითმის ჩანასახს ურითმო სვანურ შაირში:

ახანახა, დომდულ მახე,

ქრისდედ ანკიდ უწარგი ჟახე.

„თიბვის დღე, მთვარე ახალი,

ქრისტემ ამოაგდო აზნაურის („ვარ-გი“ს¹⁴) სახელი!“

(და არა ისე, როგორც პუბლიკაციაშია თარგმნილი – აქ **ახანახა** სახელდება ის, ანუ წრფელობითი ბრუნვის ფორმაა და არა მიცემითისა, წინააღმდეგ შემთხვევაში მის შემდეგ მიმე სრულიად უადგილო იქნებოდა შესაბამის სვანურ ტექსტში).

ყოველივე ზემოაღნიშნულის თქმის შესაძლებლობა მოგვცა დიგიტალიზებული ელექტრონიკის მეთოდმა, რომელიც, სამწუხაროდ, ჩვენში ჯერჯერობით ისე არ არის დანერგილი, როგორც საჭიროა. რომ ფრანკფურტის უნივერსიტეტელი კოლეგები არა, ამგვარი ფაქტების ზემოსვანურ მორფემულ ლექსიკონში წარმოსაჩენად წლები დაგვჭირდებოდა, ოღონდ ის მხოლოდ დამხმარე მეთოდი – ძალზე მოხერხებული და სწრაფი, ჩვენი კვლევებისთვის ფრიად გამოსადეგი, თუმცა მისი მნიშვნელობა არ უნდა გავაზვიადოთ – **საკუთრივ ლინგვისტიკისგან, როგორც მეცნიერების ერთ-ერთი ძლიერი დარგისგან, ის საკმაოდ შორს დგას, მაგრამ ულტრათანამედროვეა და ენათმეცნიერებას აახლოებს ზუსტ მეცნიერებებთან.**

მ ა ნ ა ნ ა ჩ ა ჩ ა ნ ი ძ ე

უცხო სიტყვისა და „ლექსიკური ფონის“ მიმართებისათვის

უცხო (ახალი) სიტყვისა და „ლექსიკური ფონის“ მიმართების საკითხი, ზოგადენობრივი ტენდენციების გათვალისწინებით, მოიცავს იმგვარ პუნქტებს, როგორებიცაა:

- ა) ლექსიკის მასივის სპეციფიკურობა;
- ბ) სიტყვის გამოცალკევებისა და იგივეობრიობის პრობლემები;
- გ) კონტექსტი.

უცხო სიტყვებისა და მნიშვნელობების გამოყენებას განსაზღვრავს ორი ძირითადი ასპექტი:

I. ნომინაციური (საჭიროება ახალი ცნების აღნიშვნისა) და

II. ექსპრესიული (უკვე არსებული აღნიშნულის უფრო გამომსახველობითი შეცვლა).

ამ მიმართებათა გათვალისწინებით, მხატვრულ ტექსტებში საგანგებო მნიშვნელობისაა კონტექსტი, უფრო ზუსტად კი, კონტექსტთა იმგვარი შერჩევა და სეგმენტაცია, რომელიც უზრუნველყოფს არა მხოლოდ საკმარის ინფორმაციულობას, არამედ პირდაპირ კავშირშია ტექსტის მაღალმხატვრულ ღირებულებასთან.

ლექსიკის მასივის სპეციფიკურობის გამო, უცხო სიტყვისა და „ლექსიკური ფონის“ მიმართებისას ზოგადენობრივი ტენდენციების საკითხთა დოკუმენტირებისათვის კვლევის ობიექტად შევარჩიეთ ქართული კლასიკური პროზის ბრწყინვალე ნიმუში „დათა თუთაშხია“.

მ ე რ ა ბ ჩ უ ხ უ ა

შენიშვნები ქართველურ ენათა მორფოლოგიის საკითხებზე

1. ქართული ენის თუშურ დიალექტში **-ოდ** ნაწილაკს ორი ურთიერთგანსხვავებული ფუნქცია უდასტურდება. არსებით სახელებთან იგი სალიტერატურო ენის „**-ც**“ ნაწილაკის როლს ასრულებს: კაცი-**ოდ** = კაცი-**ც**, ხოლო ზედსართავებში ხარისხის ფორმას აწარმოებს: შავი-**ოდ** „ყველაზე შავი“. შეიძლება გავიზიაროთ სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე ცნობილი თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ ისტორიულად ისინი სხვადასხვა წარმომავლობისაა და ერთ-ერთი მათგანი **-ოდ-ე** ნაწილაკისგან მომდინარეობს – კაცი-**ოდ-ე** კაც-**ი-ოდ** „კაციც“ (ივ. ქავთარაძე). თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მეორე ფუნქცია, ხარისხის ფორმის გამოხატვა, რაც უნიკალური ჩანს თუშურში, საერთოქართველური წარმომავლობისაა და მას პარალელი ეძებნება სხვა ქართველურ ქვესისტემაში, კერძოდ, ზანური (კოლხური) ენის მეგრულ დიალექტში ერთადერთ ნიმუშში (ჯერჯერობით) გამოვლინდა თუშ. **-ოდ-** (***-ოდ-ე**) მორფემის ზუსტი ფონეტიკურ-ფუნქციური შესატყვისი **-უდ-ე** || **-უდ-ა** სუფიქსის სახით, შდრ. მეგრ. შხუ „მსხვილი“, მაგრამ **შხუდე** || **შხუდა** (***შხუ-უდ-ა**) „მომსხო“.

2. ლაზურსა და მეგრულში ნათესაობითი ბრუნვის **-იშ-ი** სუფიქსის გამოყენება განსხვავებული (სადერივაციო) ფუნქციით შეინიშნება ზედსართავ სახელებში, უფრო ზუსტად, იგი, დანიშნულების თვალსაზრისით, ზედსართავ სახელთა უფროობითი ხარისხის ფორმებს ედარება; შდრ. შემდეგი ბინარული ოპოზიცია:

ლაზური	მეგრული
მჩხუ „მსხვილი“	შხუ „მსხვილი“, მაგრამ მჩხუ- შ-ი /მხუ- შ-ი „უფრო მსხვილი სხვა მსხვილთა შორის“
მჭიფე „თხელი“	ჭიფე „თხელი“, მაგრამ მ'ჭიფე-შ-ი „უფრო თხელი სხვა თხელთა შორის“
გუნძე/გინძე „გრძელი“	გუნძე/გინძე „გრძელი“, მაგრამ გინძე- შ-ი „უფრო გრძელი სხვა გრძელთა შორის“
ჯგირ-ი ¹ „კარგი“	ჯგირ-ი/ჯგერ-ი „კარგი“, მაგრამ ჯგირ- იშ-ი „უფრო კარგი სხვა კარგთა შორის“...

ამგვარი კორელაციის მოშლის შედეგი უნდა იყოს მეგრულში „ძველის“ აღმნიშვნელი ჯვე-შ-ო ფორმის დამკვიდრება ერთადერთ სახეობად ამ ზედსართავ სახელში, ანუ მეგრულშიც იყო ოპოზიცია ლაზური ტიპისა მჯვე-ე „ძველი“ ~ მჯვე-შ-ო „უფრო ძველი სხვა ძველთა შორის“, რომელმაც ფუნქციის დაჩრდილვის შედეგად მხოლოდ შინაარსი შეინარჩუნა და დამკვიდრდა მხოლოდ ჯვე-შ-ო დერივატის ფორმით: მეგრ. ჯვე „ძველი“ ~ „ჯვე-შ-ო „უფრო ძველი სხვა ძველთა შორის“, შდრ. ჯვე-შ-ო „ძველი; წინაპარი“.

3. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ სვანურში ზმნისწინთა წარმოების სისტემა განსხვავებულია ქართულ-ზანურისაგან როგორც მატერიალურად, ისე სტრუქტურულ-ფუნქციურად. აქ დღემდის არ იძებნება ქართ.-ზან. მი-/მა- || მო-, და-/დო- და სხვ. სახეობის ზმნისწინები. თუმცა ისტორიულად მათი არსებობა დასაშვებია სვანურისათვის; ამით იმის თქმა გვსურს, რომ სვანურის ვითარება მეორეულია, ზმნისწინთა სისტემა სვანურში დროთა განმავლობაში გამარტივდა. და რომ აქაც იყო პოვნიერი, მაგალითად, მე- || მე- (ქართ. მა- || მო-, ზან. მო- || მუ-) ზმნისწინი, კარგად გამოჩნდება ოდნაობითი ხარისხის ფორმებში, სადაც ქართულისებური დერივაცია ჩანს ძირითადი.

სვანური

თუთუთუნე „თეთრი“ მე-თთუთენ-ა = მო-თეთრ-ო

მეშხე „შავი“ მე-მშხ-ა = მო-შავ-ო

წერნი „წითელი“ მე-წრან = მო-წითელო

სგელი „სქელი“ მე-ნსგლ-ა = მო-სქელო

მეგრე „მსხვილი“ მე-ნგრ-ა = მო-მსხვილო

დგთხელ „თხელი“ მე-დგთხლ-ა = მო-თხელ-ო...

როგორც ვხედავთ, სალიტ. ქართულის მო-ე/ო (მგ. ქართ. მო-ე) კონფიქსებს სვანურში მე-/მე-ა ასევე კონფიქსები შეესატყვისება, რომელთა პირველი სეგმენტის ზმნისწინური წარმომავლობა უდავოა, გამომდინარე იქიდან, რომ მას ქართულში წა- (ხოლო ლაზურში დო- „და-“) მარტივი ზმნისწინი თავისუფლად ჩაენაცვლება: „მო-წითალ-ო, წა-წითალ-ო, ლაზ. დო-მჭითხ-ორა "id"...

მ ე დ ე ა ჭ ი კ ა ძ ე

როლის ცნების „ყოველისმომცველი“ განმარტება

მრავალწლინმა სკრუპულოზულმა კვლევამ ნათელყო, რომ **როლის** ცნების განმარტებებში არსებული არნახული მრავალფეროვნება გამოწვეულია: ერთის მხრივ – ამ ცნებით აღნიშნული ფენომენის სირთულითა და მრავალწახნაგოვნებით და მეორეს მხრივ, ყოველდღიური ენიდან მეცნიერებაში შემოსული ცნებებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებით.

„როლის“, როგორც ყოველდღიური მნიშვნელობების, ასევე სამეცნიერო განმარტებების, ცნების რაობის დასადგენი ტრადიციულ „ბარათულ მეთოდზე“ დამყარებული ახალი კომპიუტერული მეთოდით „გაცხრილვის“ შედეგად გამოყოფილ იქნა:

ფენომენები, რომლებზეც როლის ფენომენი დაიყვანება:

1) მნიშვნელობა; კონცეფცია; ბაზური ტერმინი; ფენომენი; კატეგორია; საგანი. **2)** სისტემა; – ჯამი; ერთობა; რიგი; მარაგი; ჩამონათვალი; მოდუსი. **3)** წევრი; სემენტი; კომპონენტი; ნაწილი; შემადგენელი; ფაზები. **4)** ფიქსაცია; ანალოგია; მეტაფორა; იდენტიფიკატორი; ექვივალენტი; ჰარმონია. **5)** მოდელი; ნიმუში; ხატი; სახე; ფორმა; კონფიგურაცია; სტრუქტურა; გამოსახულება; გამოხატულება. **6)** პროგრამა; რეცეპტი; სტანდარტი; ნორმა; შაბლონი; სტერეოტიპი. – **7)** ფუნქციათა ჯგუფი; წვლილი; სუბფუნქცია; ფუნქცია. **8)** სტატუსი; რანგი; თანამდებობა. – **9)** უფლებები. **10)** მოვალეობები. **11)** მოთხოვნები. **12)** წარმოდგენა; დამოკიდებულება; ექსპექტაციები; ატიტუდი; მოლოდინები. **13)** მდგომარეობა; სიტუაცია; პირობები; გარემოებები. **14)** აზრები; გრძნობები; აღქმა; თავისებურებები; განსხვავებები; თვისებები; – მიზნები. **15)** ხერხი; საშუალება; მექანიზმები. **16)** პოზიცია. **17)** იმიჯი; პრესტიჟი; ღირსება; – ავტორიტეტი; **18)** რეაქცია; განაწილება; მონაწილეობა; მიკუთვნილება; ორიენტაცია. **19)** ზეწოლა; წინააღმდეგობა; იძულება; ძალდატანება. **20)** მხარდაჭერა; დახმარება; შემსუბუქება; – გაადვილება. **21)** მოქმედება; შრომა; შესრულება; რეალიზაცია; ხორცშესხმა. **22)** გათამაშება; – სცენარი. **23)** ადამიანი; პერსონაჟი; ინდივიდი; პიროვნება. **24)** შედეგი. **25)** შეფასება.

რეალობა, რომელსაც უკავშირდება როლის ფენომენი: 1) სოციალური; კულტურული; სოციოლოგიური; ფსიქოლოგიური; სოციალურ-ფსიქოლოგიური; ტექნიკური სფერო; იურიდიული სფერო; მორალური სფერო. 2) მსოფლიო სცენა; მსოფლიო დრამა; ბედი; ქვეყანა; საზოგადოება; ორგანიზაცია; ჯგუფი; ინტერაქცია; პიროვნებათაშორისი ურთიერთობები; კონკრეტული სიტუაცია; კონკრეტული ერთობა; კონკრეტულ პიროვნებასთან დაკავშირებული რეალობა; ინდივიდუალური მოტივაცია; შიდა პიროვნული დონე; ყოველდღიური მეტყველება; რეალური ცხოვრება.

ეპითეტები (მსაზღვრელები), რომლითაც ხასიათდება როლის ფენომენი: 1) აუცილებელი; გარდაუვალი. 2) მუდმივი; მყარი; მტკიცე. 3) ტიპური; ჩვეული; დადგენილი; წინასწარგანსაზღვრული; იმთავითვე ჩაფიქრებული; წინასწარ მოწოდებული; განსაზღვრული; გარკვეული; შესატყვისი; მსგავსი; განმეორებადი; შეთანხმებული; ასოცირებული; საყოველთაოდ მიღებული; მიწერილი; გაზიარებული; მოწონებული; ერთგვარი; ერთობლივი. 4) კომუნიკაციური; ურთიერთდაკავშირებული; შესატყვისი; მოსალოდნელი; მოთხოვნილი; ერთობლივი; სტრუქტურირებული; რეგულირებული; ორგანიზებული. 5) სპეციფიური; ავტომატური; განსაკუთრებული; ცალკეული; კერძო; პარტიკულარული.

როლების არსის დადგენაზე პასუხისმგებელი: 1) ღვთიური ძალა; ინდივიდუალური გონება; ტექსტის ავტორი; საზოგადოებრივი წესები. 2) რეალურად და დიდი დროის მანძილზე.

როლების საფუძვლად მდებარე ფენომენები: 1) ღირებულებები; ნორმები; შეთანხმება; კონსენსუსი; პოზიცია ჯგუფის შიგნით.

ვისთან ან რასთან ხდება როლის ცნების შეთანხმება: სხვა მომქმედ პირთა ქცევასთან; როლური პარტნიორების მოლოდინებთან; სხვა როლებთან; სოციალურ გამოცდილებასთან; ურთიერთ უფლებებთან და მოვალეობებთან; ჯგუფთან; ცალკეულ ადამიანთან; სხვადასხვა ადამიანთან მსგავს სიტუაციაში; ერთი და იგივე ადამიანთან სხვადასხვა შემთხვევაში.

როლის ცნების დანიშნულება: შესაძლებელი გახადოს, გაადვილოს აზრების მიმოცვლა; მოაწესრიგოს ადამიანთა შორის კომუნიკაცია; უზრუნველყოს საკუთარი თავისთვის გვერდიდან შეხედვა; იყოს ორიენტირი, რომელსაც გაუსწორდება ცალკეული ადამიანი.

რეალობასთან როლის მიმართების ნაირგვარობა: 1) ქმედითი; აქტიური. 2) სპონტანური; თავისუფალი; განპირობებული ინდივიდუალური თვისებებით; შესრულებული ფსიქოლოგიური შესაძლებლობების შესატყვისად; ურთიერთ ზემოქმედების ხარისხის შესაბამისი. 3) ფანტაზიაში წარმოდგენილი; რეალობაში გათამაშებული.

ზემოთ მოყვანილი მასალის ანალიზის საფუძველზე ცხადია ყველა გამოყოფილი ერთეულის არაშემთხვევითი კავშირი როლის ცნებასთან და საჭირო გახდა განმარტება, რომელიც ყველა მათგანსაც მოიცავდა და თანაც თითოეულს როლის ცნებასთან კავშირში, სათანადო, მხოლოდ მისთვის განკუთვნილ ადგილს მიუჩენდა.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფენომენის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა როლის ფენომენის მისია: „**იყოს ადამიანის თვალთ (ანუ ანთროპოლოგიური კუთხით), ყველასა და ყველაფრის სახელდებისა და დახასიათების ერთეული**“.

ამ მისიის შესაბამისად და ტავტოლოგიისაგან თავის არიდების პრინციპების სრული დაცვით, შერჩეულ იქნა ცნებათა ის კომპლექსი, რომელიც არაორაზროვნად ასახავს და მოიცავს **როლის** ცნების არსს, ამასთან შესაძლებლობას მოგვცემს მთელი რეალური თუ ვირტუალური სამყარო თავიანთი განზომილებით მოვაქციოთ როლურ სისტემაში და ყველა უკვე გამოყოფილ, თუ გამოსაყოფ ცნებაზე ვილაპარაკოთ, როგორც როლის ცნების ამა თუ იმ სისტემურ მოდიფიკაციაზე, თანაც მუდმივი ცვალებადობისა და დინების ასპექტის გათვალისწინებითაც. აი ეს „ყოვლისმომცველი“ განმარტება: – **როლი არის სამყაროს სუბსტანციალური (არსობრივი) მრავალგვარობის თანაარსებობაში ყოველი ცალკეული გვარის სტრუქტურირებული მოდუსი.**

ნ ი ნ ე ლ ი ჭ ო ხ ო ნ ე ლ ი ძ ე

ზარ-ფუძიანი ომონიმური ცალგების ისტორიისათვის ქართულში

ომონიმის აღმოცენების ერთ-ერთი წყარო, გარდა საკუთარი ფონეტიკური კანონებისა, უცხოური ენებიდან შეთვისებული სიტყვებია. ხშირად კი იგი ამ ორივე ფაქტორის შედეგადაა წარმოქმნილი. ძველი ქართულის, ასევე საშუალო საუკუნეების ძეგლების ლექსიკაში დიდი ადგილი უკავია ნასესხებ მასალას. უცხო სიტყვები (ბერძნული, ებრაული, არაბული, ირანული, თურქული, სომხური...) ინდივიდუალურად, სხვადასხვა გზებით, იქნებოდა ზეპირი თუ ლიტერატურული, უშუალოდ თუ მესამე წყაროდან შემოდიოდა ენაში. ენა დროის სრბოლას ემორჩილება. უცხო სიტყვათა დიდი ნაწილი სხვადასხვა მიზეზებით გაქრა, ზოგი კი ენამ დაიმორჩილა, ახალი ყოფის შესაბამისად გარდაქმნა, ზოგჯერ საგნობრივი მიმართების თვალსაზრისით მოწყვიტა პირველ წყაროს და მისთვის დამახასიათებელი სემანტიკური წესების საფუძველზე გააქართულა. ენაში ნასესხები სიტყვების დამკვიდრების ერთ-ერთ ძირითად მიზეზად მათ სხვადასხვა სინტაგმურ კავშირებსა და სემანტიკურ ველებში გაერთიანება უნდა ვიგულოვოთ.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ნასესხები მასალის გამოვლენასთან შედარებით უფრო რთული პროცესია სესხების გზების, სამწერლო ენაში მისი დამკვიდრების მიზეზების გარკვევა. ამასთან ერთად, მსესხებელი, ქართული ენა ხშირ შემთხვევაში იძულებულია ერთი ბგერით გადმოსცეს რამდენიმე უცხოური ფონემა, რაც იწვევს სხვადასხვა სიტყვების დამთხვევას. ეს შეინიშნება როგორც ერთი და იმავე ენიდან, ისე სხვადასხვა ენებიდან სესხებისას.

უმეტეს შემთხვევაში, უცხო, განსაკუთრებით კი აღმოსავლური ენებიდან შემოსული სიტყვების სადაურობა სათუოა, რადგან ხშირად არაბული ლექსიკა სპარსული, ან თურქულის გზით, ხოლო სპარსული კი თურქულის მეშვეობითაა ქართულში დამკვიდრებული. ამიტომ გადაჭრით იმის თქმა, რომელი აღმოსავლური ენის კუთვნილებაა ესა თუ ის უცხო ლექსიკური ერთეული, ძნელია. არც

ისაა გამოსარიცხი, რომ პირიქით, ნასესხებად მიჩნეული ლექსემა ქართველურ წარმომავლობისად აღმოჩნდეს.

ყოველ ეპოქაში გამოიყოფა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ომონიმები, მისი შესწავლა აღწერითი ლექსიკოლოგიის ერთ-ერთი მთავარი საკითხია. მაგრამ როდესაც ხელთა გვაქვს ერთგვარად მზგერი წყვილი და გაურკვეველია – ომონიმიასთან, ე.ი. სხვადასხვა წარმომავლობის სიტყვებთან გვაქვს საქმე თუ პოლისემიასთან, მრავალმნიშვნელობიან, ერთი სიტყვის ძალიან დაშორებულ სხვადასხვა მნიშვნელობებთან, უნდა მივმართოთ დიაქრონიას, რადგან ომონიმთა გამოყოფის სიძნელე იმ სირთულეებს უკავშირდება, რომელიც ეტიმოლოგიური ძიების დროს გვხვდება; როგორც სამართლიანად მიუთითებენ: „ეტიმოლოგიის დასადგენად საჭიროა შევისწავლოთ სიტყვის ისტორია, როგორც დიაქრონიული ლექსიკოგრაფიის ობიექტი, რამდენადაც უფრო ზუსტად და სრულად შესწავლილი იქნება სიტყვის ისტორია, მით უფრო სანდოა სიტყვის ეტიმოლოგია. რამდენადაც უფრო ნაკლებ ანგარიშს უწევს სიტყვის ისტორიას ეტიმოლოგია, მით უფრო შორდება ის მეცნიერებას“ (არნ. ჩიქობავა).

ზემოთქმულის საილუსტრაციოდ შევეცდებით წარმოვადგინოთ **ზარ**- სიტყვის ომონიმური ცალების ისტორია:

ძველი ქართულის სამწერლო ძეგლების მიხედვით დასტურდება ომონიმური ცალები:

1. ზარი შიში: დაეცა მათ ზედა **ზარი** და შიში ფრიადი (O, ნემ. 6, 15).

2. ზარი გესლი, შხამი (სპარსული: ზაჰრ). ვეშაპი... ზარისა – გესლისა და ნაფასისა მთესვარი (შაჰნამე, III). სპ. **ზარი** „შიში“ და **ზარი** „შხამი“ სემანტიკურად დაკავშირებული აქვს მზ. ანდრონიკაშვილს.

3. ზარი მწყობრი, გუნდი, ხალხი. აჰა ესერა **ზარი** დიდი წარმოჰვლიდა, და იტყოდეს წარმავალნი (მ. ცხ. 311v). ვფიქრობთ, ამ მნიშვნელობის სიტყვა უკავშირდება არაბ.-სპ.-თურქ. „მიწათმოქმედის“ აღმნიშვნელ სიტყვას **ზარი**.

4. საშ. და ახალ ქართულში **ზარი** (სპარს.) რვალის დიდი სარეკელი – საბა. მისთა კერძთა კაცთა დაუწყიან ცემა **ზარსა** (ამირანდარეჯანიანი). მისი სპარსული წარმომავლობის გარდა, გამოთქმულია

მოსაზრება, რომ იგი საერთოქართველური ფუძეა და მისი შესატყვისია მეგრ. **ზორ**- საყვირის ხმა (ფენრიხი, სარჯველამე).

5. საშუალი და ახალი ქართულის სამწერლო ძეგლების, მიხედვით **ზარი** აღნიშნავს **1. გლოვას**. რა სცნა, ველარ მივესწრები, დაუზახნა, გაჰკვდა **ზარი** (შაჰნამე). გლოვა და **ზარი** იყო სათაგვეთში (თ. რაზიკ.). **2. ზეიმს**. დიდი **ზართა** და ზეიმითა მოვიდა (ამირანდარეჯანიანი). დიდ ცერემონიებს **ზარსა** და ზეიმს აპირებენ (ილია). ხშირად გლოვისა და ზეიმის აღმნიშვნელი სიტყვა **ზარი** ლიტერატურაში ომონიმებადაა კლასიფიცირებული. მაგრამ როგორც უკვე შემჩნეულია სამეცნიერო ლიტერატურაში, ორივე ეს მნიშვნელობა უნდა მომდინარეობდეს „დიდი ხმაურობის“, „ყიჟინის“ აღმნიშვნელ სპარსული სიტყვიდან **ზარი** და მათი ძალიან განსხვავებული შინაარსი კონტექსტებითაა განპირობებული. სპარსულშივე ტირილისა და სიმღერის სემანტიკური კავშირი შემჩნეული აქვს მზ. ანდრონიკაშვილს.

6. ზარი (სპ.- თურქ. ზარ) საუბ. იგივეა, რაც კამათელი. ზარის გაგორება – ქეგლ.

7. ზარი, ძარი გოდორი, შესანახავი სიმინდისა, ან ქორთა საჯდომი გალია (დ. ჩუბინ.). მოჰყვანდის **ზარში** ნაჯდომი იგ ბედაური ქორები (თეიმურაზ I). სიმინდი ბევრი მოსულა, ყველას დაუდგამს **ზარია** (თ. რაზიკ.). შეიძლება ამ მნიშვნელობის **ზარი** უკავშირდებოდეს ძვ. სპარსულის სიგრძის ზომის (104 სმ) აღმნიშვნელ სიტყვას **ზარ**.

ასევე ნაწარმოებ სიტყვაში **ზარიანი** გამოიყოფა ოქროს მნიშვნელობის VIII. **ზარი**. მერე გაუგზავნა შაჰრო ასულსა ვითა ჯელმწიფეთა წესია, ეგრე **ზარიანად**, მაჰრანით კუბო ოქროდთა, თუალითა მარგალიტითა შეკაზმული (ვისრამიანი). შდრ. არაბ.- სპ.-თურქ. ზერ / ზარ-ფუძე.

ზემოდასახელებული **ზარ**-ფუძიანი სიტყვები მეტ-ნაკლები სემანტიკური ცვლილებებითა და სიტყვაწარმოების სხვადასხვა საშუალებებით დასტურდება ქართული ენის დიალექტებშიც.

ნინო ხახიაშვილი

მლივი სიტყვისათვის

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით **მლივი** არის: „1. ძვ. და კლთხ. (ქიზ.) გალეული, თხელი... 2. პატარა ნაცრისფერი კლდის ჩიტი. „ჩემი მადლობელი მხოლოდ მლივია, პატარა ნაცარა ჩიტი“ [ამბობს კლდე] (ვაჟა). 3. **მლივი ნაწლავი** ანატ. ადამიანის წვრილი ნაწლავი თორმეტგოჯა ნაწლავიდან თემოს ნაწლავამდე” (ქეგლ V, 1958).

ქართულის დიალექტებში ეს სიტყვა ძირითადად „გალეულის“ მნიშვნელობითაა: „**მლივი**-ი პატარა, დალეული. რომელიც ძაან დალეულია, რო არც სიმაღლით არი, არც სისქითა, გამწიკვლული არი უხეიროთა, ამაზე იტყვიან, მლივი ადამიანი არიო (იგ). წყაროზე რო ჩავედი, ერთი მლივი გოგო მოდიოდა, დიდი კოკა ეემსო და გეედო მხარზედა, ნეტა როგორა სძრავდა! (იგ)... **მლივი კვერცხი** პატარა, მოლეული კვერცხი. ნეტა რომელი ქათმისაა ეს მლივი კვერცხი? (ძეგ.)“ (ქართლ. დიალ. ლექსიკ. 1981). **მლივი**-ი „გალეული, გამხდარი“ (გ. ლიქოკ.) (მდრ. საბა, პ. ხუბ., ქართლ. ლექსიკ.: მლივი, ქეგლ, სტ. მენტემ. ნამლევა) (ხევს. ლექსიკ., ალ. ჭინჭარაული 2005). **მლივი**-ი სუსტი, ნაზი, უღონო (ფშ. ლექს., გ. ხორნ. 2000).

აგრეთვე, დავით და ნიკო ჩუბინაშვილების ქართულ-რუსული ლექსიკონების მიხედვით, **მლივი** არის: „ნალევი, გალეული, თხელი, ჭანი, სიფრიფანა, тонкий, тощий“.

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებითაც **მლივი** არის: „გალეული ZABCDE.“ განმარტებაში სიტყვა რედაქტორის მიერ „ნახეთი“ გაგზავნილია **ლევა** ზმნასთან, აგრეთვე ამ ფუძესთან დაკავშირებულ წარმოქმნილ ლექსიკურ ერთეულებთან: „**ლევა** გალევა... ნ. ალლევა, გალევა, განლევა, ლევნა, მლივი, მოლევა... **გალევა** მოკლება ZA. მოკლებასავით B...“ (საბა 1991). საბას **გალეული** ცალკე სალექსიკონო ერთეულად არ აქვს გატანილი, თუმცა ის დასტურდება ილია აბულაძის მიერ შედგენილ ისეთ სიტყვათა საძიებელში, რომლებიც ლექსიკონის განმარტებაშია ნახმარი, ხოლო სალექსიკონო ერთეულებად გატანილი არ არის: „**გალეული** ნ. მლივი“ (ილია აბულაძე, 1998).

ზემომოყვანილი მასალის მიხედვით, **მლივი**-ი უკავშირდება **ლევ**-ძირს (გალევა, მილევა, ნალევი...): რაც გაილია, – გალეული, ნალევი (ნამლევა), თანდათან კლებით გაქრობაზე მიმდგარი...

ამ აზრის ერთგვარი დამოწმებაა ვაჟა-ფშაველას მოთხრობიდან („კლდე სალი“) მოყვანილი ეს ტექსტიც – ერთგვარი „პოეტური ეტიმოლოგია“ **მლივი** სიტყვისა:⁵

„ჩემი მადლობელი მხოლოდ **მლივია**, **პატარა**, **ნაცარა ჩიტი**, **დამფრთხალივით**, **მხრების თახთახით რომ დაფრინავს**; მოვარდება ჩემთან გულგახეთქილი, თრთის, კანკალებს, დნება შიშით, ვინ იცის, რამ შეაშინა. ყველაფერი აშინებს: „მიშველე, ჩემო დედილო, ნუ მოუშვებ ჩემთან ნურც ქორს, ნურც ალალს: – მომკლავენ, მიტევენ; მიშველე, დამიფარეო“.

ძალიან გულჩვილია და ძალიან საწყალი, სუსტი, ბეჩავზე ბეჩავი არსება. რა ვქნა, მეც შვილობას ვეუბნები, თუმცა იგი მე – კლდეც, ამაყს, სალს, დიდებულს – რა შვილობას გამიწევს, მე კიდევაც რომ დედობა გავუწიო? შეუძლიან განა? არა... მლივი ვერ იქნება კლდის შვილად, ვით კრავი შვილად ლომისა. მლივმა როგორ უნდა შეასრულოს ანდერძი კლდისა: ვინ მისცა უძლურ არსებას იმდენი სიმტკიცე, მხნეობა, სიძლიერე სულისა, აასრულოს, უპატრონოს, ექმნას დარაჯად ჩემ ნდობა-სურვილთა და მისწრაფებათა? სად შეუძლიან მაგ **დამდნარს**, **გამქრალს შიშით**, **თრთოლით გალეულს**, უმხედროს დიდებულს უკვდავების წადილს კლდისას? ეს სურვილი მხოლოდ კლდისაა და კლდის მზგავსს მის ანაგლეჯს, მის ჯიშისას, შეუძლიან დაიცვას და ადასრულოს ღირსეულად... (ვაჟა-ფშაველა, „კლდე სალი“).

ალექსი ჭინჭარაულის „ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონში“ **მლივი** ასეა განმარტებული: „**მლივი**-ი 1. პატარა, ერთი ციცქნა. „იმ მლივის [ბულბულს] თუ თავს არ წაადეგ, ვერც კი დაინახავ თვალით“ („სვავი“). 2. „პატარა ნაცრისფერი კლდის ჩიტი“ (გლ). ჩემი მადლობელი მხოლოდ მლივია, პატარა ნაცარა ჩიტი... მლივი ვერ იქნება კლდის შვილად, ვით კრავი შვილად ლომისა („კლდე სალი“)“ (ალ. ჭინჭარაული 1969).

⁵ ქველის განმარტებაში (მნიშვ. 2. „პატარა ნაცრისფერი კლდის ჩიტი“) ილუსტრაცია სწორედ ამ მოთხრობიდან არის დამოწმებული.

შესაძლოა, სიტყვა **ლივლივი ლივ**- ფუძის გაორკეცებით იყოს მიღებული.

საბას განმარტებით: **ლივლივ**-ი ნადირთ ხლდომა ZabCaqE. ნ.: სიარული, სლვა... **სიარული** სლვის ქმნა... სიარულიცა არიან მრავალ-სახელ, რამეთუ ყოველთა ცხოველთა სლვანი განიყოფებიან... პირუტყვთ კისკასად რეცა შეფრენასა [ეწოდების] **ხლტომა**; მათსავე ჰაერში გრძლად **გახელტასა – ლივლივი**... (საბა 1991).

ნიკო ჩუბინაშვილი კი ასე განმარტავს ამ სიტყვას: **ლივლივ**-ი (**ლივლივებს**) წყალთ ციმციმი, მცირე ღელვა. – **მფრინველთ ლივლივი** (ნახე სიარულში) *колыхать, колыхание ...* **სიარულ-ი** სლუა, მოძრაობა ცხოველთა, გარდადგმით ფერხთათა, ანუ მფრინველთა ჰაერსა შინა და თევზთა წყალსა შინა ქნევითა ფრთეთა, გინა უსულოთა ნივთთა ძალითა ბუნებითათა ანუ ხელოვნებითა, ვითარ სლვა მდინარეთა, ეტლთა, ნავთა, ბორბალთა, საყამოთა და მისთანათა (ზაქარ. 9,8; ვეფხისტ. 147), *ход, хождение, походка*; სა ხენი ამისნი: ჩჩვილთ ოთხზედ სიარულს ეწოდება **ჩოჩვა, ცოცვა, ზოზღვა, ბორდღვა, ზლოტვა** და **ფოფინი**; ... მფრინველთა ჩვეულებრივსა ჰაერში სიარულსა **ფრენა** და **ფრფინვა**; ხლტომით ფრენასა – **გოგვა** და **გოგმანი**; ცუდსა სლვასა – **ლახლახი, ფრთების უძრავად ფრენასა – ლივლივი**; თევზთა წყალში სლვასა – **ცურვა**... ზემოწერილნი გუარნი სიარულისანი ხშირად იხმარებიან გარდაღებით კაცთაგან ცხოველთადმი და უსულოთადცა... (ნ. ჩუბინ., ქართული ლექს. 1961).

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით: „**ლივლივ**-ი ტალღისებრი რიტმული მოძრაობა... ზღვა შეკრთა, წყალმა დაიწყო თრთოლა, რგოლი რგოლს მიჰყავს წყნარი ლივლივით (გ. ტაბ.). **ლავლაგ**-ი იხ. ლივლივი“ (ქეგლ IV, 1955). **ლავლაგ-ი** რხევა, ქანოზა (ქართლ. დიალ. ლექსიკ. 1981). **ლავ**-ი (ხევს.) რაღაც საბედისწერო სიტყვაა, რომლითაც მამახურა (ნ.) თითქოს კაცს სწყევდეს. მამახურა უმახებს: „**ლავივ**“, დასწყევს და მაშინ ის კაც ვერ გადასჩების იმით სიკვდილს, რითაც მამახურა სიკვდილს შაუთვლის (ა. შან., 152) (ალ. ღლონტი 1984). შდრ.: **ლევა**¹ სახელი ლ ე ვ ს¹ ზმნის მოქმედებისა, – დამთავრება, დაბოლოება, ბოლოს მოღება... (ქეგლ IV, 1955).

ჩნდება შეკითხვა: ხომ არ შეიძლება **მლივი** (მ-ლივ-ი) იყოს მიმღობური ფორმა ***ლივ**-ს „თრთის, ირხევა, ქანაობს...“ ზმნისა („მთრთოლი“...); შემდეგ კი (ვაჟას ეტიმოლოგიას თუ დავესესხებით) სემანტიკური გადაწვევით: „თრთოლით, რხევით გამქრალი; გაქრობამდე მისული, დაღეული, გაღეული“?

ნ ა ნ ა ხ ო ჭ ო ლ ა ვ ა - მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი

მცენარის ეკლიანობით მოტივირებულ ფიტონიმთა ლექსიკური ძირების ერთი წყებისათვის ქართველურ ენებში

1. მცენარის გამოკვეთილი ნიშანი – ეკლიანობა – ქართველურ მასალაში სხვადასხვა წარმომავლობის არაერთი ლექსიკური ერთეულითაა აღნიშნული (ეკალი, ქაცვი, ფხა, ძემვი, წიწვი; ძიგირი, დაძი; ბარჯღ, ცაგ...), გამოიყოფა მცენარეთა სახელების წყება, სადაც ვვარაუდობთ ეკლოვანების აღმნიშვნელ უძველეს ლექსიკურ ძირებს. ეს სახელებია: ა) ქართული: **ძეგვი** (ლეჩხ.), **ძიგურა** (გურ., იმერ.); **ძიგურაე/-ი** (იმერ., რაჭ.) **ძიგრა** (გურ.), **ძიგვე** (იმერ., რაჭ.), **ძეგვე** (იმერ.); ზანური: **ძეგვი**, **ძაგვი**, **ძიგი**, **ძიგვი**, **ძიგი-რი**, **ძეგერი**, **ძეგირი**, **ძიგირე**, **ძიგარე**, **ძიგური**, **ძიგურა...**; სვანური: **ძიგირ**, **ძეგერ**, **ძაგჭარამ**, **ძაგჭარან**; ბ) ქართული: **ჯაგი**, **ჯაგვი** (საბა); **ჯაგო** (იმერ.), **ჯგვერი** (გურ.); მეგრული: **ჯაგი**, **ჯაგვი**, **ჯგეუჩა...** საკვლევი მასალა გამოირჩევა არაერთგვაროვნებით, ხელშესახებია: ურთიერთსესხება, სახელთა პოლისემიურობა, ფონეტიკური ცვლილებები, ბგერწერა...

2. გამოცალკევდება ძირები: **ძეგვ-**, **ძაგ-**, **ძაგვ-**, **ძაგჭ-**, **ძიგ-**, **ძიგვ-**, **ძეგ-**; **ჯაგ-**, **ჯაგვ-**; **ჭგ-**, **ჭაგ-**, **ჭგ-**; მათი მატერიალური მონაცემი უკავშირდება ქართველურ ენებში „ჩხვლეტა-ჩასობის“, „წვეტიანი საგნის“ სემანტიკის მქონე ლექსიკურ ძირთა მთელ წყებას და, ასევე, სრულიად განსხვავებული სემანტიკის მქონე ლექსიკურ ძირებს („სიძულვილი“, „ბილწი“, „წამალი“, „მოწამლვა“, „ცეხვა“...).

3. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულ ფუძე-ძირთა ეტი-მოლოგიური ანალიზისას მეტნაკლებად განსხვავებული ინტერპრეტაციებია წარმოდგენილი, ამასთან, თვალშისაცემია გამოწვევრებულ ან აღდგენილ ფუძეთა პოლისემიურობა.

4. ვფიქრობთ, შესაძლებელია ლექსიკურ ძირთა ურთიერთმიმართების წარმოდგენა ისე, რომ დაძლეულ იქნას პოლისემია. ჩვენ ვვარაუდობთ სხვადასხვა ქრონილოგიურ დონეს:

ა) უძველესი ეტაპი. შესაძლებელია ბგერათშესატყვისობების დადგენა და, შესაბამისად, სავარაუდო საერთოქართველური არქეტიპის აღდგენა. ჩვენი ვარაუდით, ესენია ლექსიკური ძირები: ***მაგ-//ძეგ-უ** „ჩხვლეტა, სიძულვილი“; „მჩხვლეტი რამ“; „ეკლიანი (საძულველი) მცენარე“; ქართული: **მაგ-//ძეგუ-** „ზიზღი“, „ეკალი, ეკლიანი ბუჩქი“, „ცეხვა“, „ნაყვა...“; ზანური: **ჯოგ-(ჯუგ-//ნჯუგ-)//ჯაგ-//ჯაგვ-** „ზიზღი“; „ეკლიანი ბუჩქი“, „გამოქნა“; სვანური: **ჟგ-//ჟაგ-//ჟგ-** „მარგვლა“, „გაწმენდა“, „ბილწი“, „ურჯულო“, „წამალი“, „წამლობა“, „მოწამლვა“).

სემანტიკური გადასვლები ასე წარმოგვიდგენია: ზმნური ძირისათვის **მაგ-** „ჩხვლეტა“ > „სიძულვილი“, „ზიზღი“.

სახელური ძირებისათვის: **ძეგ-** „მჩხვლეტი, წვეტიანი რამ“; **ძეგ-უ** „ეკლიანი მცენარე“ (>გადატ. „**ბილწი, ზოროტი, საძულველი**“, შდრ. ხალხური და ბიბლიური რწმენა-წარმოდგენები) > „მცენარე-წამალი“ > „საწამლავი“; სახელური ფუძის მქონე ზმნებისათვის (გამოდგეჟვა): „ეკლისგან, უვარგისისაგან გაწმენდა-გამოცალკეება“ > „გამოქნა“; „მარგვლა, ცეხვა, ლეწვა, ნაყვა“ > „უხეიროდ ღეჭვა“.

ბ) მოგვიანებით განხორციელებული ურთიერთსესხება და შემდგომ განვითარებული მთელი რიგი ენობრივი პროცესები: ქართული **ძეგვ-** გადადის ზანურში, სადაც მის გვერდით ჩნდება პარალელური ფორმებიც: **ძიგი, ძიგვი, ძიგვე, ძაგვი**; მათგან წარმოიქმნება ახალი სახელები (**ძიგ-ირ-ი, ძიგ-ურ-ა, ძიგ-არ-ე...**); რიგი ზანური სახელებისა გადადის ქართულსა (**ძიგურა, ძიგრა, ძიგვე...**) და სვანურში (**ძიგიორ...**).

5. მცენარის ეკლიანობით მოტივირებულ აღნიშნულ სახელებს შესაძლოა ქართველურ ფიტონიმთა სხვა წყებაც დაუკავშირდეს, თუმცა საკითხი შემდგომ კვლევას მოითხოვს.

ნ ი ნ ო ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე

ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა კრებული და თანამედროვე მდგომარეობა

„თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების“ გამოცემიდან 40 წელზე მეტი გავიდა, მაგრამ, როგორც ნორმათა დადგენის ზოგადი დებულებები, ისე ცალკეულ (თუმცადა კი – სისტემურ) შემთხვევათა შესახებ მოცემული დასკვნა-რეკომენდაციები დღესაც აქტუალურია და მოქმედი.

აქედან გამომდინარე, ახალი ვითარების გათვალისწინებით გადამუშავებული ნორმების კრებულის გამოცემისას უმეტესად მხოლოდ ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევათა (როგორც წესი, ეს ახლადშემოსული თუ დამკვიდრებული ფორმებია) გათვალისწინება-და თუა საჭირო.

ამჯერად ჩვენი კვლევის საგანი გახდა შემდეგი ნორმები (თანამედროვე ვითარების გათვალისწინებით):

1. გერმანული *ei* დიფთონგის გადმოცემა ქართულში;
2. ევროპის ენებიდან შემოსული *la* და *lu* ჯგუფებიანი სიტყვების გადმოცემა ქართულში;
3. ბერძნულიდან და ლათინურიდან მომდინარე სიტყვათა დაწერილობა ქართულში;
4. ზედსართავ სახელთა წარმოება ნასესხებ სიტყვათაგან **-ურ** ბოლოსართით;
5. ზედსართავ სახელთა წარმოება ბერძნულიდან მომდინარე **მა-**ზე დასრულებულ არსებით სახელთაგან;
6. **o-** და **ე-** პრეფიქსებიანი ვნებითი გვარის ზმნების მრავლობითი რიცხვის ფორმათა წარმოება დრო-კილოთა II ჯგუფში (ისინი დაიმაღლნენ თუ დაიმაღლენ? დაემაღლენ თუ დაემაღლნენ მას?);
7. სუბიექტის III პირის მრავლობითობის ნიშანი დრო-კილოთა პირველ, მეორე და მესამე ჯგუფებში (ისინი აშენებდნენ თუ აშენებდენ? იზრდებოდნენ თუ იზრდებოდენ?).

პროექტი „მეგრულ-ლაზური ფრაზეოლოგია“

(პროექტი №31/15) ხორციელდება შოთა რუსთაველის
ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით

ნ ა თ ი ა ფ ო ნ ი ა ვ ა

სინონიმის, ომონიმისა და ანტონიმისათვის ლაზურ იდიომებში

როგორც ცნობილია, ენის ფრაზეოლოგიურ სისტემაში შესიტყვებებს შორის მყარდება სხვადასხვა სახის პარადიგმატული მიმართებები – სინონიმია, ომონიმია... გარდა ამისა, ფრაზეოლოგიზმებში დასტურდება ანტონიმის შემთხვევებიც.

ზოგადად და, იდიომებშიც – კონკრეტულად, სინონიმების შექმნის ერთ-ერთი საფუძველია დიალექტური ვარიანტების თავმოყრა. ასეა ლაზურ ფრაზეოლოგიზმებშიც:

თოლიქ უფათქალს (ზედმიწ. „თვალმა უფართხალეს“) (ხოფ.) || **თოლი ურუკაჲ** (ზედმიწ. „თვალი უთამაშებს“) (არტ.) „სასიხარულო ამბავს გაიგებს“.

გუის ქონაციგუ (ხოფ.) || **გუის ქონაცონუ** (ვიწ. არქ.) (ზედმიწ. „გულზე მიერქო“) „ეწყინა“.

სინონიმია გვაქვს მაშინაც, როცა იდიომში შემავალ ერთ-ერთ საკუთრივ ლაზურ ლექსემას ენაცვლება ნასესხები ლექსიკური ერთეული:

ბაშკა გზა ვა უღუნ || **ბაშკა ჩაე ვა უღუნ** (ხოფ. არქ.) (ზედმიწ. „სხვა გზა არა აქვს“) „მძიმე მდგომარეობაშია, სხვა გამოსავალი არ აქვს“ (შდრ. თურქ. *çare* „გზა“).

სინონიმები გვხვდება ერთი და იმავე კილოკავის ფარგლებშიც:

თი მუშითე გულუნ (ხოფ.) (ზედმიწ. „თავი მისით დადის“) „თავის ნათქვამაა, სხვას არ უსმენს“, შდრ. **ნოსი მუშითე გულუნ** (ხოფ.) (ზედმიწ. „ჭკუა მისით დადის“) „id“.

ბედი გოჭვეი (ხოფ.) (ზედმიწ. „ბედი დამწვარი“) „უბედური“, შდრ. **ბედი ხალეი** (ხოფ.) (ზედმიწ. „ბედი მოხალული“) „id“.

ომონიმური იდიომები შედარებით ცოტაა, რადგან შესიტყვე-
ბაში ერთი მნიშვნელობა პირდაპირია და მეორე – იდიომური; ერ-
თსა და იმავე შესიტყვებას კი ორი გადატანითი მნიშვნელობა იშვია-
თად აქვს:

თის გოდგინ (ხოფ.) (ზედმიწ. „თავზე ადგას“) 1. თვალყურს
ადევნებს, აკონტროლებს. მუთხანი ვიქიფ დო ა ოხორჯა **თის გე-
მოდგინ** „რადაცას ვაკეთებ და ეს ქალი თვალყურს მადევნებს“. 2. უგ-
ლის. ძაბუნი ვოე დო ნანაჩქიმი **თის გემოდგინ** „ავად ვარ და დედა-
ჩემი მივლის“.

როგორც მოსალოდნელი იყო, ლაზურ იდიომებში ანტონიმია
გადმოიცემა

ა) სხვადასხვა მნიშვნელობის ფუძეებით:

ბელის გეიხონს (ხოფ. არქ.) (ზედმიწ. „ორთითზე ცეკვავს“) „ბეჯითია, გამრჯეა“. შდრ. **ბელის გააჭაბენ** (არქ.) (ზედმიწ. „ორ-
თითს ზედ ეწებება“) „ზარმაცია“.

ბ) ან უარყოფის აღმნიშვნელი ვა „არ, ვერ“ ნაწილაკით:

გუი გაუძინ (ხოფ. არქ.) (ზედმიწ. „გული უღევს“) „მონდომე-
ბით, გულით აკეთებს (რაიმეს)“. ა დულდას **გუი გემიძინ** „ამ საქმეზე
გული მიღევს“. შდრ. **გუი ვა გაუძინ** (ხოფ. არქ.) (ზედმიწ. „გული არ
უღევს“) „უხალისოდ, უგულოდ აკეთებს (რაიმეს)“. ა დულდას **გუი
ვა გემიძინ** „ამ საქმეზე გული არ მიღევს“.

ე თ ე რ შ ე ნ გ ე ლ ი ა

მეგრულ-ლაზური ბირგულ-ი / ბურგილ-ი „მუხლი“ ლექსემების შემცველი იდიომებისათვის

მეგრ. **ბირგულ-ი** და ლაზ. **ბურგილ-ი** || **ბურგულ-ი** || **ბუგილ-ი**
„მუხლი“ აქტიურია იდიომებში მონაწილეობის თვალსაზრისით.
ისინი გამოხატავენ სხვადასხვა შინაარსს. კერძოდ:

სირბილში აჯობნა:

მეგრ. **ორჯგინგ ბირგულშა** „სირბილში აჯობა, მარდია“, (ზედ-
მიწ. „მუხლში აჯობა.“).

სწრაფი სირბილი:

მეგრ. **ბირგულშა მირულე** „სწრაფად, თავქუდმოგლეჯით მი-
რბის“, (ზედმიწ. „მუხლამდე მირბის“).

დაჩოქება:

მეგრ. **ბირგულს ქიგიანთხეს** „დაიჩოქენ“ (ზედმიწ. „მუხლზე
დაეცნენ“).

მუხლების მოკვეთა, მუხლებში ძალის წართმევა (დაღლილო-
ბისაგან, უძლურებისაგან, შიშისაგან):

მეგრ. **ბირგულემქ ქათუციუ** „მუხლები მოეკვეთა“ (ზედმიწ.
„მუხლები დაუცვივდა“), ლაზ. **ბურგულეფეს გოწომილუ** „მუხლები
მომეკვეთა, ძალა არა მაქვს“ (ზედმიწ. „მუხლი წამერთვა“). შდრ.
ქართ. **მუხლი მოეჭრება, მოეკვეთება** – მუხლში ძალა წაერთმევა,
ფეხზე დგომა გაუჭირდება, ჩაიკეცება.

ხვეწა, თხოვნა, მუდარა:

მეგრ. **ბირგული ქუდუშქუ** „ეხვეწა, ემუდარა, მორჩილება, პატი-
ვისცემა გამოხატა“ (ზედმიწ. „მუხლი მოუყარა“). შდრ. ქართ. **მუხლს
მოიდრეკს, მუხლს მოიყრის, დაიჩოქებს** (პატივისცემის ნიშნად).

დამორჩილება:

მეგრ. **ბირგულს ქვდაშქუმალაფუანს** „დამორჩილებს“ (ზედ-
მიწ. „მუხლს მოაყრევინებს“), ლაზ. **ბურგილეფეს დვაჩოქუ** (ხოფ.)
„დანებდა, წინააღმდეგობას აღარ უწევს, ფარ-ხმალი დაყარა“ (ზედ-
მიწ. „მუხლებზე დაუჩოქა“). შდრ. ქართ. **მუხლის მოყრა** – დაჩოქება.

რაიმე საქმეში ჩაფვლა, ჩაძირვა:

მეგრ. **ბირგულშა წყარს მიშარე** „ჩაფლულია რაიმე საქმეში“
(ზედმიწ. „მუხლამდე წყალში დგას“).

ტანმორჩილი, ძალიან პატარა:

მეგრ. **ბირგულიში მაგინძა რე** „ტანმორჩილია, ძალიან პატა-
რაა“ (ზედმიწ. „მუხლის სიგრძისაა“).

რანგობრივად დაბალ საფეხურზე ყოფნა:

მეგრ. **ბირგულშა ვემიანჭუ** „ვერ შეედრება“ (ზედმიწ. „მუხლა-
მდე ვერ შესწვდება“).

ფეხზე დგომის, სიარულის, მოძრაობის უნარი:

მეგრ. **ბირგული ორგ** „ფეხზე დგომა, სიარული, მოძრაობა შეუძლია“ (ზედმიწ. „მუხლი უვარგა“). შდრ. ქართ. **მუხლი ერჩის** – სიარული შეუძლია; კარგად დადის; ჯანზეა, ღონეზეა.

უძლურება; ფეხზე დგომის, სიარულის, მოძრაობის უნარის არქონა:

მეგრ. **ბირგული ვარგ** „მოძრაობა უჭირს“ (ზედმიწ. „მუხლი არ უვარგა“). შდრ. ქართ. **მუხლი არ მოსდევს** – სიარული არ შეუძლია, უჭირს; ძალა აღარა აქვს.

ფიზიკური სისუსტის დაძლევა:

ლაზ. **ბურგილის ქოგაოჯგინუ** (ხოფ.) „ფიზიკურ სისუსტეს მოერია“ (ზედმიწ. „მუხლს აჯობა, დაამარცხა“).

დაღლა:

ლაზ. **ბურგილეფე ქამემოსთუ** (ხოფ.) „მუხლი დამეღლა“ (ზედმიწ. „მუხლი მომძვრა“).

მეგრ. **ბირგულ–ი** და ლაზ. **ბურგილ–ი** || **ბურგულ–ი** || **ბუგილ–ი** ლექსემების შემცველ იდიომებში გადმოცემულია მეგრულისა და ლაზურისათვის საერთო და განსხვავებული შინაარსი.

გარდა შინაარსობრივი მხარისა, საანალიზო იდიომები საყურადღებოა სტრუქტურული თვალსაზრისითაც: კომპონენტთა შედგენილობის მიხედვით გამოიყოფა ორ–, სამ– და ოთხკომპონენტიანი იდიომები. ყველაზე ხშირია ორკომპონენტიალები. იდიომების შემადგენლობაში შემავალი წევრები შეიძლება იყოს სხვადასხვა მეტყველების ნაწილი. ყველაზე ხშირად წარმოდგენილია არსებითი სახელი და ზმნა. იდიომებს მოეპოვება შესატყვისები ქართულში.

ვ ა ჟ ა შ ე ნ გ ე ლ ი ა

„მეგრულ-ლაზურ ფრაზეოლოგიაზე“ სამი წლის მუშაობის შედეგების შესახებ

საგრანტო პროექტი „მეგრულ-ლაზური ფრაზეოლოგია“, რომელიც დაფინანსებული იყო შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის მიერ, მიზნად ისახავდა მონოგრაფიული გამოკვლევისა და სათანადო (მეგრული და ლაზური) ლექსიკონების შექმნას, რაც შესრულებულია. პროექტზე მუშაობა დაიწყო 2013 წლის აპრილში და სრულდება 2016 წლის აპრილში.

გემის შესაბამისად, მუშაობა წარიმართა ექვს პერიოდად.

პირველი პერიოდი ბიბლიოგრაფიის შედგენასა და სპეციალური ლიტერატურის კრიტიკულ ანალიზს მიეძღვნა. განხილულ იქნა ფრაზეოლოგიზმების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურასა და სხვადასხვა ტიპის ლექსიკონებში წარმოდგენილი თვალსაზრისები. ამავე დროს, ამოწერილ იქნა საანალიზო მასალა არსებული მეგრული ლექსიკონებიდან და ტექსტებიდან.

მეორე პერიოდში გაგრძელდა ანალიზისათვის საჭირო ენობრივი მასალის მოძიება, კერძოდ, მოხდა სამეგრელოში განხორციელებული მივლინებისას მოპოვებული მასალის დამუშავება. დაიწერა გამოკვლევა მეგრული ფრაზეოლოგიზმების სემანტიკურ-თემატური ჯგუფების შესახებ.

მესამე პერიოდში ამოიწერა ლაზური იდიომები ლაზური ლექსიკონებიდან და გამოქვეყნებული ტექსტებიდან; მათი ანალიზის საფუძველზე დაიწერა გამოკვლევა ლაზური ფრაზეოლოგიზმების სემანტიკურ-თემატური ჯგუფების შესახებ.

მეოთხე პერიოდში საგრანტო პროექტში მონაწილე სამი პირი მივლინებით იყო სამეგრელოსა და ლაზეთში დამატებითი მასალის მოსაპოვებლად; დიქტოფონისა და ვიდეოკამერის საშუალებით დაფიქსირებული მასალა განთავსდა კომპიუტერში. გამოკვლეულ იქნა მეგრულ-ლაზური ფრაზეოლოგიზმების სტრუქტურულ-გრამატიკული თავისებურებანი.

მეხუთე პერიოდში განხორციელდა დასკვნითი სამეცნიერო მივლინება სამეგრელოსა და ლაზეთში ადრე მოპოვებული მასალის დაზუსტებისა და შევსების მიზნით. გაანალიზდა მოპოვებული მასალა; შესწავლილ იქნა იდიომები სტატისტიკური თვალსაზრისით.

დასკვნით, **VI პერიოდში** ჩატარდა მეგრულ-ლაზური ფრაზეოლოგიზმების ანალიზი შედარებითი და ტიპოლოგიური თვალსაზრისით; ამავე დროს ჩამოყალიბდა მონოგრაფიის საბოლოო სახე.

შესასრულებელ ამოცანად გათვალისწინებული იყო ექვსი სტატიისა და რვა მოხსენების თეზისების მომზადება, რეალურად კი დაიწერა შვიდი სტატია და 26 მოხსენების თეზისები (მათი მეტი წილი წაკითხული იყო სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციაზე, ოთხი მათგანი კი წარმოდგენილი იქნება დღევანდელ სამეცნიერო სესიაზე).

ყველა პერიოდში შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდს დროულად მიეწოდებოდა როგორც პროგრამული, ისე ფინანსური ანგარიშები.

ც ი რ ა ჯ ა ნ ჯ ლ ა ვ ა

მეგრულ-ლაზური დუდი „თავი“ სიტყვის შემცველი იდიომების ტიპოლოგიური ანალიზისათვის

მეგრულ-ლაზურ იდიომებს ტიპოლოგიური პარალელები, ბუნებრივია, უ. ყ. ქართულში მოეპოვება; ამ მხრივ სხვა ენებთან სხვაობა ხშირია, მაგრამ ანალოგების არსებობაც დასტურდება. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს.

1. მეგრ. დუდ გალე ვაგმარჩქინინე

ლაზ. **თი გალე ვარ გამაღენ**

ქართ. **თავს გარეთ ვერ ყოფს** – შიშით (1), სირცხვილის გამო (2)

რუს. **Не может и носа высунуть** (1)

Не может показаться людям (2)

2. მეგრ. **დუს გეხუნა**

ლაზ. **თის გეხუნუ**

ქართ. **თავზე დაჯდომა**

რუს. **На голову сесть**

ამ შემთხვევაში ტიპოლოგიური ანალოგი გვაქვს, მაგრამ სტრუქტურული სხვაობა საგრძნობია.

3. მეგრ. **დუდიშ დუდი**, ზედმიწ. „თავის თავი“

ქართ. **თავიდათავი**

ჩერქ. **ნაჰესჰ**, ზედმიწ. „უფრო თავი“

რუს. **главный**

ამ გამოთქმებს შორის სერთო ისაა, რომ ყველგან „თავი“ სიტყვაა გამოყენებული, განსხვავება კი ისაა, რომ მეგრულში შესიტყვებასთან გვაქვს საქმე, ქართულსა და ჩერქეზულში კომპოზიტი გვაქვს (წარმოშობით – შესიტყვება), რუსულში – დერივატი (შდრ. ქართ. მთავარი).

4. მეგრ. **დუდ მიდინუ**, ზედმიწ. „თავი დაკარგა“

ლაზ. **თი ქაგუინდინუ**

ქართ. **თავი დაიღუპა**

რუს. **Погубил себя**

აქ შინაარსობლივი შესატყვისობა გვაქვს, მაგრამ კომპონენტური შემადგენლობა სხვადასხვაა (ქართულ გამოთქმას **თავი დაკარგა** სხვა სემანტიკა აქვს, შდრ. რუს. **голову потерял**).

5. მეგრ. **დუდ ვაულუ**

ლაზ. **თი ვარ ულუნ**

ქართ. **თავი არა აქვს**

რუს. **Нет возможности (силы)**

მეგრულ-ლაზურსა და ქართულს შორის სრული ანალოგია გვაქვს, რუსული განსხვავებულ ვითარებას წარმოგიდგენს.

ამჯერად ამ ხუთი მაგალითით შემოვიფარგლებით, უფრო ვცვლად კი მოხსენებებში გვექნება მსჯელობა.

პროექტი „კავკასიურ-ქართული ლექსიკონები ლინგვისტური კომენტარებით ინდექსითა და გრამატიკული ნარკვევით“

(პროექტი №AR/243/2-132/14) ხორციელდება შოთა რუსთაველის
ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით

ლ ე ვ ა ნ ა ზ მ ა ი ფ ა რ ა შ ვ ი ლ ი

ხუნძურ-ქართული სემანტიკური შეხვედრები

1. ხუნძ. ტერ „ფერი“.

ამ სიტყვისგან ხუნძურ ენაში ნაწარმოებია სახელები **ტიერ-ილ-აჟ** (I კლ.) „თანატოლი“, „მოასაკე“ (მამაკაცი), **ტიერ-ილ-აი** (II კლ.) „თანატოლი“, „მოასაკე“ (ქალი), **ტიერ-ილ-ალ** „თანატოლები“, „მოასაკეები“ (მრ.რ.). ამავე ტერ სიტყვის მნიშვნელობა აგრეთვე „თაობა“, მაგ., ცო ტერალულ ჩაჭი „ერთი თაობის (ზედმიწ. „ერთი ფერის“) ადამიანები“.

ქართულ ენაშიც ჩვეულებრივია **ფერ-ი** სიტყვის გამოყენება შესაბამისობის გამოსახატავად: შე-ჰ-**ფერ-ი**-ს, შე-სა-**ფერ-ი**-; დიალ. (ხევს., ფშ., თუშ.) **ფერი** // **ფერაგჷ** „მსგავსი“, **ფერ-ებ-ა** // **ფერ-ებ-აი** „მსგავსება“ (თ. უთურგაიძე, გ. ცოცანიძე, ალ. ჭინჭარაული, გ. ხორნაული, პ. ხუბუტია); ასევე, ხევს. სწორ-**ფერ-ი** „თანატოლი“, „ტოლ-ამხანაგი“, „ძმობილი (ვაჟიც და ქალიც)“, „წაწალი“.... *ფერი ფერსა, მადლი ღმერთსა* (ანდაზა), შდრ. ხუნძ. *ჰელაღჷ ჰელ ქოლა, ტერალჷ ტერ ქოლა* „საკვი ასაკს იჭერს, ფერი ფერს იჭერს“ (ანდაზა).

ხუნძურში ტერ („ფერი“) სიტყვას თანაგვარობის გამოხატვის საფუძველზე განვითარებია, როგორც ჩანს, დამატებითი მნიშვნელობა, როგორცაა „ჯარის მწყობრი“, „ჯარისკაცთა მწკრივი“ (რუს. шеренга), ტერდა ჭეუხე „ჯარის მწყობრში ჩადგომა“, „ჯარისკაცთა მწკრივში ჩადგომა“.

ტიერ („ფერი“) ფუძის რედუპლიკაციით არის მიღებული ატრიბუტივი **ტიერ-ტიერ-აბ** „ნაირ-ნაირი“, სხვადასხვაგვარი“, „ნარჩევი“; შდრ. ქართ. მრავალ-ფერ-ოვან-ი. აღსანიშნავია ამავე ფუძისგან ნაწარმოები ზმნაც **ტიერ-ი-ზე** „შეშინება“ და მისგან მიღებული სახელი (გაარსებითებული მასდარი) **ტიერ-ი** „სიმხდალე“. აქ გაგვახსენდება ქართულში ჩვეულებრივ ხმარებული შესიტყვებები *ფერის წასვლა, შიშისგან ფერი წაუვიდა, ფერი დაკარგა* (შდრ. რუს. побледнел от страха). იგივე **ტიერ** („ფერი“) სიტყვა ხუნძურში გადმოსცემს „დამორცხვების“ სემანტიკასაც: *როტი ქარად მას ტიერაღ ბიცუნა* „შეყვარებული ქალიშვილისას ფერი ამბობს“ (ანდაზა), *როტი ტიერილ ბუკუნებ* „სიყვარული ფერში არის ხოლმე“ (ანდაზა) და სხვა.

2. ხუნძ. **წარ** „სახელი“.

ეს სიტყვა წარმოდგენილია მყარ შესიტყვებაში **წარ ლ'ზე** „სახელის დარქმევა“, ზედმიწ. „სახელის დადება“.

დუდა წარ შიბ „რა გქვია?“, ზედმიწ. „შენზე სახელი რა [არის]“? – ამ გამოთქმაში ნაცვალსახელი „შენ“ (ხუნძ. მუნ) I სერიის ადგილობითი ბრუნვის ფორმით რომ გვევლინება (დუ-და „შენზე“), ამას განაპირობებს სწორედ „დადების“ აღმნიშვნელი ზმნა **ლ'ზე**. ასევე იქნება სხვა წინადადებებშიც, მაგ., დიდა წარ ბუგო მუმარ „მე მქვია უმარი“, ზედმიწ. „ჩემზე სახელი არის უმარი“ (დუნ „მე“, მაგრამ დი-და „ჩემზე“).

ქართულ სალიტერატურო ენაში ამჟამად გვაქვს თხზული სიტყვა **სახელდება**, თუმცა იგი უპირატესად წარმოადგენს მეცნიერებაში (ენათმეცნიერება, ფსიქოლოგია) ხმარებულ ტერმინს (შეესატყვისება ლათინურ ტერმინს nominatio) და არ არის გავრცელებული ყოველდღიურ სასაუბრო მეტყველებაში.

ქართული ენის მთის კილოებში ხუნძურის მონაცემს, შედგენილობის მხრივ, სავესებით ზუსტად მიესადაგება მყარი ფრაზეოლოგიური შესიტყვება **სახელის დადება**, ოღონდ არსებითი სხვაობა ისაა, რომ მთის კილოებში ეს შესიტყვება გვევლინება სარიტუალო დანიშნულების ფრაზეოლოგიზმად და რამე საერთო არა აქვს ადამიანისათვის სახელის დარქმევის აქტთან. ხევსურულში მისი მნიშვნელობაა „მიცვალებულისთვის სუფრის დალოცვა“; ფშ. **სახელის შადება** „id.“, ხევს. **სახელის დამდებ(ელი)** „შენდობის მთქმელი“, **სახელსადები** „მიცვალებულის სულის მოსახსენებელი ნამცხვარი“

(ალ. ოჩიაური, ალ. ჭინჭარაული, გ. ხორნაული). მთაში არსებობდა, აგრეთვე, ერთობ საინტერესო წესი – **ურჯულოსად სახელის დადება**: „თუ ხევსური ქისტს მოკლავდა, რაც ხშირი მოვლენა იყო, მის სახელზედაც ტაბლას დასდგამდნენ: გამოაცხოზდნენ სახელსადებებს, სატაბლო პურებს და გულიანებს, მხოლოდ „ურჯულოს“ საწინთელს ტაბლაზე არ აუნთებდნენ. რძესაც ააღულებდნენ, რძეში ერბოს ჩაჰყრიდნენ. რაიმე ქსოვილის ნაჭერსაც დასდებდნენ ტაბლაზე, წყალსაც დასდგამდნენ ტაბლის გვერდით. ტაბლას კარების უკან დასდგამდნენ და იქ ეტყოდნენ შენდობას შემდეგი სიტყვებით: „სადაც შენ ხარ (იტყოდნენ ქისტის სახელს), თუ ჩვენგან რას იხედავად ჩვენგან რა მაგიდიოდას საგძალ იქნებისა თუ პირის გასალბობი ზისცვარი, წყრულის საპოხ გინდოდას თუ შესახვევი, ეს შენამც გეკმარების, რადაც გინდ იმადამც გამაიყენებ. ჩვენებს მკვდრებსაც ნურაით დაალონება-დ შაწუხებ. შაგინდნას, მაგაჰმარას ღმერთმა“. ხელს სამჯერ უკულმა შემოუქნევდნენ ტაბლას. თუ სიზმარში ნახავდნენ, რომ თავის მიცვალებულმა უთხრა: ესე მაწუხებს „სახვიელის“, ფეხსაცმელების ან ტანისამოსის თხოვნითო და ხელით უჩვენებდა „ურჯულოზე“, რომელიც მას მოჰყავდა, „ურჯულოს“ „მამკლავის“ ოჯახი, რაც მიცვალებულმა უთხრა სიზმარში, მას სახელს დასდებდა, შენდობას ეტყოდა. „ურჯულოსათვის“ სახელდებულს ღარიბებს აძლევდნენ“ (მ. ბალიაური, ნ. მაკალათია).

ხუნძურ ენაში სიტყვა **წარ** („სახელი“) მონაწილეობს არაერთ ფრაზეოლოგიურ შესიტყვებასა თუ გამოთქმაში როგორცაა, მაგ., **წარ ინე** „სახელის განთქმა“, ზედმიწ. „სახელის წასვლა“ (შდრ. ქართ. *სახელის გავარდნა*); **წარ არაჟ** „ცნობილი“, „გამოჩენილი“, ზედმიწ. „სახელ-წასული“; **წარ რაშიზე** „სახელის განთქმა“, „პოპულარობის მოპოვება“, ზედმიწ. „სახელის გაგონება“; **წარ რაშარაჟ** „სახელოვანი“, ზედმიწ. „სახელ-გაგონილი“; **წარ ბუკინე** „სახელგანთქმულობა“, „პოპულარობა“, ზედმიწ. „სახელის ქონა“; **წარ ბუგეჟ ჩი** „ცნობილი (ზედმიწ. „სახელის მქონე“) კაცი“; **წარ ბოსიზე** „სახელის მოხვეჭა“, ზედმიწ. „სახელის აღება“...

ქართულ ენაში **სახელ-** სიტყვას „ცნობილის“, „პოპულარულის“ გარდა მოეპოვება, აგრეთვე, „ღირსების“ კონოტაცია: ქართ. **სახელ-**ოვან-ი („განთქმული“), მაგალითად, მნიშვნელობით არ არის სავსებით იდენტური ფორმისა **სახელ-**იან-ი („ღირსეული რეპუტა-

ციის მქონე“, „ავტორიტეტი“). მსგავსი ვითარებაა ხუნძურში **წარ** („სახელი“) სიტყვასთან მიმართებით, რასაც პარემიოლოგიური მასალაც თვალნათლივ დაგვიმოწმებს:

ბორხათაბ მეჭერ რიკადასანგო ბინულა, ბაჰარჩიდასულ წარ ქიბეგო რაჭულა „მაღალი მთა შორიდანვე ჩანს, ვაჟკაცის სახელი ყველგან ისმის“; *დალბაწალ ნაჯე წოქო თოლებ, ბაჰარჩიდას წარ თოლებ* „ლომი ტყავს ტოვებს, ვაჟკაცი სახელს ტოვებს“; *როსა რუყ აჭადან ჰაბი ლაადულო ჰუნარ-წარ ჰუალებ* „ქმრეულთ სახლის სიკეთე და სიხარული ცოლის სიმარჯვე და სახელია“; *ქუეშაჟ უასასა ინსაულ წარ ხუეზაბულა* „ცუდი ვაჟიშვილი მამის სახელს აფუჭებს“; *ცო ყადარაჟ ჩიდასა ბოდაგო ყადარაბ წარ ჰუალებ* „ერთი უვარგისი კაცი მთელ თემს უვარგისის სახელს უმკვიდრებს“ და სხვა.

3. ხუნძ. **ჰომერ** // **ჰუმერ** „სახე“, **ბერკალ** „სახე“.

ყელბურ ნარევი კილოში **ჰომერ** სიტყვას სემანტიკური გადასვლის ნიადაგზე განვითარება მნიშვნელობა – „ცხვირი“, ხოლო თვითონ „სახის“ მნიშვნელობით ამ კილოში გამოიყენება თხზული სახელწოდება **ჰომერ-კალ**, ზედმიწ. „ცხვირ-პირი“. ანალოგიურად შედგენილი კომპოზიტი გვხვდება ანწუხური დიალექტის ტოხურ-კილოკავშიც: **ჰუმეკალ** (< ჰუმერ კალ) „სახე“, ზედმიწ. „სახე-პირი“ (მაგალითები მოხმობილია ფ. საიდოვას დიალექტოლოგიური ლექსიკონიდან), შდრ. ქართ. **ცხვირ-პირი** („სახის“ მნიშვნელობით), აგრეთვე – ქართ. **პირ-სახე, პირი-სახე**.

„სახის“ აღსანიშნავად ხუნძურ ენაში მოიპოვება სხვა თხზული სახელწოდებაც – **ბერ-კალ**, ზედმიწ. „თვალ-პირი“, რომელიც წარმოდგენილია ფრაზეოლოგიურ შესიტყვეებშიც: **ბერ-კალ ჩური-ზე** „სახის დაბანა“, ზედმიწ. „თვალ-პირის დაბანა“ (შდრ. ქართ. *ბელ-პირის დაბანა*); **ბერ-კალ ჰაბიზე** „სახის დამანჭვა“, აგრეთვე „თვალის ჩაკვრა“, ზედმიწ. „თვალ-პირის ქმნა“. „სახის“ აღმნიშვნელი ამ ხუნძური სახელწოდების ზუსტი ანალოგი მოიპოვება ქართული ენის მთის კილოებში: ფშ. **თვალ-პირი** „სახე“, ხევს. **თორპილი** (< თორ-პირი < თვალ-პირი) „სახე“, „ლოყა“ (ა. შანიძე, აღ. ჭინჭარაული, გ. ხორნაული).

ხუნძური სიტყვა **ჰუმერ** („სახე“) გვხვდება აგრეთვე კომპოზიტში **ჰუმერ-წარ** „პიროვნება“, ზედმიწ. „სახე-სახელი“, შდრ. რუს. личность (< лицо „სახე“). ინტერესს იწვევს ქართულში **პირ-** ფუძის

გამოყენება ადამიანთან, ინდივიდთან მიმართებით: **პირ-ი**, **პირ-ოვნ-ებ-ა**, **პირ-ად-ი...** ამ თვალსაზრისით, თუ ადამიანს შევუპირის-პირებთ სხვა არსებებს, ვნახავთ ერთობ საგულისხმოდ ვითარებას:

პირი – ქართულში გულისხმობს ადამიანს, ინდივიდს.

სული – გულისხმობს ცხოველს, ძირითადად შინაურ პირ-უტყვს (შდრ. **სულ-იერ-ი**, **სულ-დგმულ-ი**), თუმცა ითქმის ადამიანის შესახებაც. გამოიყენება ცოცხალ არსებათა რაოდენობის განსაზღვრის მიზნით: „ასი სული ძროხა“, „ასი სული ცხვარი“ და ა. შ., შდრ. რუს. поголовье „პირუტყვის სულადობა“ (< голова „თავი“), сто голов овец „ასი სული (ზედმიწ. „თავი“) ცხვარი“.

ფრთა – გულისხმობს ფრინველს. გამოიყენება შინაურ ფრინველთა რაოდენობის განსაზღვრის მიზნით: „ასი ფრთა ქათამი“ და ა. შ.

4. ხუნძ. **მოყოყ** „კაკაბი“.

ხუნძურში საკმაოდ გავრცელებულია საალერსო გამოთქმა **დირ მოყოყ** „ჩემო კაკაბო!“ პ. უსლარს შენიშნული აქვს, რომ შესიტყვება **მოყოყილ რილ'ინ** „კაკების სვლა“ ხუნძურ ენაში კობტად სიარულის გამოხატველია, მაგ., მოყოყილ რილ'ინ ბუგო ჰად მასალ'ულ „კაკების სვლა აქვს ამ გოგოს“, ე. ი. ლამაზად დაიარება; შდრ. ქართ. **დაგოგმანებს** (ითქმის ქალზეც), **გოგვა** „ფრინველის კეთილი სვლა“ (საბა).

5. ბოლოს განვიხილავთ ერთ მაგალითსაც; ეს არის ქართული გამოთქმა **შემოგველე // შენ თავს შემოგველე**, რომლის მნიშვნელობა ბევრნაირად განიმარტება, მაგ., „ხვეწნა, მუდარა, აჯა, დიდი თხოვნა, მოვლა, პატრონობა, ზრუნვა“ (თ. სახოკია), აგრეთვე – „განსაკუთრებული მზრუნველობის გაწევა, ყურადღების მიქცევა, მოვლა, სამსახურის გაწევა, თავის შეწირვა“ (ალ. ონიანი).

თ. სახოკიას ეკუთვნის ცნობილი ახსნა ამ გამოთქმის წარმომავლობისა:

„საქართველოში, ძველად, როცა ავადმყოფის მოსარჩენად ყოველი ღონე იქნებოდა ნაღონები და ცდა მაინც უნაყოფოდ რჩებოდა, ავადმყოფის პატრონები მის გადასარჩენად უკანასკნელ საშუალებას მიმართავდნენ. ეს საშუალება იყო: ავადმყოფის გარშემო შემოვლება ცხოველის (დეკეულის, ხბოს, ცხვარის), რომლისათვის, ძველი აღთქმის „განყვანების ვაცის“ მსგავსად, უნდა ეტვირთებინათ ყოველი-

ვე სენი ავადმყოფისა და, ამგვარად, კარზე მომდგარი სიკვდილი ამით გაესტუმრებინათ... ავადმყოფის მორჩენის შემდეგ მის თავზე შემონავლები დაიკვლებოდა იმ ხატის სახელზე, რომელიც, მათი აზრით, ავადმყოფს მოარჩენდა“.

ასეთი თვალსაზრისი არსებობს დღეს გამოთქმის წარმომავლობის შესახებ, თუმცა ცხადია, რომ მისი ისტორია კვლავაც საჭიროებს შემდგომ კვლევასა და დამატებითი ენობრივი თუ ეთნოგრაფიული ცნობების მოძიებას.

ამჯერად, დამატებითი მასალის სახით შეიძლება მოვუხმოთ ერთ-ერთ წეს-ჩვეულებას ხუნძების ეთნოგრაფიული სინამდვილიდან; ეს არის ყანისა და ნათესების დაცვის წესი, რომლის სახელწოდებაა **კეზერ ყო საჭერი**, ზედმიწ. „შავი რამის შემოვლა“, ხოლო სხვა ვარიანტით – **მედ საჭერუნ ყო ბაჩიზე**, ზედმიწ. „ყანის ირგვლივ რამის ტარება“, ან უბრალოდ **მედ საჭერი**, ზედმიწ. „ყანის შემოვლა“. მ. საიდოვის განმარტებით, **კეზერ ყო** (ზედმიწ. „შავი რამ“) ეწოდება შავ ცხვარს, რომელსაც გვალვის დროს ნათესებისა და სოფლის ირგვლივ შემოატარებდნენ ხოლმე წვიმის გამოწვევის მიზნით.

ამ წესის შესასრულებლად ხუნძები იკრიბებოდნენ ყოველი სოფლიდან ზაფხულის ნაბუნობის დღეს (22 ივნისს) და თავიანთი ყანების ირგვლივ მსვლელობას აწყობდნენ. ამ დროს საგანგებოდ გამოჰყავდათ სამსხვერპლოდ განკუთვნილი შავი პირუტყვი, რომელსაც ყანის ირგვლივ დაატარებდნენ. შემოატარების შემდეგ პირუტყვს ყანაშივე დაკლავდნენ, ხარშავდნენ მის ხორცს და შეექცეოდნენ, ხოლო ძვლებს იქვე მდგარ ლატანზე ჩამოჰკიდებდნენ. ითვლებოდა, რომ ეს ქმედება ნათესს ზიანისა და უბედობისგან დაიფარავდა (ზ. ნიკოლსკაია).

როგორც ვხედავთ, ხუნძურ და ქართულ წეს-ჩვეულებებს აქვთ საერთო მოტივი – საგანგებო ქმედება შესაძლო უბედურებისგან დაცვის მიზნით, რის აუცილებელ პირობასაც წარმოადგენს მსხვერპლშეწირვა.

მაგრამ ქართულ გამოთქმაში (**შემოგველე**) მოქმედ სუბიექტად იგულისხმება თვითონ ადამიანი და არა სამსხვერპლო პირუტყვი. აქ უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში მართლაც დასტურდება ფაქტები გარსშემოვლის რიტუალში ადამიანის

მონაწილეობისა: ხევსურეთსა და თუშეთში, მაგალითად, აღწერილია შემთხვევები, როცა სწულ შვილს დედა შემოველებოდა (ს. მაკალათია), ხოლო ლაზებში არსებობს წესი: ჭირისუფალი რამდენჯერმე შემოუვლის გარს სამიძმარზე მისულთ, რათა მათ თავიდან ააცილოს იგივე უბედურება (ი. გაგულაშვილი).

აღსანიშნავია ერთი გარემოება: გარსშემოვლის რიტუალის ძირითადი მომენტი არის მსხვერპლის გაღება, რაც გამოხატულია კიდევ პირუტყვის დაკვლით და სწორედ ეს მოტივი – „მსხვერპლად შეწირვა“ – უდევს საფუძვლად ქართულ გამოთქმასაც **შენ შემოგვევლე**. ვითარება უფრო ნათელი გახდება, თუ გავიხსენებთ მსგავსი ტიპის სხვა ქართულ გამოთქმებს: **შენ გენაცვალე, შენი ჭირი მე, შენი კვნესა მე**, რომელთა საფუძველიც ანალოგიურადვე არის „მსხვერპლად გაღების (საკუთარი თავის)“ მოტივი, ხოლო ეს ფაქტი კიდევ უფრო ამყარებს მოსაზრებას გამოთქმა **შემოგვევლე**-ს აღნიშნული წეს-ჩვეულებიდან მომდინარეობის შესახებ. ამავე თვალსაზრისით ღირსსაცნობია ჯავახეთსა და აჭარაში დადასტურებული გამოთქმაც – **გეყურბანე**. თ. სახოკიას განმარტებით, „ყურბანი (ეს სიტყვა შემოსულია თურქულიდან, „მსხვერპლს“ ნიშნავს – ლ. ა.) სასოფლოდ შეკრებილი ფულით ნაყიდი ხარი, ძროხა და ყოჩია, რომელსაც ძველ დროში მსხვერპლად სწირავდა ხალხი ღმერთს გვალვისა და უწყიმობის დროს“.

შეიძლება მეტიც ითქვას: „ზრუნვის“ სემანტიკის შემცველი ისეთი ქართული ზმნებიც, როგორცაა **უვლის, მოუარა**, სავარაუდოდ, სწორედ გარსშემოვლის აღნიშნული წეს-ჩვეულების ამსახველი შეიძლება იყოს, თუმცა ეს ვარაუდი, ცხადია, სერიოზულ არგუმენტაციას საჭიროებს.

ხუნძურ ენაშიც შეიძლება დაიმეზნოს გამოთქმები, რომელთაც ხსენებულ ქართულ გამოთქმათა მსგავსად, საფუძვლად უდევთ „ვისთვისმე თავის გადაღების“ მოტივი. ასეთი გამოთქმების ასაგებად ხუნძური მიმართავს ხოლმე ე.წ. II კავშირებითი კილოს ფორმებს, რომლებიც გამოირჩევიან ძლიერი ექსპრესიულობით. მაგალითები პოეტური ფოლკლორიდან:

უნგე, **ეხელ ხუააჟ**, ტადე ხუუნზაჟე, დუფგო ნუცალხანილ რეკინ ბათილებ „ნუ წახვალ, დედა გენაცვალოს (ზედმიწ. „დედა,

დე, მოკვდეს!“ ხუნძახში, შენ ნუცალხანი მახეს დაგიგებს“ – მიმართავს დედა ვაჟიშვილს. **ებელ ხუაიაჟ**, ზედმიწ. „დედა, დე, მოკვდეს!“ წარმოადგენს II კავშირებითი კილოსგან მიღებულ მყარ გამოთქმას. აზრობრივად იგულისხმება: „დედაშენი მოკვდეს, შვილო, ოღონდ შენ მყავდე კარგად!“

მიტუგე, **იაცო ხუაიაჟ**, დარაბაღალდე, ინსულ თუშმანასულ ულქა ბინიზე „ნუ გამგზავნი, გენაცვალოს და (ზედმიწ. დაა, დე, მოკვდეს!“), ყარაბაღში მამის მტრის ქვეყნის სანახავად“ – მიმართავს და თავის ძმას. გამოთქმა **იაცო ხუაიაჟ**, ზედმიწ. „დაა, დე მოკვდეს!“ ასევე II კავშირებითი კილოს ფორმაა.

ამათ გარდა, ხუნძურ ენაში II კავშირებითი კილოს ფორმები-საგან უხვადაა ნაწარმოები დალოცვის, წყევლის, რისხვის გამოხატველი სხვადასხვა ფორმულები, რომლებიც გვხვდება მხატვრულ ტექსტებსა თუ სასაუბრო მეტყველებაში მყარი ექსპრესიული გამოთქმების სახით, რის მაგალითადაც გამოდგება პ. უსლარის მიერ მოპოვებული ერთ-ერთი სატრფიალო სიმღერის ამონარიდი:

ანტაბგო რატო ჯუალუნ ჟანიდ ლეაა დუნ,
აჩუნარედ ლადალ დუჯ ბალაჰარაა;
ანტაბგო ზობ ღულან ლედ დოსააა დუნ,
ახირ ჰეჰეჟ, დურგუნ როტი ჰაბურაა.

„შვიდივე მიწა გაიპოს, შიგ, დე, ჩავწვე მე,
არ შემირთავდი რომ ვიცოდი [მაინც] შენი შემხედვარე;
შვიდივე ცამ იქუხოს, წყალმა, დე, წამილოს მე,
ვერაგო, შენი მოტრფიალე [მე]“.

ნოდარ არდოტელი

ქართულიდან ნასესხები ლექსიკის ფონეტიკური და მორფოლოგიური ადაპტაციის შესახებ ბეჟიტურ ენაში

1. ქართველი ხალხის (განსაკუთრებით, კახელების, ინგილოების, თუშების) დადესტნელ ხალხებთან მრავალსაუკუნოვანი მეზობლობა და სხვადასხვაგვარი მჭიდრო ისტორიული კონტაქტები სარკისებურად აირეკლა ლექსიკურ შეხვედრებში, რომლებიც ნასესხობების სახით დასტურდება ბეჟიტურ ენაში. ამის ნათელი დასტურია ის ენობრივი ელემენტებიც, რომლებიც უხვად შეინიშნება დიდოურ ენათა სინამდვილეში, განსაკუთრებით კი ხელშესახებია საკვლევ ენაში.

ზემოხსენებულ საკითხს არაერთი წინამორბედი თუ თანამედროვე მკვლევარი შეხებია თავის მონოგრაფიებსა და ცალკეულ წერილებში (ნ. ტრუბეცკოი, ივ. ჯავახიშვილი, არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია, გ. კლიმოვი, ტ. გუდავა, ყ. მიქაილოვი, მ. ხალილოვი...). ქართულ-ბეჟიტური ლექსიკური შეხვედრები ორმხრივია: სესხება ხდება ერთი მხრიდანაც და მეორე მხრიდანაც, თუმცა ქართული ნასესხობანი დომინანტურია.

2. ჩვენს ხელთ არსებულ მასალაში ლექსიკური ნასესხობანი განპირობებულია ძირითადად ექვსი ფაქტორით. ქართულ და ბეჟიტურ ენებში სათანადო ლექსემა ან მორფოლოგიური მოვლენა: ა) სხვა ენობრივი წყაროდან მომდინარეობს (ქართ. **კატა**, ბეჟ. **გედო**, შდრ. რუს. **кот**, ინგლ. **cat** ...); ბ) საერთო წარმომავლობისაა (ქართ. **ტყუბ**-ი < ს.-ქართ. ***ყვი**-ბ : ბეჟ. **ყო-ნა** < ს.-დად. ***კუე**-და...); გ) ერთი ენიდან მეორეში არის შეთვისებული (ქართ. **ვეფხვი** > ბეჟ. **ბეხხი**...); დ) ხმაბადებითა და წარმოქმნილია ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად (ქართ. **გუგული**, ბეჟ. **ქუქუტო**...); ე) ტიპოლოგიურად მსგავსია (ქართ. **მელა-ს**, ბეჟ. **სორალი-ს**...); ვ) უკუსესხების შედეგია (ხუნძ. **ტორან** > ქართ. **კარაქ**-ი > ბეჟ. **ყარაკი** – ყ. მიქაილოვი, ხუნძ. **წალთა** > ქართ. **წალდი** > ბეჟ. **წალდი** – ვ. აბაევი...).

3. ფონეტიკურ-ფონოლოგიური ადაპტაციის თვალსაზრისით, ყურადღებას იქცევს შემდეგი კანონზომიერებანი, რომლებიც ზუსტად ასახავენ ბეჟიტური ენის ბუნებას: 1) **ფონოტაქტიკური**: ა) ანლა-

უტში არაბუნებრივ კომპლექსთა (სპირანტი + ჩქამიერი) დაძლევა ბეჟიტურ ენაში ხდება პროთეტული **o** ხმოვნის დართვით: **o**მთოფი (< შდრ. ქართ. შტოფი), **o**სთოლი (< ქართ. სტოლი < რუს. **стоп...**) ...; ბ) ჩქამიერი + სონორი (**რ, ლ**) სტრუქტურის თანხმოვანთმიმდევრობას ჩაერთვის **o, ე** ხმოვნები, რაც **სრულ ჰარმონიად** კვალიფიცირდება [ტ. გუდავა]: ბირინჟი (< ქართ. ბრინჯი), გელეხი (< ქართ. გლეხი)...; გ) ლაბიალიზებულ კომპლექსში იკარგვის ლაბიალური კომპონენტი: ქეჭრი (< ქართ. ქვევრი), ღინო (< ქართ. ღვინო) და მისთ.

2) **ფონეტიკური**: ა) ხმოვანთა ალტერნაცია (ქართ. ზაქი > ბეჟ. ზაქი – ხაშ. ზაქე, ქართ. სხვენი > ბეჟ. ცუხანი...); ბ) ხმოვანთა სინკოპე (ქართ. ყალბი > ბეჟ. ყალბი, ქართ. ალუბალი > ბეჟ. ალბალი...); გ) ვი > უ (ქართ. იხვი > ბეჟ. იხუ...); დ) თანხმოვანთა ასიმილაცია (ქართ. ოქრო > ბეჟ. ოქქო, ქართ. ვეფხვი > ბეჟ. ბებხი...); ე) თანხმოვანთა ტრანსპოზიცია (ქართ. ერბო-კვერცხი > ბეჟ. ებირიკვიცხი, ქართ. თოფრა > ბეჟ. თორფა...); ვ) პალატალიზაცია: ბეჟ. დანა „დიდი დანა“, ბეჟ. დარაა „აბრეშუმის ქსოვილი“, „დარაია“ და ა. შ.

4. მორფოლოგიური ასპექტით აღსანიშნავია: ა) ნივთებისა და მოვლენების გამომხატველი ლექსიკა ძირითადად IV კლასს არის მიკუთვნებული, მაგ.: ბეჟ. ჟაგი „ჯაგი“, ბეჟ. ჟანღი „ჯანღი“, ბეჟ. ჟღარნი „ჟღარუნი“, ბეჟ. ზეთი „ზეთი“... არაიშვიათად ნასესხებ ლექსიკაში თავს იჩენს, კლას-კატეგორიის მიხედვით, არასათანადო კლასიფიკაცია; ბ) ნამყო წყვეტილის ზმნურ ფორმებს დაკისრებული აქვთ ინფინიტივის გადმოცემის ფუნქცია, მაგ.: ბეჟ. **გაშინზა** „გასინჯვა“, **გათონზა** „თონხვა“... ამასთანავე, ნამყო წყვეტილის ფორმები მემველზმნებთან (**აჰკალ** „გახდომა“, „გარდაქცევა“, **იოჟალ** „კეთება“) ხმარებისას ინფინიტივს აწარმოებენ, მაგ.: გაჯურდა აჰკალ „გაცხარება“, გაძხარდა აჰკალ „გაცხარება“ და მისთ.

5. ქართულიდან ნასესხები ლექსიკური მასალა გარკვეულ სემანტიკურ გადახრებს გვიჩვენებს. ეს განსაკუთრებით ითქმის ძველად შეთვისებულ სიტყვებზე, მაგ.: ბეჟ. **გომი** (<გომური) „დროებითი საცხოვრებელი“, „სამყოფო“, ბეჟ. **თოკი** „მავთული“, ბეჟ. **ზოროტი** „ჩაფიქრება“, „მღელვარება“ და მრ. სხვ.

ზოგიერთი ლექსემის ისტორიისათვის უდიურში.

1. ინი „ახალი“. 2. ელმუხ „სული“, „სამშვიველო“

უდიური ენის ერთ-ერთი პირველი მკვლევარი ა. დირი სამარ-თლიანად აღნიშნავდა, რომ „... უდიური ლექსიკონის შედგენა საკმაოდ საჩოთირო საქმეა. არ იცი – უნდა შემოიფარგლო მხოლოდ უდიური სიტყვებით, თუ მასში უნდა შეიტანო აგრეთვე თურქული, სომხური, სპარსული სიტყვებიც. პირველ შემთხვევაში მივიღებთ ოდენობით ისეთ შემოფარგლულ ლექსიკონს, რომ სიტყვები არ გვეყოფა ყოველდღიური საგნების აღსანიშნავადაც კი. მეორე შემთხვევაში კი, თუნდაც ისეთი სიტყვებით დავკმაყოფილდეთ, რომელთაც უდიურში შესატყვისი არა აქვთ, საშიშროება იქმნება, შეადგინო იგივე თურქული ან სომხური ლექსიკონები, აქა-იქ გაფანტული სხვა სიტყვებით, რომლებიც სწორედ იქნებიან უდიურნი“. არ შეგვაქვს-რა ეჭვი პატივცემული მკვლევრის ნათქვამში, მაინც აღვნიშნავთ, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, უდიური ენის ძირეული ლექსიკური ფონდის კუთვნილი ესა თუ ის სიტყვა მიჩნეულ იქნა ნასესხებად. წარმოგიდგენთ ორიოდე მაგალითს:

ინი „ახალი“. ამ ლექსემას ტრადიციულად უკავშირებენ აზერბაიჯანულსა და თურქულში დადასტურებულ **იენი** ფორმას, რომელსაც პარალელები სხვა ალთაურ ენებშიც მოეძევა, მაგ.: უზბ. **იანგი**: ყაზ. **იანა**: ყირგ. **იანა** „ახალი“ და სხვ.

მიუხედავად გარეგნული მსგავსებისა, არ მივიჩნევთ, რომ უდიურმა აზერბაიჯანულიდან ისესხა ეს ზედსართავი სახელი. საყურადღებოა, რომ კავკასიის ალბანურში დასტურდება ფორმა **ენი** „ახალი“. ხომ არ ისესხა კავკასიის ალბანურმა ეს ლექსემა რომელიმე ალთაური ენიდან? ამ შესაძლო ვარაუდს აბათილებს სხვა ლეზგიური და დაღესტნური ენების მონაცემები:

ლეზგ. **წიამ**: თაზ. **წიამ**: აღ. **წამე-ჭ**: რუთ. **წინ-დჟ**: წახ. **წე-დ-გწ**: არჩ. **მაწა**: კრიწ. **წიამ** (< ს. -ლეზგ. **წენი** „ახალი“); სხვ. დაღ.: ხუნძ. **წიამაბ**: კარ. **წინო-ბ** „ახალი“ და სხვ.

როგორც ილ. ცერცვაძემ გამოარკვია, საერთოდადესტნური სუსტი აბრუპტიული აფრიკატები უდიურში წარმოდგენილია ნულოვანი რეფლექსაციით (ეს წესი კავკასიის ალბანურზეც ვრცელდება). ამდენად, უდიური **ინი** და კავკ. ალბანური **ენი** კანონზომიერად შეესატყვისება დადესტნური ენების ზემოთ წარმოდგენილ ფორმებს, ხოლო მსგავსება თურქულსა და აზერბაიჯანულში დადასტურებულ **ენი** ლექსემასთან – შემთხვევითია.

ელმუხ „სული“, „სამშვინველი“ (Pluralia Tantum). მ. ბარიხაშვილი ამ ლექსემას უკავშირებს აზერბაიჯანულსა და ინგილოურ დიალექტში დადასტურებულ **ელუ** „მიცვალებული“ სიტყვას (აზერბაიჯანულში ამ მნიშვნელობით დავადასტურეთ **რლუ** ლექსემა, რომელიც შეესატყვისება ალთაურ ენებში დადასტურებულ სხვა ზოგიერთ ფორმას: თურქ. **რლუ**; უზბ. **რლგან**; ყაზ. **რლი**; ყირგ. **რლგრნ** „მიცვალებული“ და სხვ.). ვ. შულცე შესაძლებლად მიიჩნევს ამ სახელის დაკავშირებას ებრაულ **ეელ** და არაბულ **ალლან** „ღმერთი“ ფორმებთან. მკვლევარი შემდეგ სემანტიკურ ტრანსფორმაციას ვარაუდობს: ღმერთი > სული წმინდა > სული (ზოგადად). ევგ. ჯეირანიშვილი კი **ელ-მუხ** ფორმის (ზედმიწ. „სულები“) ჩამოყალიბებას ქრისტიანობამდელ წარმართულ წარმოდგენებს უკავშირებს.

ვფიქრობთ, რომ კავკასიის ალბანური ფორმა **ჰელ** „სული“, „სამშვინველი“ ამ სამივე ვარაუდს უკუაგდებს. ჩვენი ვარაუდი სხვა ლეზგიური ენების ჩვენებითაც დასტურდება:

ლეზგ. **მალ** „სუნთქვა“, „სურნელი“; ხლოუტ. **ილ**; თაბ. **ელ** „სუნთქვა“; ალ. (ბურშ.) **ელ** „სუნთქვა“; რუთ. **ილ** „სურნელი“; მიშლ. **ელა** „სურნელი“; არჩ. **ჰილ** „სუნთქვა“; კრიწ. **მალ** „სუნთქვა“; ბუდ. **მალ** „სუნთქვა“ (< ს.-ლეზგ. ***ელ** „სუნთქვა“, „სურნელი“).

ნ ა ნ ა მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი

ზმნის მოდალურ კატეგორიათა მორფემების შემცველი სიტყვების ლექსიკონში განთავსების საკითხისათვის აფხაზურში

აფხაზური ენის ზმნა მდიდარია მოდალური კატეგორიებით. ესენია: საურთიერთო კატეგორია, ქცევის კატეგორია, უნებურობის კატეგორია, კაუზატივი და სხვ.

ყოველი მათგანი ცალკეული მორფემით აღინიშნება ზმნურ ფორმაში. ზმნური კატეგორიის ნიშანი ზმნას მასდარშიც გადაჰყვება.

ჩვეულებრივ, მასდართა გვერდით ზმნის მოდალურ კატეგორიათა მორფემების შემცველი სიტყვებიც აუცილებლად უნდა აისახოს ლექსიკონში, რადგან ისინი ახალ ლექსიკურ ერთეულებს წარმოადგენენ, მათთვის დამახასიათებელი ნიუანსური თავისებურებებით.

ერთი მხრივ: აშრა „მოკვლა“ და მეორე მხრივ: აშრა „მოკვლევინება“ (კაუზატიური შინაარსის შემცველი ფორმა); ერთი მხრივ: აგარა „წაღება“ და მეორე მხრივ: აზგარა „(თვის), წაღება“ (სასხვისო (სასარგებლო) ქცევის შინაარსის შემცველი ფორმა); ერთი მხრივ: აგარა „წაღება“ და მეორე მხრივ: აცგარა „(გან), წამოღება“ (სასხვისო (საზიანო) ქცევის შინაარსის შემცველი ფორმა); ერთი მხრივ: აშრა „მოკვლა“ და მეორე მხრივ: ამხაშრა „შემოკვდომა“ (უნებურობის შინაარსის შემცველი ფორმა); ერთი მხრივ: აბარა „დანახვა“ და მეორე მხრივ: ამბაბარა „ურთიერთდანახვა“ (საურთიერთო შინაარსის შემცველი ფორმა);

რ ო ს ტ ო მ ფ ა რ ე უ ლ ი ძ ე

ქართული ლექსიკური მასალა ინგუზურ ენაში

ინგუზური იბერიულ-კავკასიურ ენათა ნახურ ჯგუფს განეკუთვნება ჩეჩნურ და წოვა-თუშურ ენებთან ერთად. ინგუზური ენის ლექსიკა, როგორც სხვა ენებისა, იყოფა საკუთარ და ნასესხებ ლექსე-მებად. საკუთრივ ინგუზური ლექსიკის ნაწილი გენეტურად უკავშირდება როგორც ნახურ, ისე იბერიულ-კავკასიურ ენათა შესაბამის მასალასთან. ჩვენი განხილვის საგანია აღნიშნული ენის ლექსიკის ის ფენა, რომელიც ქართულიდან არის ნასესხები და დამკვიდრებული. ინგუზები ქართველთა ისტორიული მეზობლები არიან და ამ ორ ერს შორის არსებული კულტურული, ეკონომიკური, პოლიტიკური ან რელიგიური ურთიერთობანი ხელს უწყობდნენ ქართული ლექსიკის გავრცელებას ინგუზურში. ქართულიდან ნასესხები ლექსიკა, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ ყველა ეს სიტყვა წარმოშობით ქართულია, ზოგი მათგანი თვით ქართულშიც ნასესხებია სხვა ენებიდან.

ცნობილია, რომ სესხების დროს მსესხებელ ენაში, ჩვეულებრივ, ხდება ნასესხები ლექსიკის ადაპტაცია – ფონეტიკური ხასიათის ცვლილებები, არც თუ იშვიათად, ნასესხებ სიტყვას მნიშვნელობაც შეცვლილი აქვს. მოვიყვანოთ მაგალითები:

1. რელიგიასთან დაკავშირებული სიტყვები:

ქარ „ჯვარი“, ქარგ „პატარა ჯვარი“;

ჟოჟალათე „ჯოჯოხეთი“;

თუშოლი „ნაყოფიერების ღვთაება“ (< ღვთისმშობელი); თუშოლდე „ღვთაება თუშოლის დღესასწაული“; თუშოლი ქუოთამ „ოფოფი“ (ზედმიწვევით: თუშოლის ქათამი);

დეშაპ „გრძნეული, ჯადოქარი“, „კუდიანი დედაბერი“ (ზღაპრის პერსონაჟი). შდრ., ქართული „ვეშაპი“, რომლის ანლაუტის ვ-, როგორც ჩანს, გაგებულია მამაკაცთა კლასის აღმნიშვნელ გრამატ. კლასის მარკერად, ამიტომ არის შეცვლილი იგი ე-თი (გამოხატავს ქალთა კლასის სახელებს, დეშაპ-ი ინგუზურსა და ჩეჩნურშიც გაგებულია ქალად, დიალექტებში აქვს დევი-ს მნიშვნელობაც). კლასის ნიშნები არსებით სახელებში გაქვავებულია.

2. დროის აღმნიშვნელი ლექსიკა:

უორშუოთ „ორშაბათი“;

პარასკა „პარასკევი“;

შოათთა „შაბათი“;

კირა „კვირა“ (შვიდი დღის მნიშვნელობით, მსგეფსი||მზგეფ-
სი); კირანდი „კვირა“ (ზედმიწევნით: კვირა დღე);

სადრდე „სადამო“ (შდრ., ქართ. სერ-ი „სადამო ჟამს პურის ჭამა. –
ვახშამი“ ქვლ);

წასქარ „ცისკარი“...

კვირის დღეთა ქართული სახელები ნახურ ენებში შენიშნული
აქეთ ივ. ჯავახიშვილს, ს. ჯანაშიას.

3. ფრინველთა, ცხოველთა, მცენარეთა აღმნიშვნელი სახელები:

ლოომ „ლომი“;

ვირ „ვირი“;

ცისქ (< ციციგ) „კატა“ (შდრ., ციცა);

ქუოთამ „ქათამი“;

ქუნდარ „ქონდარი“;

ჭიმ „ჭყიმი“...

4. სამუშაო, საბრძოლო იარაღების სახელები:

ხდერხ „ხერხი“;

ცდელ „თოხი“ (მნიშვნელობის შეცვლით);

მანგალ „ცელი“;

ჰასთამ „ლურსმანი“ (შდრ., ასტამ-ი);

თუოფ „თოფი“;

მაჟარ „მაჟარი“ (ერთგვარი თოფი)...

5. სახელები, რომლებიც სხვადასხვა დარგებს განეკუთვნებიან:

ქელაქუო „თბილისელი“ (შდრ., ქელაქ „ქალაქი თბილისი“);

კახთუო „კახელი“;

თჰამდა „თამადა“;

ტოარგაც „ზანდუკი, სკივრი“ (შდრ., ტაგრუცი);

ტუნა „ტენიანი, ნოტიო“;

თუნქილგ (თუნქ- + კნინობ. სუფიქსი -ილგ) „საკვამლე მილი“
(შდრ., თუნქ-ი)...

ინგუშური ენის ლექსიკა სათანადოდ არ არის შესწავლილი. დღემდე არ არის შედგენილი ინგუშური ენის განმარტებითი ლექსიკონი. უნდა ვიფიქროთ, რომ ქართული ნასესხობანი ინგუშურში ბევრად უფრო მეტად არის დამკვიდრებული, ვიდრე გამოვლენილია.

ვ ა ჟ ა შ ე ნ გ ე ლ ი ა

ჩერქეზულ-ქართული ლექსიკონის სტრუქტურისათვის

ჩერქეზულ(ადიღურ)-ქართული და ქართულ-ჩერქეზული (ადიღური) ლექსიკონების შედგენის ტრადიცია, სამწუხაროდ, არა გვაქვს. ანალოგიური ვითარებაა ჩრდილოეთ კავკასიაში წარმოდგენილი სხვა მთის იბერიულ-კავკასიური ენათა მეტი წილის შემთხვევაშიც (იგულისხმება სათანადო ორენოვანი ლექსიკონების არარსებობა). გამონაკლისია „ჩეჩნურ-ქართული ლექსიკონი“, რომელიც რ. ფარეულიძემ შეადგინა და 2003 წელს გამოიცა.

ბუნებრივია, ორენოვანი ლექსიკონი უნდა ითვალისწინებდეს ორივე ენის სტრუქტურულ თავისებურებებს და ლექსიკოგრაფიული მუშაობის გამოცდილებას, რაც სათანადო ენობრივ კოლექტივს გააჩნია.

ჩერქეზული და ქართული მონათესავე ენებია, მაგრამ – იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის სხვადასხვა ჯგუფის წევრები. ამ ენებს, საკმაოდ მრავალრიცხოვან მატერიალურ შეხვედრებთან ერთად, ერთმანეთთან აკავშირებს სისტემური სტრუქტურული თავისებურებები, მაგრამ განსხვავებაც საგრძნობია.

ჩერქეზული სიტყვები ლექსიკონში წარმოდგენილი იქნება მოკმედი (რუსულ გრაფიკაზე დამყარებული) ანბანით, რათა ლექსიკონის გამოყენება ყველამ ადვილად შეძლოს. ჩერქეზულ ბგერით სისტემაში გასარკვევად ლექსიკონს წინ დაერთვის ტაბულა, სადაც ჩერქეზულში გამოყენებულ გრაფიკულ ნიშნებს სათანადო ქართული ანალოგები მიეწერება, ხოლო მათი არარსებობის შემთხვევაში გამოყენებული იქნება სატრანსკრიფციო ნიშნები. ამავე დროს, ტაბულის ცალკე სვეტში ლათინური ტრანსკრიფციაც გვექნება.

როგორც ცნობილია, ორენოვან ლექსიკონებში მთავარია სახელი და ზმნა სათანადოდ იყოს წარმოდგენილი.

ჩერქეზულ სახელს, ქართულისაგან განსხვავებით, მოეპოვება განსაზღვრული და განუსაზღვრელი ფორმები. დამკვიდრებული წესის შესაბამისად, მეთაურ სიტყვად ჩერქეზული სახელის განუსაზღვრელი ფორმა გვექნება, რომელსაც ფრჩხილებში მიეწერება -**რ** სუფიქსით ნაწარმოები განსაზღვრული და მრავლობითი რიცხვის ფორმები (მრავლობით რიცხვს მხოლოდ განსაზღვრული ფორმა მოეპოვება); ასევე, აღნიშნული იქნება, თუ რომელი მეტყველების ნაწილს ეკუთვნის სიტყვა და (არსებითი სახელის შემთხვევაში) რომელი კუთვნილების კატეგორიას (ორგანულსა თუ ნივთიერს) განეკუთვნება; მაგალითები: **მэзы** (мэзыр, мэзыхэп) არს. ნივთ. „ტყე“, **джанэ** (джанэр, джанэхэр) არს. ნივთ. „პერანგი“, **нэ** (нэр, нэхэр) არს. ორგ. „თვალი“, **фыжы** (фыжыр, фыжыхэп) ზედს. „თეთრი“ და სხვ.

პირის, ჩვენებითი და კითხვითი ნაცვალსახელები ჩერქეზულში თავისებური ბრუნებით გამოირჩევიან (ანალოგიური ვითარებაა ქართულში), კერძოდ, პირისა და კითხვითი ნაცვალსახელები სახელობითსა და ერგატის არ განარჩევენ (მაგ., სახ.-ერგ. **сэ** „მე“, **хэт** „ვინ“...), ხოლო ჩვენებითი ნაცვალსახელის ერგატის -**შ** (ш) სუფიქსი აწარმოებს (მაგ., სახ. мыр „ეს“, ერგ. мыщ...); ამ თავისებურებათა შესახებ ლექსიკონის ბოლოს დართულ გრამატიკულ ნარკვევში გვექნება მსჯელობა.

ჩერქეზული ზმნის ძირითადი წარმომადგენლად (ქართულის მსგავსად) ჩერქეზულში იქნება ზმნის აწმყოს მესამე პირის ფორმა, რომელთანაც აღინიშნება გარდამავლობა, სტატიკურობა-დინამიკურობა, ხოლო ფრჩხილებში – ნამყო სრულის ფორმა; ამასთან მესამე პირის პრეფიქსები **მა**-**მჷ**-, **აჷ**-⁶ (ქართულის ანალოგიურად) ზმნის ფუძისაგან დეფისით იქნება გამოყოფილი: **е-щэ** დინ. გარდამ. (ы-шагъ) „მიჰყავს“, ма-**кIо** დინ. გარდაუვ. (кIуагъэ) „მიდის“, **щыт** სტატ. გარდაუვ. „დაგას“...

⁶ პროფ. გ. როგავას თვალსაზრისის შესაბამისად, ამჟამად მესამე პირის ნიშნად გააზრებული -**მჷ** დინამიკურობის -**ჷჷ** ნიშნისაგან მოდის; ასევე **აჷ**- ნიშნის **ჷ** დინამიკურობის ნიშნის ელემენტად განიხილება.

ლექსიკონში, ბუნებრივია, სათანადოდ იქნება წარმოდგენილი ე. წ. ფორმალური სიტყვები (ზმნისართები, თანდებულები, ნაწილაკები, შორისდებულები).

ლექსიკონის ბოლოს გვექნება ჩერქეზული ტოპონიმებისა და ანთროპონიმების მოკლე ჩამონათვალი სათანადო ქართული ტრანსლიტერაციით.

ინდექსი საშუალებას მისცემს დაინტერესებულ მკითხველს ქართული სიტყვის სემანტიკურად შესატყვისი ჩერქეზული სიტყვა მოიძიოს.

ჩერქეზული ენის მოკლე გრამატიკულ ნარკვევში გადმოცემული იქნება ჩერქეზული სახელისა და ზმნის, ატრიბუტული და პრედიკატული სინტაგმის ძირითადი თავისებურებანი.

ლექსიკონში შევა 8000-მდე ჩერქეზული სიტყვა შესაბამისი ქართული თარგმანითურთ.

ტექნიკური რედაქტორი **ლ. ვაშაკიძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა **თ. გაბროშვილი**